საქართველო ჩეჩნების ექსტრადიციაზე დათანხმდა A3
ევროისტორია B4-B5
ფოტოკონკურსი B8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი, 21 ნოემბერი, 2002 წელი. №172 | ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### გაწვევა უჯარო გენერლებისა და სარდლების ქვეყანაში

სამხედრო ძალებში საშემოდგომო გაწვევის პირველი თვე კატასტროფული შედეგით მთავრდება. რაიონულმა სამხედრო კომისარიატებმა, რომლებიც ჯერ კიდევ პასუხს აგებენ სამხედრო უწყებების ცოცხალი ძალით დაკომპლექტებაზე, 10 724 წვევამდელიდან მხოლოდ 600- ის გაწვევა მოახერხეს.

A2

## ეკონომიკა

### დღეს "იტერა" გაზის მოწოდებას განაახლებს

როცა მთავრობა გაზის საფასურის გადახდის პირობას დებს, ესე იგი, კრედიტის აღებას აპირებს. როცა იხდის, ეს ნიშნავს, რომ ახალი კრედიტი უკვე აღებულია. ვალებში მიღებული გაზი მხოლოდ თვიდან თვემდე ყოფნის ქალაქს.

A4

## უცხოეთი

### ნატო ცვლილებების მოლოდინში

21 ნოემბერს, ნატო-ს ისტორიულ სამიტზე, ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში შვიდ ახალ წევრს უკვე ოფიციალურად მიიღებენ. ამავდროულად, ალიანსის ლიდერები შეეცდებიან, შეცვლილ საერთაშორისო ვითარებაში სამხედრო გაერთიანების ახალი როლი და მიზნები განსაზღვრონ.

A5

## საზოგადოება

### მინისტრი დახმარებას ითხოვს

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ამირან გამყრელიძე პარლამენტს ბიუჯეტის დამტკიცების დროს დახმარებას სთხოვს. საქმე ისაა, რომ მომავალი წლისთვის მინისტრს გადაწყვეტილი აქვს, მაქსიმალურად უზრუნველყოს საყოველთაო პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარება.

A6

## სამართალი

### „ასტრა-დილომის„ ყოფილ პარტნიორებს შორის დავამ ახალი ძალით იფეთქა

კომპანია "ზმვ"-ს მთავარი იმპორტიორი საქართველოში, ფირმა "ასტრა-დილომი", ახალ სკანდალში გაება. ფირმის ყოფილი გენერალური დირექტორი თამაზ შაფათავა ძველ პარტნიორებს "ასტრა დილომის" ქონების დატაცებაში ადანაშაულებს.

A7

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 18 |
| ქუთაისი | 23 |
| ბათუმი | 23 |
| სოხუმი | 21 |
| ფოთი | 23 |
| თელავი | 16 |
| ზუგდიდი | 23 |
| გორი | 15 |
| ახმეტა | 16 |
| ჭიათურა | 18 |
| გაგრა | 19 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1850 |
| ევრო | 2.1894 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.4495 |
| რუბლი | 0.0687 |

# კლანური სტაბილურობიდან კრიმინალურ ფუნდამენტალიზმამდე



ეკა კვესიტაძე

გუშინ რაც მოხდა, ეს ამაზრზენი იყო. მაგრამ ასეთი ამაზრზენი მკვლელობის მოწმე თბილისი არაერთხელ გამხდარა. რაც მთავარია, არც ერთ ამ გახმაურებულ მკვლელობაზე სამართალდამცავებს პასუხი არ გაუციათ და რეალური დამნაშავე არ დაუჭერიათ.

არ დაუჭერიათ არც ისინი, ვისთვისაც ხალხის გატაცება შემოსავლიან ბიზნესად იქცა.

ასეთია შევარდნაძის მიერ დამყარებული სტაბილურობის მოკრძალებული ხიბლი.

ის, რაც ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში ხდება, ლოგიკური შედეგია იმ ქმედებების, რომელიც ხელისუფლებას სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აქვს აყვანილი.

ჩვენ უკვე აღარა ვართ ქვეყანა, სადაც დემოკრატია ჩანასახოვან მდგომარეობაში იმყოფება. ქვეყნის განვითარების ამ პერსპექტიული ეტაპიდან, დიდი ხანია, გადავინაცვლეთ განგსტერულ, კრიმინალურ ქვეყანაში, სადაც ადამიანთა სიცოცხლემ ჩალის ფასი შეიძინა.

სხვადასხვა ტიპისა და წარმომავლობის კლანების გაძლიერებამ, არარეფორმირებული სამართალდამცავების არნახულმა კორუმპირებულობამ და კლანების ბინძურ საქმიანობაში მათმა თანამონაწილეობამ, თავის დროზე პანკისის ხეობის ფულის საკეთებელ მანქანად გადაქცევამ, აბსოლუტურად ლოგიკური შედეგი გამოიღო.

იწყება ცნობილი ადამიანების მკვლელობების სერია, რომელთა მოტივი და დამკვეთი ისევ უცნობია. პანკისის ხეობაში იტაცებენ ცნობილ და უცნობ ადამიანებს, ტყვეობიდან ათავისუფლებენ მხოლოდ უცხოელ ბიზნესმენებს და მათი გათავისუფლებაც ფრიად საეჭვო ვითარებაში, დამნაშავეების დასახელების გარეშე ხდება. ყველაზე მომგებიან სფეროებში კი კლანების ინტერესები ერთმანეთს ეჯახება და ძალაუფლებისთვის ბრძოლა იწყება.

ამ მსხვილი და სკანდალური მოვლენების ფონზე იკარგება ის "წვრილ-წვრილი" დანაშაულები, რომლებიც გაძარცვის მიზნით ადამიანების უმოწყალო ცემაში, დღისით-მზისით ხალხის დაყაჩაღებაში და სხვა ამდაგვარ უამრავ ბოროტმოქმედებაში გამოიხატება.

გაგრძელება A2 გვერდზე

## კახი ასათიანის მკვლელობის ვერსიები ჯერ ძალზე ბუნდოვანია

სოფიკო ჩხაიძე

*მსგავსი მკვლელობები, როგორც წესი, გაუხსნელი რჩება და, საეჭვოა, საქართველოს პრეზიდენტის მიერ სამართალდამცველთათვის მიცემული მითითება - მკვლელების მოსაძებნად საგანგებო ზომები მიიღონ – ამ წესიდან გამონაკლისად იქცეს.*

სხვათა შორის, გუშინ საღამოს კახი ასათიანის მკვლელობის ადგილზე მისული სამართალდამცველ ორგანოთა წარმომადგენლები და პოლიტიკოსები მკვლელობის კონკრეტულ ვერსიებზე არ ლაპარაკობდნენ. თუ ერთნი ამ თემაზე საუბრისგან თავის ასაცილებლად საწყის ეტაპზე მყოფ გამოძიებას იშველიებდნენ, მეორენი ზოგადად ქვეყანაში არსებულ განუკითხაობასა და ამ განუკითხაობაში ხელისუფლების როლზე საუბრობდნენ. ქვეყანაში არსებულ დაუსჯელობის სინდრომზე აკეთებდა აქცენტს სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძეც. მისი თქმით:

**"საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა უნდა გახდეს ხელისუფლების უმთავრესი ამოცანა, რადგან დაუსჯელობის სინდრომი და კრიმინალთა თარეში ყოველი ადამიანის უსაფრთხოებას ემუქრება."** ჯორბენაძის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ კრიმინოგენული ვითარება ქვეყანაში არ შეიცვალა, არსებულ ფონზე პროცესები, შესაძლოა, უმართავი გახდეს. სახელმწიფო მინისტრს ეჭვი არ ეპარება, რომ სამართალდამცველები ძალას არ დაიშურებენ მკვლელების დასასჯელად.

თავად კახი ასათიანის ახლობელთა თქმით, მათ ეჭვის დონეზეც კი არ იციან, ვინ შეიძლებოდა ჰყოლოდა მას ისეთი მტერი, რომელიც სასიკვდილოდ გაიმეტებდა.

გაგრძელება A7 გვერდზე

## განუკითხაობის მორიგი მსხვერპლი

სოფიკო ჩხაიძე

*გუშინ თბილისის ცენტრში მომხდარმა მკვლელობამ ბევრს 90-იანი წლების დასაწყისის ქალაქი გაახსენა. კახი ასათიანის მკვლელობა ერთგვარად მართლაც ჰგავს 10-იოდე წლის წინათ თბილისისთვის ჩვეულებრივ ამბად ქცეულ საძმოებს შორის არსებული დაპირისპირების სისხლიან ეპიზოდს. კახი ასათიანი მკვლელმა (თუ მკვლელებმა) საღამოს, ხალხმრავალ ქუჩაში, საკუთარ მანქანაში მჯდომი ჩაცხრილეს. მკვლელობას არაერთი ადამიანი შეესწრო, ბევრმა დაინახა კიდეც მანქანა, რომლიდანაც ისროდნენ. სამართალდამცველთათვის ამ მანქანის აღწერილობა და სანომრე ნიშნის რამდენიმე ციფრი სწორედ თვითმხილველებისგან გახდა ცნობილი. დაქირავებული მკვლელები ასე გახსნილად იშვიათად მოქმედებენ.*

გუშინ, საღამოს რვის ნახევარზე, თბილისში, ირაკლი აბაშიძის (ყოფილი ბარნოვის) ქუჩაზე საკუთარ მანქანაში ჩაცხრილეს წარსულში ცნობილი ფეხბურთელი, სპორტის დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე, კომპანია "აირზენას" ერთ-ერთი დამფუძნებელი და ბოლო ხანებში ამავე კომპანიის ვიცე-პრეზიდენტი კახი ასათიანი. იგი მანქანაში

გაგრძელება A7 გვერდზე

## დილით დაწყებული დრამა შუადღით მშვიდობიანად დასრულდა



გოგიტა ბახაიძის ფოტო

რუსთავის პოლიციის უფროსი და მისი მოადგილე ეს-ესაა გაათავისუფლეს.

მაია მოსიაშვილი

რუსთავის ცენტრში დილის 10 საათზე პოლიციის შემოვლითმა ჯგუფმა 21 ერთი წლის დათო პაპაშვილი საეჭვოდ მიიჩნია და მის დაკავებას შეეცადა. პაპაშვილი შეიარაღებული აღმოჩნდა. მან გამვლელი ქალი მძევლად აიყვანა, იქვე გაჩერებულ ტაქსში ჩაჯდა და მძღოლს წასვლა უბრძანა. პაპაშვილმა მძევალი საკუთარ ბინაში, მეცხრე სართულზე აიყვანა.

მარინა მდივანი, პირველი მძევალი: "მან მითხრა, რომ არაფერს დამიშავებდა. არ მემუქრებოდა და არც უხეშად მომქცევია. მალევე გამომიშვა."

პაპაშვილის სახლთან პოლიციის კორდონი გაჩნდა. სამართალდამცველები ეზოსა და სადარბაზოში განლაგდნენ. ცოტა ხანში ქალის კივილის ხმა გაისმა, პაპაშვილმა გაურკვეველ სიტუაციაში დაჭრა მეზობელი, 27 წლის თემურ მჭედლიშვილი.

მანანა ლონდარიძე, მეზობელი, თვითმხილველი: "კივილის ხმაზე კარი გავაღე, კიბეზე მეზობელი ქალი ჩამოდიოდა და თან თავისი დაჭრილი შვილი მოჰყავდა. კარებთან პოლიციის თანამშრომლები იდგნენ და მთხოვეს, კარი დახურეთ და არ გამოხვიდეთო. ჩემთან სტუმრად მეზობელი ქალი იყო 2 წლის ბავშვთან

გაგრძელება A7 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 რეპორტაჟი

B2 კულტურა B3 ანკეტა B4-B5 ევროისტორია B6 განცხადებები B7 სპორტი B8 სხვადასხვა

# კლანური სტაბილურობიდან კრიმინალურ ფუნდამენტალიზმამდე

პირველი გვერდიდან

ამ ფონზე ხელისუფლების რეაგირება მხოლოდ სამძიმრის გამომხატველი განცხადებებითა და სამთავრობო სხდომებზე შინაგან საქმეთა მინისტრის მისამართით შევარდნაძის მკაცრი შენიშვნებით შემოიფარგლება. თუმცა, როგორც წესი, ეს თითის დაქნევაც ფორმალური გაფრთხილებაა, რომელიც რაიმე კონკრეტული შედეგის გარეშე მთავრდება.

ეს ბუნებრივიც არის, რადგან წარმოუდგენელია კრიმინალებთან იმ ხელისუფლების ბრძოლა, რომელიც თავადაა დაკავშირებული ამ სამყაროსთან და, ხშირ შემთხვევაში, მის დასაყრდენსაც წარმოადგენს.

ამ ქვეყანაში, სადაც არჩევნების დროს შეიარაღებული ადამიანები საარჩევნო ყუთებს იტაცებენ და ამისათვის არავინ ისჯება, სადაც პრეზიდენტი ცნობილ კრიმინალებს ათავისუფლებს, რომლებიც შემდეგ სახელმწიფო ტელევიზიის ეთერით პოლიტიკოსებს ფიზიკური განადგურებით ემუქრებიან, სადაც დამნაშავეებს აჭარის ლიდერი მფარველობს, სადაც ზარანდიასნაირი კრიმინალები, მხედრიონთან ერთად, პოლიტიკურ გაერთიანებებს ქმნიან და ამის გამო პროტესტი არავის უჩნდება, სადაც პარლამენტი მკვლელებისათვის ხდება თავშესაფარი და ტრიბუნა, საიდანაც მორალსაც კითხულობენ, სადაც პოლიტიკოსებს შორის პოლიტიკური დებატების ფორმა ქუჩურმა გარჩევებმა შეცვალა და სადაც, ბოლოს და ბოლოს, საქმეებს ისევ ქურდები არჩევენ, დემოკრატიას და დემოკრატიულ მმართველობას არაფერი ესაქმება.

ეს არის სტაბილურობა, რომელიც შევარდნაძემ და მისმა ხელისუფლებამ შეგვიქმნა, რომელსაც უნდა ვაფასებდეთ და რომლის დაკარგვასაც ასე უნდა ვუფრთხოდეთ.

## მოკლედ

**თბილისი.** ნატო-ს გენერალური მდივანი ჯორჯ რობერტსონი მიესალმება საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებას ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან თანამშრომლობის გაღრმავების თაობაზე. როგორც სახელმწიფო კანცელარიაში აცხადებენ, რობერტსონის მიერ პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძისადმი გამოგზავნილ წერილში ნატო-ს გენერალური მდივანი მადლობას უცხადებს სახელმწიფოს მეთაურს მისი 11 ნოემბრის წერილისათვის, სადაც მომავალი თანამშრომლობის ხედვაა ასახული.

ამასთან, რობერტსონი პრეზიდენტს ჰპირდება, რომ "ალიანსი" მზადაა საქართველოს მხარდაჭერისათვის. რობერტსონი მიესალმება იმ პასუხისმგებლობის აღქმას და დიდი მოცულობის გასაკეთებელი საქმის რეალიზმს, რასაც ევროატლანტიკური ინტეგრაცია საჭიროებს. რობერტსონი, ასევე, მიესალმება შევარდნაძის სურვილს, სრულად გამოიყენოს ის მექანიზმები, რასაც ახალი ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 22 ნოემბრისათვის ნიუ-იორკში დაგეგმილი გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელზეც აფხაზეთის საკითხი უნდა განეხილათ, დეკემბრის პირველ დეკადაში გაიმართება. რუსული მხარის კატეგორიული მოთხოვნის მიუხედავად, სხდომის მუშაობაში აფხაზური დელეგაცია მონაწილეობას არ მიიღებს.

სხდომის გადადება გუშინ გაერო-ს უშიშროების საბჭოს მოსამზადებელ კონსულტაციებზე გადაწყდა, აცხადებენ გაერო-ს საქართველოს წარმომადგენლობაში.

"აფხაზეთის შესახებ" გაერო-ს უშიშროების საბჭოს მორიგი სხდომის გადადების მიზეზად ოფიციალურად გაერო-ს გენერალური მდივნის მოადგილის, სამშვიდობო ოპერაციათა დეპარტამენტის ხელმძღვანელის ჟან-მარი გენოს ნიუ-იორკში დაბრუნება სახელდება. როგორც განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი მალხაზ კაკაბაძემ აცხადებს, გუშინ გაერო-ს უშიშროების საბჭოს მოსამზადებელ კონსულტაციებზე რუსეთის დელეგაცია კატეგორიულად ითხოვდა 22 ნოემბერისათვის დანიშნული სხდომის მუშაობაში სოხუმის ხელისუფლების პრემიერ-მინისტრის ანრი ჯერგენიას მონაწილეობას.

მისივე თქმით, გუშინდელ კონსულტაციებზე საბოლოოდ გადაწყდა, რომ აფხაზური დელეგაცია გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომაზე აფხაზეთის საკითხის განხილვაში მონაწილეობას არ მიიღებს. **ინტერ-პრესი**




# პოლიტიკური სპექტაკლი ოპერაში, რომელშიც ამომრჩეველი მოტყუებით მონაწილეობდა

*"ძალიან ზოგადად საუბრობთ, თანაც იმას ამბობთ, რაც უკვე ყველამ, დიდი ხანია, იცის. თქვენ მოგვიწოდებთ, რომ უნდა გავერთიანდეთ. გვაინტერესებს, ვის ან რის გარშემო გავერთიანდეთ. თუ ჯორბენაძის მხარდასაჭერად მოგვიყვანეთ აქ, მე ჯორბენაძეს მხარს ვერ დავუჭერ. მაგან "მოქკავშირის" სპიკერობა არ იკადრა, პირდაპირ თავმჯდომარეობა მოინდომა... მე ლოტკინელი ამომრჩეველი, უბრალო მოქალაქე ვარ და მაინტერესებს, რისთვის შევიკრიბეთ აქ?" - ლოტკინელი ამომრჩევლის შეკითხვას პასუხი ღონისძიების დასასრულს გაეცა - ოპერისა და ბალეტის თეატრში "დეპუტატთა ჯგუფის შეხვედრა ამომრჩეველთან" (ოფიციალურად ასე იყო მითითებული მოსაწვევ ბარათში) ახალი პოლიტიკური მოძრაობის ჩამოყალიბებით დაგვირგვინდა.*

ვერიკო თევზაძე



*ლოჟის მაყურებელი მოტყუებული არ დარჩენილა.*

შეხვედრის ორგანიზატორმა სამმა დეპუტატმა - დავით სალარიძემ, არჩილ გოგელიამ და თენგიზ გაზდელიანმა დამსწრე აუდიტორიას აუხსნეს, რომ მათი ამომრჩეველთან შეხვედრის მიზეზი გახდა ბოლო დროს განვითარებული მოვლენები, რომელიც ძალადობას უკავშირდება. ამის შემდეგ დეპუტატებმა თანდათანობით, მინიშნებებით დაიწყეს საუბარი იმ ძალებზე, რომლებიც **"ინდიფერენტულ მასებს რევოლუციისკენ უბიძგებენ".**

არჩილ გოგელიას აზრით, რადიკალიზმსა და ძალადობას ხელს უწყობს ოპოზიცია. კერძოდ, მან მოგვაგონა **"იმელში, რუსთავსა, საკრებულოში მომხდარი ძალადობის ფაქტები."** დავით სალარიძემ **"მოქკავშირიდან" გამოყოფილ და ამჯერად ოპოზიციაში მყოფ პოლიტიკოსთა ერთ ჯგუფზე"** შეაჩერა ყურადღება და დასძინა: **"ისინი ექვსი-შვიდი წლის განმავლობაში იმყოფებოდნენ "მოქკავშირში," ახლა ამბობენ, რომ შეცდნენ. შეცდომა პოლიტიკაში გამორიცხულია".** არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ნანა ბალაშვილი ლეიბორისტებს და მთლიანად საკრებულოს გადასწვდა. **"ლეიბორისტები ჯერ პარლამენტში ჩხუბობდნენ, ახლა საკრებულოში ომობენ, სჯობს, კონკრეტული საქმე გააკეთონ... საკრებულოში მთავრობა გადააყენეს, მაგრამ საკითხავია, ვის დააბრუნებენ უკან... ჩვენ უნდა გავყვეთ იმათ, ვინც იცის ხვნა და თესვა. ვინც არ იცის, ნუ ექნება პრეტენზიები მემკვიდრეობაზე."**

ხობის საკრებულოს თავმჯდომარემ განაცხადა, **"ნაციონალური მოძრაობის" წევრები სამეგრელოში არავის დაუჩაგრავს, ისინი ცრუობდნენ... ქვეყანაში თანდათან მრავლდებიან დემაგოგები, პროვოკატორები. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. ხელისუფლებას მეტი სიფხიზლე მართებს. დემაგოგებს ყველაფრის უფლება არ უნდა მივცეთ. ინდიფერენტულ მოსახლეობას დესტრუქციული ძალები იყენებენ ხელისუფლების წინააღმდეგ. ეს პრობლემა სერიოზულია და სასწრაფო გადაწყვეტას მოითხოვს",** - დამსჯელი ღონისძიებების აუცილებლობაზე, ხობის საკრებულოს თავმჯდომარის გარდა, სხვა გამომსვლელებმაც ისაუბრეს. მაგალითად, დავით სალარიძის და არჩილ გოგელიას აზრით, **"პროკურატურამ უნდა განიხილოს პრესაში გამოქვეყნებული მამხილებელი წერილები. თუ მხილებული ჩინოვნიკი გამტყუნდა, მან უნდა აგოს პასუხი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჟურნალისტი უნდა დაისაჯოს... დღეს რა ხდება საქართველოში, ვერ გაიგებ, რაც უნდათ, იმას წერენ და ამბობენ, ეს სიტყვის თავისუფლება არ არის."**

დეპუტატთა სამეული "ზოგიერთ პარლამენტარს", "საკრებულოს წევრს", "ულირს პოლიტიკოსს" კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა, საქართველოს პრეზიდენტისა და სახელმწიფო მინისტრისადმი კი ლოიალურები იყვნენ. **"პრეზიდენტის პარლამენტში გამოსვლისას განსაკუთრებით მომეწონა ის, რომ მან თქვა: მართვის სფეროში რეფორმები უსწრაფესი ტემპით უნდა დავიწყოთო. ოპოზიცია ამბობს, რომ უკვე გვიანია. მე ვიტყოდი: სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს",** - დავით სალარიძის პოზიციას სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძეც იზიარებს. **"მორალის გარეშე პოლიტიკა სერიოზულ პრობლემებს შეგვიქმნის. ოპოზიციას არ უნდა მივცეთ მოვლენების რევოლუციურად განვითარების საშუალება. მთავრობაში სერიოზული რეფორმები იწყება."** ტრიბუნაზე მდგარ სახელმწიფო მინისტრს წუთითაც არ დავიწყებია, რომ იგი იმავდროულად "მოქკავშირის" ლიდერიცაა: **"მოქალაქეთა კავშირს" მკვდარ პარტიას უწოდებენ. მე ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ მან ღირსეულად გაიმარჯვოს მომავალ არჩევნებში. მართალია, ერთ დროს ბევრმა დატოვა პარტიის რიგები, მაგრამ დარჩენილი ნაწილი მხოლოდ პატიოსანი თამაშის წესებით მიაღწევს წარმატებას."**

დავით სალარიძის აზრით, შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი ასეთია: **"მომავალი პარლამენტი ახლანდელს არ უნდა ჰგავდეს. ნუ გგონიათ, რომ საბოლოოდ დაღუპულები ვართ. ქვეყანაში კვლავ მოიძებნებიან პატრიოტული ძალები. მომავალ 230 დეპუტატს აქვე უნდა ჩავუყაროთ საფუძველი."** სალარიძის გამოსვლის შემდეგ ერთ-ერთი ამომრჩეველი მანდილოსანი დარბაზიდან წამოდგა და სალარიძეს "შესთავაზა": **"იქნებ, რაიმე მოძრაობა ჩამოაყალიბოთ. ამით იმ ადამიანებს, რომელთაც თქვენი სჯერათ, საშუალება ექნებათ, გვერდში ამოგიდგნენ".** დავით სალარიძემ ამომრჩევლის იდეა არათუ მოიწონა, მომავალი პოლიტიკური მოძრაობის საინიციატივო ჯგუფის წევრები და მათი სამუშაო ადგილსამყოფელიც კი დაგვისახელა: **"ზინას დავიდებთ სასტუმრო "საქართველოს" შენობაში. თქვენ ნახავთ, როგორ საქმიანობას გავშლით. აქედან წავალთ, სერიოზულად ვიმუშავებთ ამომრჩეველზე, რეგიონებს დავივლით, ოფლს დავღვრით, მერე მოვალთ ხელისუფლებაში და საქმით დაგარწმუნებთ, რომ ხალხის კეთილდღეობაზე ვზრუნავთ... დიახ, დღეს ახალ მოძრაობას ეყრება საფუძველი, ეს არის ადამიანთა მოძრაობა, რომელიც შეძლებს ქართულ პოლიტიკაში უკეთესი სელექცია გააკეთოს."**

**"გაზი როდის გვექნება, გაზი",** - პროტესტის ნიშნად წამოიძახა ერთ-ერთმა გაწბილებულმა ამომრჩეველმა და გამატარეო, - სთხოვა გვერდით მჯდარ მეორე ამომრჩეველს. ამ უკანასკნელს მობილურ ტელეფონზე ცხვირსახოცი ჰქონდა მიფარებული და ვილაცას ეჩურჩულებოდა: **"არ დამელოდო, საგარეჯოში ვიმყოფები და ღმერთმა იცის, როდის დავბრუნდები"... "ამ დარბაზში რავა ყველა იტყუება,** - მოთმინების ძაფი გაუწყდა ხანში შესულ ამომრჩეველს, - **რომ მცოდნოდა, ორგანიზაციას აყალიბებდნენ, აქ ფეხს დავდგამდი?!..."**

ასე დასრულდა ოპერისა და ბალეტის თეატრში პოლიტიკური სპექტაკლი, რომელშიც, უკეთესი სელექციის მოიმედე პოლიტიკოსებთან ერთად, ამომრჩეველი მოტყუებით მონაწილეობდა.

# გაწვევა უჯარო გენერლებისა და სარდლების ქვეყანაში

*სამხედრო ძალებში საშემოდგომო გაწვევის პირველი თვე კატასტროფული შედეგით მთავრდება. რაიონულმა სამხედრო კომისარიატებმა, რომლებიც ჯერ კიდევ პასუხს აგებენ სამხედრო უწყებების ცოცხალი ძალით დაკომპლექტებაზე, 10 724 წვევამდელიდან მხოლოდ 600- ის გაწვევა მოახერხეს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გაწვევის ვადა 30 დეკემბერს იწურება, გეგმის შეუსრულებლობის შემთხვევაში, რაც ეჭვს აღარ იწვევს, ქვეყანა სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდება - საქართველოს ეყოლება ძალოვანი მინისტრები, ოქროცურვილი სამხრეებითა და ნაირნაირი ჯილდოებით დამშვენებული გენერალიტეტი, მსოფლიოში უძლიერესად დაცული უმაღლესი მთავარსარდალი, მაგრამ არ ეყოლება რეგულარული სამხედრო ძალა. და რაც უფრო გააჭიანურებს ხელისუფლება პროფესიულ არმიაზე გადასვლის პროცესს, მით უფრო დიდხანს შერჩება საქართველოს უჯარო გენერლებისა და დეზერტირების ქვეყნის სახელი.*

კობა ლიკლიკაძე
"რადიო თავისუფლება"
სპეციალურად "24 საათისთვის"

საქართველოში სამხედრო გაწვევის ორგანიზება ძალინ წააგავს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების პროცესს. მიუხედავად იმისა, რომ ყოველწლიურად ადგილი აქვს სერიოზულ კრიზისს, ხელისუფლება ცდილობს მხოლოდ ფასადური ცვლილებებით მოაგვაროს პრობლემა. თუ რა გამოდის ამგვარი ნახევარზომებით, ყველამ იცის. წინა საგაზაფხულო გაწვევაზე, სამხედრო კომისარიატებმა საერთო გეგმა მხოლოდ 67პროცენტით შეასრულეს, ანუ სამხედრო ძალებს, დაახლოებით, 1500 ჯარისკაცი დააკლეს. და ეს მაშინ, როცა საქართველოში წვევამდელთა საკმაოდ სერიოზული რეზერვი არსებობს. სამხედრო კომისარიატის ოფიციალური მონაცემით, საქართველოში ყოველწლიურად 180 ათასი წვევამდელის აღრიცხვა ხდება, მაგრამ ხელისუფლება ვერ უზრუნველყოფს მათ ჩაბმას სამხედრო სამსახურში. ამის მიზეზი კი ყოვლად ბანალურია - არმიის არსებობის ათი წლის განმავლობაში ხელისუფლებამ სამხედრო სამსახური ვერაფრით გახადა მიმზიდველი, ნებაყოფლობით კი სამხედრო ვალდებულების შესრულება და ოჯახისგან წელიწადნახევრით მოწყვეტა არავის სურს.

მიმდინარე საგაზაფხულო გაწვევის კამპანია ამ მხრივ ყველაზე თვალსაჩინო ბარომეტრია. თუ აქამდე წვევამდელებს პირდაპირ ქუჩაში იჭერდნენ და გამწვევ პუნქტებზე ხშირად ბადრაგის თანხლებით მიჰყავდათ, ამჟამად სამხედრო კომისარიატის მუშაკები ყმაწვილებს გამწვევ პუნქტებზე ელოდებიან. "ექსპერიმენტის" შედეგები საგანგაშოა. 10 750 კაცის ნაცვლად, სამხედრო სამსახურში გაწვევის სურვილი 600-მა ახალგაზრდამ გამოთქვა და მათაც გარკვეული მოტივაცია აქვთ: მიღებულია, რომ წვევამდელთა პირველი ნაკადით ელიტარული სამხედრო ქვედანაყოფები - თავდაცვის სამინისტროს კოჯრის ან შინაგანი ჯარების მუხროვანის ბრიგადები კომპლექტდება. პრობლემატური არც სახელმწიფო დაცვის სახელმწიფო სამსახურის მოთხოვნის დაკმაყოფილება იქნება, რადგან ის 400 ახალგაზრდა, რომლებსაც პრეზიდენტის სვლაგეზის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, დედაქალაქში განლაგებული საელჩოებისა და რეზიდენციების დაცვა ევალება, ჩვეულებრივ, ხელფასიან სამუშაოს ასრულებს და თანაც კვირაში ორ დღეს სახლში ატარებს. ასე რომ, მოტივირებულ წვევამდელთა რიცხვი, გაწვევის ვადის დამთავრებამდე, შესაძლოა, 1000 კაცამდე ავიდეს. მაგრამ სად უნდა მოიძებნოს დანარჩენი 9750 კაცი?

ეს შეკითხვა აქტუალურია იმდენად, რამდენადაც სამხედრო სამსახურში წვევამდელთა გაწვევა და დემობილიზება პარალელური პროცესია. ანუ, თუ არ იქნება შევსება, ისე სამხედრო სავალდებულო სამსახურგავლილი მოქალაქე სამხედრო ნაწილს ვერ დატოვებს, რადგან მაშინ საერთოდ დაუცველი დარჩება ტყვია-წამლის, ტექნიკისა და შეიარაღების საცავები. შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის საორგანიზაციო-სამობილიზაციო სამმართველოს უფროსის, პოლკოვნიკ გელა უღრელიძის თქმით, ასეთი საშიშროება რეალურია, თუმცა სამხედრო ხელმძღვანელობა, როგორც ყოველთვის, დროებითი ღონისძიებით შეეცდება, არც მწვადი დაწვას და არც შამფური.

გელა უღრელიძე: ***"წელიწადნახევარი ვინც იმსახურა, იმას დაითხოვენ. მათი გაჩერების უფლება კანონით არ გვაქვს, მაგრამ წინა ორი გაწვევის ხალხი ჩაენაცვლება მათ. რა თქმა უნდა, პრობლემა დარჩება, იმიტომ, რომ ჯარისკაცი აღარ იქნება. დღეს, ვთქვათ, ჩაენაცვლება ვინმე, მაგრამ მაისში ვინ ჩაენაცვლება? - ვერავინ."***

მაისის შემდეგ, ანუ საგაზაფხულო გაწვევაზე, ვითარება კიდევ უფრო არაპროგნოზირებადი იქნება. სავალდებულო სამხედრო სამსახურის კანონში, ივლისის ბოლოს შესული შესწორების თანახმად, მომავალი წლის 29 იანვრიდან არმიის დაკომპლექტება მთლიანად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დაქვემდებარებაში მყოფ სამხედრო განყოფილებაზე გადავა. სამხედრო კომისარიატი კი მხოლოდ გასაწვევი რესურსის აღიცხვასა და რეზერვისტთა მობილიზებაზე იქნება პასუხისმგებელი. ამიტომაცაა, რომ კომისარიატის წარმომადგენლები აღარ იწუხებენ თავს მიმდინარე გაწვევის გეგმის შესასრულებლად კარდაკარ სირბილით. ეს ხომ მათი ბოლო გაწვევაა, რის შემდეგაც ერთ დროს მრისხანე კომისარიატის სახელი დავიწყებას უნდა მიეცეს. ამ საბჭოურ სტრუქტურას არავინ დაიტირებს, იმ ადამიანების გარდა, ვინც მის დერეფნებში ძალაუფლებას და სიმდიდრეს მოუყარა თავი. მაგრამ ვინ მოდის მათ ნაცვლად? რას წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში შექმნილი ის სტრუქტურა, რომელმაც ჭაბუკების სამხედრო სამსახურში გაწვევა უნდა უზრუნველყოს? ამ შეკითხვით ჩვენ ჯარისკაცთა და სამხედრო მოსამსახურეთა უფლებათდამცველ არასამთავრობო ორგანიზაციის - "სამართალი და თავისუფლება" - წარმომადგენელს, ირაკლი სესიაშვილს მივმართეთ, რომელიც რამდენჯერმე შეეცადა, დაედგინა, თუ რას წარმოადგენს ახალი სტრუქტურა.

ირაკლი სესიაშვილი: ***"ვერანაირი პასუხი ვერ მივიღე, თუ უშუალოდ ვინ იქნება ამ საქმის სათავეში, ვინ განახორციელებს, რა შტატი იქნება, რა ფუნქციებითა და, ასე ვთქვათ, ამოცანებით დაკავებული. და თუ ეს დღეს გარკვეული არ არის, ნიშნავს იმას, რომ 2003 წლის პირველი იანვრიდან ეს სისტემა, უბრალოდ, ვერ გადავა ადგილობრივი მმართველობის ორგანოებზე."***

ასეთ შემთხვევაში, სრულიად ბუნებრივად იბადება კითხვა, არსებობს თუ არა გამოსავალი ამგვარი მოჯადოებული წრიდან. უფრო სწორად, ეს შეკითხვა არსებობს ზუსტად იმდენი ხანი, რამდენ წელსაც მოითვლის საქართველოს არმია და მასზე პასუხიც ცნობილია. ეს არის სამხედრო საქმის პროფესიად ქცევა და სამხედრო ბიუჯეტის არა ყველაზე, არამედ იმ ადამიანებზე განაწილება, ვინც თავის ცხოვრებას სამხედრო საქმეს დაუკავშირებს. მაგრამ, რაკი ეს გამოსავალი საქართველოს ხელისუფლებას მწარე გამოცდილებამ ვერ დაანახვა, მაშინ ამას დაცარიელებული ყაზარმები დაანახებენ.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# პარლამენტი გადაწყვეტილებას ცვლის

## ახლა უმრავლესობა თბილისის მერის არჩევის მომხრეა

*10 ხმით ოთხის წინააღმდეგ - პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტმა, ფაქტობრივად, წითელი შუქი აუნთო თბილისის მერის არჩევითობის საკითხის პარლამენტში განხილვას. "მრეწველების" მიერ ერთ დღეში წარმოდგენილი კანონპროექტის დაწუნების მიუხედავად, კომიტეტის წევრები აღიარებენ, რომ პრობლემა მომწიფებულია და საქართველოს მთავარ ქალაქს მერი არჩეული უნდა ჰყავდეს.*



*პროსახელისუფლებო ძალები ცოტა ხნით ადრე ასეთივე მონდომებით ამტკიცებდნენ, რომ თბილისის მერის არჩევა დაუშვებელი იყო.*

თამარ მჭედლიშვილი

ორი დღის წინ ფრაქცია "მრეწველების" წევრმა გურამ შარაძემ პლენარულ სხდომაზე მოითხოვა თბილისის მერის არჩევითობის საკითხის დღის წესრიგში დაუყოვნებლივ ჩასმა. ამან პარლამენტში საკმაო აჟიოტაჟი გამოიწვია. იქვე გაჩნდა ვერსია, რომ შარაძის ასეთი "გარჯა" პირდაპირ უკავშირდებოდა დედაქალაქის ამჟამინდელი მერის - ვანო ზოდელავას - გვარიანად შერყეულ პოზიციებს. იმავე დღეს გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმად, სახელმწიფო კანცელარიაში მერის ახალი კანდიდატურის ძიება დაიწყო და ამ გზამ მაღალი სახელისუფლებო გვამები პარლამენტში, ფრაქცია "მრეწველების" ერთ-ერთ ლიდერთან დავით სალარიძესთან მიიყვანა.

სხვათა შორის, ეს მოსაზრება დეპუტატებს გუშინ უფრო გაუმყარდათ, როდესაც შარაძის სიტყვიერ ინიციატივას "მრეწველებმა" უკვე გამზადებული კანონპროექტიც მიაშველეს და იგი პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის მსჯელობის საგანიც გახადეს.

რა თქმა უნდა, კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე მხოლოდ გაკვრით იყო ნახსენები კონკრეტული ჯგუფების პოლიტიკური ინტერესები, მაგრამ ისიც ცხადი იყო, რომ ამის შესახებ ყველამ შესანიშნავად იცოდა. სხდომის შედეგი კი ასეთი იყო: დეპუტატთა უმრავლესობა თბილისის მერის არჩევითობის დაუყოვნებლივ და გაუაზრებლად შემოღების წინააღმდეგი წავიდა.

საბოლოოდ გადაწყდა, რომ ცალკე სახელმწიფო კანცელარიაში და ცალკე პარლამენტში ქვეყნის ტერიტორიულ მოწყობაზე მომუშავე ჯგუფები სხვა საკითხების შესწავლას ამ კონკრეტულ თემასაც დაუმატებენ და პარლამენტის წინაშე უკვე **"გააზრებულ, იურიდიულად დასაბუთებულ წინადადებებს წარმოადგენენ, რომლებიც შემდგომ კანონპროექტის სახით მიეწოდება პარლამენტს".**

სხვათა შორის, გუშინ "მრეწველები" არ უარყოფდნენ მათი იდეის სასწრაფო განხილვის აუცილებლობას, მაგრამ არც იმას აღიარებდნენ, რომ იდეა მაინც მათ თანაფრაქციელს უკავშირდებოდა.

საინტერესო დეტალი: კომიტეტის "მრეწველმა" წევრმა ოთარ მენაბდემ სხდომის დაწყებიდან რამდენიმე წუთში ზურაბ ტყემალაძესთან ტელეფონით გადაამოწმა, იდეა მართლა "მრეწველთა" მეშვეობით "ჩაეწოდა" რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტს განსახილველად, თუ - არა. ზურაბ ტყემალაძემ მას დაუდასტურა, რომ დეპუტატი გურამ შარაძე ორი დღის წინ სწორედ ფრაქციასთან შეთანხმებულად მოქმედებდა.

"მრეწველების" მიერ მომზადებული კანონპროექტის შესახებ არაფერი იცოდა სახელმწიფო კანცელარიის რეგიონული პოლიტიკისა და მართვის სამსახურის უფროსმა ირაკლი ბოჭორიძემ, რომელმაც "24 საათს" განუცხადა:

**"ჩემთვის ეს დოკუმენტი საერთოდ უცნობი იყო. მინდა გითხრათ, რომ ისეთი უმთავრესი საკითხი, როგორიც არის დედაქალაქის მერის არჩევის საკითხი, ასე იოლად არ წყდება. თბილისი არ არის ერთ-ერთი რიგითი ქალაქი.**

**არ შეიძლება ხისტად მივუდგეთ საკითხს, რადგან ნებისმიერმა შეცდომამ საკმაოდ სერიოზულ უარყოფით შედეგებამდე შეიძლება მიგვიყვანოს. თბილისზეა დამოკიდებული ქვეყნის სტაბილურობა, ეკონომიკა და ასე შემდეგ."**

რაც შეეხება თავად იდეის განხილვის მიმდინარეობას: კანონპროექტი კომიტეტის სახელით "ტრადიციონალისტმა" ალექსანდრე შალამბერიძემ წარმოადგინა. კანონპროექტის 22-ე მუხლის თანახმად, **"მერი არის ქალაქ თბილისის უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელსაც ირჩევს თბილისის მოსახლეობა. თბილისის მერი ირჩევა 4 წლის ვადით, ერთი და იგივე პირი ქალაქ თბილისის მერად შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ სამჯერ. თბილისის მერად შეიძლება აირჩეს საარჩევნო ხმის უფლების მქონე, დაბადებით საქართველოს მოქალაქე, რომელიც კანონით დადგენილი რეგისტრაციის წესის შესაბამისად, 15 წელი მაინც ცხოვრობდა თბილისში და, მათ შორის, ბოლო 5 წელი ცხოვრობდა და საქმიანობდა თბილისში და კენჭისყრის დღისთვის შეუსრულდა 30 წელი"...**

სრულყოფილი თვითმმართველობის არარსებობის პირობებში მერის დაუყოვნებელი არჩევნები გაუმართლებლად მიაჩნია დეპუტატ ბადრი ხატიძეს. მისი თქმით, საჭიროა მკვეთრად განისაზღვროს, **"რა მიმართულებით მიდის საქართველო ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის თვალსაზრისით და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყოს ფიქრი თვითმმართველობის ფორმებზე".**

რაც შეეხება თბილისის ყოფილ მერს ნიკო ლეკიშვილს, იგი აცხადებს: **"ჩვენ არ უნდა გამოვიგონოთ ახალი ვარიანტი. ჯერ სისტემა ავირჩიოთ, თვითმმართველობის როგორი ვარიანტი გვინდა. ევროპული ვარიანტის დროს პარტიული სიის პირველი ნომერი ხდება ბურგომაისტერი, რომელიც ამავე დროს არის აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელი. მე პირადად ამერიკული მოდელის მომხრე ვარ. თანაც არ დაგვავიწყდეს, რომ თავად თბილისის შესახებ კანონი ძალიან სერიოზულად დასახვეწია. კარგია, რომ ამ თემაზე დავიწყეთ მსჯელობა. ჩვენ ვაფიქსირებთ, რომ მერი არჩევითი უნდა იყოს, მაგრამ ყველამ ერთად ამოვირჩიოთ ერთი ვარიანტი და ამ ვარიანტით ვიაროთ, თორემ დღეს საქართველოში არსებული თვითმმართველობითი სისტემა ისეთი დასახვეწია, რომ მერის პირდაპირი არჩევის შემთხვევაში ეს ძალზე გაართულებს სიტუაციას. პარალელურად გადასახედია საკრებულოს უფლებამოსილების საკითხებიც. დღეს არსებული ვარიანტი ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია".**

რომან კუსიანი, ფრაქცია "დემოკრატის" წევრი:

**"მერის არჩევითობის თემის წინ წამოწევა ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ ემსახურება თბილისზე ფიქრს. ეს ემსახურება ზოგიერთი პარტიის და კერძო პირის ინტერესებს. ყველამ ძალიან კარგად იცის, რომ ახლა მიღებული კანონი უნდა ამოქმედდეს 4 წლის შემდეგ, როცა ამ მოწვევის საკრებულოს უფლებამოსილების ვადა ამოეწურება. კანონში ცვლილებების მომზადება კი მომავალი პარლამენტის პრეროგატივაა, რადგან ახლა არავინ უწყის, რა იქნება საჭირო მაშინ. თანაც, აუცილებლად შესაცვლელი იქნება კანონი თვიმმართველობისა და მმართველობის შესახებ. და კიდევ: საოცარია ისიც, რომ მერის არჩევითობის აუცილებლობაზე ჩვენი გუნდი საკრებულოების არჩევნების წინ საუბრობდა, მაგრამ მაშინ ზოგიერთმა ფრაქციამ, რომელიც ახლა ამ ინციატივით გამოდის, მხარი არ დაგვიჭირა".**

# საქართველო ჩეჩნების ექსტრადიციაზე დათანხმდა

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

კრემლში რუსეთ-საქართველოს ეროვნული უშიშროების, იუსტიციის სამინისტროებისა და გენერალური პროკურატურების ორდღიანი კონსულტაციები მოსკოვისათვის ხელსაყრელი შედეგით დასრულდა. ქართული მხარე დათანხმდა რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე იარაღით ხელში დაკავებული ჩეჩენი ბოევიკების რუსეთში ექსტრადიციას. ოღონდ ერთი პირობით: თუ ექსტრადიციის დროს დაცული იქნება საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული მთელი რიგი პირობები, - ამის შესახებ "24 საათს" მოსკოვში საქართველოს საელჩოს წარმომადგენელმა განუცხადა. საინტერესოა, რომ რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ამ "პირობას"გვერდი აუარეს და მოსკოვის სააგენტოების მიერ გავრცელებულ ინფორმაციებში მასზე ყურადღება არ გაუმახვილებიათ.

ორდღიანი მძიმე საუბრების შემდეგ რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანმა ვლადიმირ რუშაილომ კრემლში შეკრებილ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ "ასეთი გადაწყვეტილება არ არღვევს საერთაშორისო კონვენციას 3-5 აგვისტოს რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე იარაღით ხელში დაკავებული ბოევიკების მიმართ". კრემლის ასეთ შეფასებებს დაეთანხმნენ რუშაილოს კაბინეტიდან გამოსული, საქართველოს გენერალური პროკურატურის, იუსტიციის სამინისტროსა და უშიშროების საბჭოს წარმომადგენლებიც. ვლადიმირ რუშაილოს განცხადებით, "ქართული მხარის ასეთი კონსტრუქტივიზმის წყალობით მოსკოვური მოლაპარაკებები გახდა სხვადასხვა მიმართულებით ორი ქვეყნის ურთიერთქმედებებში პოზიციების დაახლოების ახალი ეტაპი". ჯერჯერობით ცნობილია, რომ არსებობს ჩეჩენი ბოევიკების საქართველოდან რუსეთში ექსტრადიციაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ მხარეთა შეთანხმებული გეგმა, რაც ორი ქვეყნის სასაზღვრო დეპარტამენტების წარმომადგენლების განცხადებებითაა დადასტურებული.

ამისგან განსხვავებით, ბოლომდე უცნობი რჩება, მაინც რა შეთანხმებებს მიაღწიეს რუშაილო-ჯაფარიძემ პანკისისა და კოდორის ხეობების სიტუაციის განმუხტვის თვალსაზრისით, ან საერთოდ, რა მოვლენები ვითარდება აფხაზეთის მონაკვეთზე.

როგორია ოფიციალური მოსკოვის პოზიცია კოდორის ხეობაში მოსალოდნელ გართულებებზე გაერო-ს უშიშროების საბჭოს მორიგი სხდომის წინ. მოსკოვში კვლავაც იმყოფება სოხუმის რეჟიმის წარმომადგენლი ანრი ჯერგენია, რომელსაც ოფიციალურ მეურვეობას უწევს აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებაში რუსეთის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი ვალერი ლოშჩინინი. ჯერგენია ტრადიციას ღალატობს და მოსკოვში პრესკონფერენციებს აღარ მართავს. რაც იმის მაუწყებელია, რომ ყველაფერი რიგზე არც სმოლენსკის მოედანზე მდებარე მაღლივ შენობაშია. მოსკოვის ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში წევს ვლადისლავ არძინბა, რომელიც თავს კვლავ შეუძლოდ გრძნობს. მოსკოვში არძინბას წარმომადგენლის იგორ აჰბას პრესმდივნმა ტატიანა გულიამ "24 საათს" განუცხადა, რომ "არძინბა და ჯერგენია მოსკოვში აგრძელებენ ყოფნას რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარების მიზნით". მოსკოვში კარგად ინფორმირებული წყაროების ცნობით კი არძინბაცა და ჯერგენიაც მოსკოვში დარჩებიან აფხაზეთში სიტუაციის საბოლოო გარკვევამდე. საგულისხმოა, რომ რუშაილო-ჯაფარიძის შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო კონტინგენტის ინტერნაციონალიზაციაზეც. ამ მასალის გადმოცემის მომენტში კრემლში ორი ქვეყნის უშიშროების საბჭოს მდივნების კონსულტაციების მეორე, საღამოს რაუნდი იწყებოდა, რომელიც წინასწარი მონაცემებით, გვიან ღამემდე გაგრძელდება.

## მოკლედ

გუშინ საღამოს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ უცხოელ სტუმრებს უმასპინძლა. დიდი ბრიტანეთის ლორდთა პალატის დელეგაციასთან შეხვედრის მთავარი თემები რუსეთთან ურთიერთობა და საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება გახლდათ. შედარებით მწვავე იყო შეხვედრა ეუთოს უმაღლეს კომისართან ეროვნული უმცირესობების საკითხებში როლფ ეკეუსთან. სტუმარმა საგანგებოდ გაუსვა ხაზი, რომ იგი მხოლოდ უმცირესობების ინტერესების დამცველი არ არის. სამცხე-ჯავახეთის რეგიონთან დაკავშირებით საუბრისას მან აღნიშნა, რომ არის მოვლენათა განვითარების ორი, რადიკალურად საწინააღმდეგო ვარიანტი, რომელთაგანაც ორივე დაუშვებელია: პირველი პატარა ერის სრული ასიმილაცია გახლავთ დიდთან, მეორე კი - მისი იზოლაცია, რასაც სეპარატიზმისკენ მივყავართ. **"ამიტომ, ჩვენი მიზანი უნდა იყოს სამოქალაქო ინტეგრაციის მიღწევა",** - განაცხადა მან და აღნიშნა, რომ მათი ოფისი აპირებს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ქართული ენის განვითარების პროგრამის განხორციელებას. საგანგებო საუბრის თემა გახლდათ თურქი-მესხების საკითხიც.

*"24 საათი"*

# პარლამენტის სხდომა კვორუმისა და აყალ-მაყალის გარეშე

*მძაფრსიუჟეტიანი სერიალების მოყვარულებს პარლამენტარებმა გუშინ იმედი გაუცრუეს - ტრადიციას უღალატეს და არც მუშტები უზრახუნებიათ ერთმანეთისთვის, არც წიხლები, არც ცივი იარაღი უხმარიათ, არც დედა უგინებიათ (მართალია, როგორც ყველა დეტექტივში, ამჯერადაც სცენაზე, კერძოდ, პარლამენტის დერეფნებში, გამოჩნდა ორი გამომძიებელი, რომლებიც მოწმეებს ეძებდნენ და ჩვენებებს ართმევდნენ, მაგრამ თავად სხდომის მსვლელობაზე ამ ფაქტს გავლენა არ მოუხდენია)...*
*ვახტანგ რჩეულიშვილიც კი, რომელმაც ცდუნებას ამჯერადაც ვერ გაუძლო და სპიკერატში რამდენიმეჯერ მოკალათდა, იმდენად კონსტრუქციული გახლდათ, რომ თავადაც უკვირდა და, ნუ გამაბრაზებთო, "ყელგამობრდღვნით" იხვეწებოდა.*
*პარლამენტის თავმჯდომარე სპიკერატში 12 საათისთვის გამოჩნდა, ფრაქციების ხელმძღვანელებს მოუწოდა, დეპუტატების პარლამენტში მოყვანა უზრუნველეყოთ და საგანგებოდ გაუსვა ხაზი, რომ მიზანმიმართულად ხდება პარლამენტის დისკრედიტირება.*

თამარ ხორბალაძე

**"ჩვენ, რა თქმა უნდა, ჩვენი ქცევით ვიძლევით კრიტიკის საფუძველს, მაგრამ პარლამენტი არც ერთ სახელისუფლებო შტოზე ნაკლები არ არის.**

**დღეს მთლიანი ხელისუფლების კრიზისზე უნდა იყოს საუბარი, ამ დროს კი მიზანმიმართულად ხდება აქცენტების საქართველოს პარლამენტზე გადმოტანა.**

**პარლამენტის დისკრედიტაცია შედის ცალკეულ პოლიტიკურ ძალთა, შესაძლოა, ცალკეულ სახელისუფლებო შტოთა და ფიგურათა ინტერესში. თუ მსგავსი მცდელობები არ შეჩერდება, მე უფრო ღია განცხადებებს გავაკეთებ იმათ შესახებ, თუ ვის აწყობს პარლამენტის დისკრედიტება,"** - განაცხადა გუშინ პარლამენტის თავმჯდომარემ.

დეპუტატმა აკაკი ბობოხიძემ დამსწრეთ "ნაციონალთა" ფრაქციაში გაწევრიანების გადაწყვეტილების შესახებ ამცნო და, ამასთან, განაცხადა, რომ, კანონდამრღვევი დეპუტატების საკითხის განხილვაზე უარის თქმით, პარლამენტმა დაადასტურა, რომ პოლიტიკურ შანტაჟზე "ეგება". **"უმრავლესობამ უარი თქვა ხუთი დეპუტატის საკითხის განხილვაზე, რადგან შეეშინდა, რომ საკუთარ რიგებში მყოფი არაერთი დეპუტატის შეუთავსებლობის საკითხიც წამოიჭრებოდა. მე უახლოეს პერიოდში ამ დეპუტატების გვარებს გამოვამზეურებ,"** - აღნიშნა მან.

ლევან თედიაშვილმა აზერბაიჯანისთვის საელჩოს გამოყოფის აუცილებლობაზე ისაუბრა: **"რამდენი შენობაც გამოუყვეს, იმდენი ისტორიული აღმოჩნდა. სად არის თბილისში ამდენი ისტორიული შენობა?"** – გაიკვირვა მან.

ვახტანგ რჩეულიშვილმა კი პირველ საკითხად "ძალადობის დამგმობი" განცხადება წარმოადგინა, სახელწოდებით **"თბილისის საკრებულოს არჩევნებთან დაკავშირებული კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტების გამო".**

გუშინწინდელი მოვლენებიდან გამომდინარე, ალბათ, ლოგიკური იქნებოდა, ამ საკითხზე დისკუსია გამართულიყო, მაგრამ პარლამენტმა, შს მინისტრის გარეშე, დაძაბულ შიდასაპარლამენტო კრიმინალურ ვითარებაზე საუბარი საჭიროდ აღარ ჩათვალა, რჩეულიშვილი კი მზად აღმოჩნდა ყველა წინადადების გასაზიარებლად: **"ნაციონალთა" პარტიის სახელწოდების ამოღება გნებავთ ძალადობის მაგალითებიდან? კი, ბატონო, მხოლოდ ფაქტი დავტოვოთ, ჩამდენის მიუთითებლად! ამბობთ, რომ "ნაციონალური მოძრაობა" მერიის შენობაში არ შეჭრილა? პრობლემა არ არის, არც ამას მოვიხსენიებთ. ზოგადი განცხადება გინდათ? ასი წელი"...**

თუმცა, ერთი პირობა კი აღელდა ბატონი ვახტანგი, რატომღაც იმერეთის გუბერნატორი და მისი აქტიურობა გაახსენდა აფხაზეთის ფრონტზე:

**"ცოდოა საქართველო, ქუთაისი, ასეთი გუბერნტორი რომ ჰყავს. აფხაზეთს მოვუვლიო - რისი მომვლელია, ორი ბატისთვის ვერ მოუვლია ქუთაისში... მაგრამ მოსწონს მასთან ურთიერთობა პრეზიდენტს..."** - სინანულით დასძინა.

იქვე რჩეულიშვილმა კიდევ ერთხელ სცადა სამშაბათს "შეწყალებული" სამი "დემოკრატი" დეპუტატის საკითხის წამოწევა - **"მართალია, უფლებამოსილებას არ ვუჩერებთ, მაგრამ დასჯით მაინც დავსაჯოთ, თანამდებობები დავატოვებინოთ,"** - შემოვიდა წინადადებით.

**"დედაჩემს ვერ წამოვაყენებ ახლა საფლავიდან და ვერ მოვიყვან მშობელთა კრებაზე,"** - შეიცხადა "დემოკრატმა" ელენე თევდორაძემ.

**"კანონს არღვევთ და თანამდებობის დატოვებაც არ გინდათ?"** - გაცხარდა ბატონი ვახტანგი. ხუმრობა საქმე ხომ არ არის - ვიცე-სპიკერ ელდარ შენგელაიას პოსტს უკვე კარგა ხანია უმიზნებს საპარლამენტო უმრავლესობა და ელენე თევდორაძის "დროებით შემსრულებლის" ადგილიდან ასე მარტივად მოცილებაც არ იქნებოდა ურიგო საქმე.

საბოლოოდ, "ძალადობის" თემაზე შექმნილ განცხადებაში დარჩა შეშფოთება ქვეყანაში ჩატარებული ყველა დონის არჩევნების დროს ჩადენილი სერიოზული კანონდარღვევების შესახებ. ეთხოვა გენერალურ პროკურატურას სამართალდარღვევის ფაქტებზე რეაგირება, სახელმწიფო დაწესებულებების, საერთო სასამართლოების საკრებულოს მიმდებარე ტერიტორიებზე წესრიგის დაცვა (სხვაგან, ალბათ, წესრიგის დაცვა სამართალდამცველებს სულაც არ ევალებათ). საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტს დაევალა ცესკო-ს წევრებისა და კომისიის აპარატის თანამშრომელთა თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ წინადადებების წარდგენა.

მაგრამ, კვორუმის არარსებობის გამო, გუშინ ამ განცხადებას კენჭი ისევ ვერ უყარეს, ისევე, როგორც თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის მიერ წარმოდგენილ დადგენილების პროექტს რუსეთის სამხედრო ბაზების დროებით სარგებლობაში არსებული მიწებითა და უძრავი ქონებით სარგებლობისთვის გადასახადებით დაბეგვრის შესახებ. ამ დადგენილებაში კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ საქართველო რუსეთის ბაზების გატანას მოითხოვს, მაგრამ სანამ ეს ბაზები საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებიან, შესაბამისი გადასახადები უნდა გადაიხადონ. დადგენილებით მთავრობას გადასახდელი თანხის დაანგარიშება დაევალა, რაც, წინასწარი ინფორმაციით, საკმაოდ სოლიდური ოდენობისაა. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა ვერ უზრუნველყოფს ბაზების დაბეგვრას, პარლამენტი ამ საკითხზე შესაბამისი კანონის მიღებასაც გეგმავს.

სხდომაზე გუშინ "რკინიგზის კოდექსიც" განიხილეს და რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარე აკაკი აქეს, მადლობა უთხრეს და აიყვანეს ცაში. ქება-დიდების მიუხედავად, რა გასაკვირია, რომ კოდექსის დასამტკიცებლადაც ვერ შეიკრიბა დეპუტატთა საკმარისი რაოდენობა.

დღის მეორე ნახევარში პარლამენტმა ცესკო-ს თავმჯდომარე ჯუმბერ ლომინაძე დაიბარა, ტრადიციული პრეტენზიები მოახსენა და... ზუსტად ექვსი საათისთვის დაიშალა.



# დღეს "იტერა" გაზის მოწოდებას განაახლებს

*როცა მთავრობა გაზის საფასურის გადახდის პირობას დებს, ესე იგი, კრედიტის აღებას აპირებს. როცა იხდის, ეს ნიშნავს, რომ ახალი კრედიტი უკვე აღებულია. ვალებში მიღებული გაზი მხოლოდ თვიდან თვემდე ყოფნის ქალაქს. ყოველი თვის ბოლოს კი სამთავრობო ეშელონებში ახალი კრედიტის მოძიების იწყება საუბარი.*
*ახლაც, ტრადიციულად, "იტერასათვის" გადასახდელი თანხა მთავრობამ კრედიტის სახით "პპოკა" და გაერთიანებული ქართული ბანკიდან 18-პროცენტიანი სესხი აიღო. შედეგად, გაზი გეცქება. სავარაუდოდ, დღეს დილიდან "თბილგაზი" ქალაქის ცალკეული უბნების ჩართვას დაიწყებს.*

მაია ურუშაძე

როგორც "თბილგაზის" გენერალური დირექტორი ვახტანგ ცაავა აცხადებს, **"სრული თანხა – მილიონ 198 ათასი ლარი უკვე ჩაირიცხა "საქგაზის" ანგარიშზე. ამის დამადასტურებელი საგადასახადო ქვითრები გუშინ მიეწოდა "იტერას" სათავო ოფისს მოსკოვში. დღეს ველით ტელეფონოგრამას, რომელიც დაადასტურებს, რომ "იტერამ" გაზი ნამდვილად მიმოუშვა."**

მიუხედავად იმისა, რომ გაზის საფასური "თბილგაზმა" უკვე გადაიხადა, გაზის მომწოდების აღდგენის "იტერას" სათავო ოფისში "თბილგაზის" ახალი კურატორები – გაზის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტის ალექო გოცირიძისა და სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის დავით მირცხულავას საგანგებო ვიზიტი მაინც დასჭირდა. როგორც სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ნინო ასათიანი აცხადებს, თბილისს "იტერამ" უკვე აღუდგინა საჭირო რაოდენობის გაზის მიწოდება, მოსახლეობის გაზმომარაგება კი უკვე "თბილგაზის" საქმეა. **"მოსკოვში მოლაპარაკებები "იტერასთან" დაგროვილი გაზის ვალების რესტრუქტურიზაციის შესახებაც მიმდინარეობს. "იტერა" ქართულ მხარეს ყველა პირობაზე დათანხმდა,"** – გვაცნობა მან.

სხვათა შორის, "იტერას" სათავო ოფისთან მოლაპარაკებებზე ქართული მხარე კიდევ ერთ, არცთუ უმნიშვნელო იმედს ამყარებდა. საუბარია გაზის საფასურის გადახდის ჯაჭვიდან "საქგაზის" "ამოგდებაზე", ანუ იმის შესახებ, რომ "თბილგაზმა" გაზის საფასური, შუამავლის გარეშე, პირდაპირ "იტერას" გადაუხადოს. მიიღო თუ არა ქართულმა მხარემ თანხმობა "იტერას" სათავო ოფისიდან, სათბობ-ენერგეტიკის მინისტრისა და გაზის კორპორაციის პრეზიდენტის თბილისში დაბრუნების შემდეგ გახდება ცნობილი. მანამდე კი **"სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროსა და "იტერას" შორის გაფორმდება დიდი ხელშეკრულება, რომელიც კომპანია "იტერასა" და სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს შორის მომავალ – 2004-2010 წლებში თანამშრომლობას შეეხება,"** – აცხადებს ნინო ასათიანი. მისი ინფორმაციით, სათბობ-ენერგეტიკის მინისტრს გუშინ საღამოს "რუსეთის გაერთიანებული ენერგოსისტემის" – "РАО ЕЭС"-ის ხელმძღვანელობასთან შეხვედრა და რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტის შესახებ მოლაპარაკება, ხოლო თბილისში დაბრუნებას კი პარასკევს დილით გეგმავს.

შევახსენებთ, რომ ბუნებრივი გაზის მიწოდება თბილისს "საქგაზმა" შაბათ დილას, 10 საათისათვის შეუწყვიტა. იმის მიუხედავად, რომ, საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, გაზის გათიშვით "იტერა" და მისი შვილობილი კომპანია "საქგაზი" ყოველი თვის ბოლოს იმუქრებიან ხოლმე, ეს გადაწყვეტილება მაინც მოულოდნელი აღმოჩნდა "თბილგაზის", სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროსა და მთელი მთავრობისთვის. ქალაქი კი გაზის გარეშე, გაურკვეველ მდგომარეობაში დარჩა. "საქგაზში", როგორც მოსალოდნელი იყო, მხრები აიჩეჩეს: "платить надо!", – შეახსენა მთავრობას და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებს დაუწყო ლოდინი.

გაზის გარეშე დარჩენილ ქალაქს დახმარება "თბილგაზის" ახალმა ოპერატორმა – გაზის საერთაშორისო კორპორაციამ აღმოუჩინა და თბილისის ცენტრალურ რაიონებს 200 ათასი კუბური მეტრი გაზი მიაწოდა. ეს რეზერვი კორპორაციამ რუსეთიდან სომხეთში გაზის ტრანზიტიდან მიღებული კვოტისა და "აზოტის" კუთვნილი გაზის ხარჯზე გამოძებნა. აირის ამ ოდენობამ ქალაქის მოთხოვნილების მხოლოდ მეოთხედი დააკმაყოფილა. სამაგიეროდ, "საქგაზის" გენერალურმა დირექტორმა ლეონიდ დეიკალომ ალექო გოცირიძე სომხეთისათვის და "აზოტისთვის" გაჩუქებული გაზის მოპარვაში დაადანაშაულა.

ქალაქისათვის გაზის გათიშვის მიზეზად დღემდე საბიუჯეტო ორგანიზაციების – თავდაცვის სამინისტროს, უშიშროების აკადემიის, კინოლოგის სამსახურის, პარლამენტისა და იუსტიციის სამინისტროს მიერ დაგროვილ დავალიანებას, დაახლოებით, ნახევარი მილიონი ლარი სახელდება.

სხვათა შორის, ამ ორიოდე დღის წინ "თბილგაზის" გენერალური დირექტორი აცხადებდა, რომ **"თბილგაზმა" ყველა ნაკისრი ვალდებულება პირნათლად შეასრულა და ამაზე ლომის წვლილი მოსახლეობას მიუძღვის, რომელმაც 450 ათასი ლარი 9 დღის განმავლობაში დაფარა."** დღეს კი ვახტანგ ცაავა მოსახლეობის გადახდის მაჩვენებლით უკმაყოფილოა: **"მოსახლეობას ის ურჩევნია, ფული გადაიხადოს და თანხა კონტროლიორს არ ჩაუდოს ჯიბეში იმისათვის, რომ დავალიანება ჩამოუყაროს. დღეს ქალაქში საწარმოებს დავალიანება, პრაქტიკულად, არა აქვთ. საწარმოების ვალი მთლიანი დავალიანების 20-22 პროცენტი თუ იქნება. ძირითადი დავალიანება მოსახლეობასა და საბიუჯეტო ორგანიზაციებზე მოდის."**

ცაავას განცხადებით, მან პირველად გაახმაურა იმ საბიუჯეტო სტრუქტურების სიები, რომელთა დავალიანებამაც ქალაქის გაზის გარეშე დარჩენა გამოიწვია. მისი ინფორმაციით, "იტერასთან" მიღწეული შეთანხმების თანახმად, "თბილგაზს" 3-4 თვის განმავლობაში აღარ მოუწევს მოხმარებული აირის საფასურის წინასწარ გადახდა, რადგან თანხა ყოველი მომდევნო თვის 15-დან 20 რიცხვამდე გადაირიცხება. მისივე თქმით, "თბილგაზმა" გადაწყვიტა, აღარ მიაწოდოს გაზი იმ ორგანიზაციებს, რომლებიც გაზის საფასურს არ გადაიხდიან. რამდენად სერიოზულია ეს გადაწყვეტილება, ძნელი სათქმელია, მანამდე კი... **"ალბათ, შერცხვებათ და გადაიხდიან,"** – იმედოვნებს ცაავა.

## მოკლედ

**თბილისი.** ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველოს, შესაძლოა, ფინანსური დახმარება შეუმციროს. ამის შესახებ "ინტერ-პრესს" ამერიკიდან დაბრუნებულმა საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა გიგი წერეთელმა განუცხადა. მისი თქმით, აშშ-ს სენატი და კონგრესი ეჭვქვეშ აყენებენ საქართველოსთვის გამოგზავნილი ფინანსური დახმარების ათვისების ეფექტურობას. **"ამერიკა ჩვენს ქვეყანას მნიშვნელოვან ფინანსურ დახმარებას უწევს. თუმცა, მან თანხების მიზნობრივი გამოყენება ვერც ერთი მიმართულებით ვერ დაინახა, რამაც ამერიკული მხარის შეშფოთება გამოიწვია,"** - განმარტა წერეთელმა.
მისივე თქმით, ამერიკელები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ საქართველოში ხელისუფლებისა და საზოგადოების ურთიერთობას, აინტერესებთ ხელისუფლებისადმი ხალხის უნდობლობის მიზეზები. გარდა ამისა, წერეთლის მონაცემებით, აშშ-ში გამუდმებით ადევნებენ თვალყურს საქართველოს პარლამენტში მიმდინარე პროცესებს, პოლიტიკურ ძალებს შორის არაკოორდინირებულ მოქმედებასა და დაპირისპირებებს. საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი ამერიკის სენატისა და გუბერნატორების არჩევნებს დამკვირვებლის სტატუსით დაესწრო. წერეთელი აშშ-ში ბოლო ორი კვირის განმავლობაში იმყოფებოდა. **"ინტერ-პრესი".**

■ ■ ■

**თბილისი.** ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონების მოსახლეობას ამ ზამთარში ელექტროენერგიით კვლავ სომხეთის რესპუბლიკა მოამარაგებს. სემეკის თავმჯდომარის ელიზბარ ერისთავის თქმით, სომხეთიდან იმპორტირებული ელექტროენერგია შესაძლოა, მოსახლეობას დაბალი ტარიფით მიეწოდოს. ელექტროენერგიის მარეგულირებელი ეროვნული კომისია ამ დღეებში რუსეთიდან დენის იმპორტსაც ელოდება, რაც მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის, „კავკასიონის", მეშვეობით უნდა განხორციელდეს. როგორც „მედია-ნიუსს" სემეკის პრესსამსახურში უთხრეს, ამ დროისთვის მიმდინარეობს ტექნიკური საკითხების მოგვარება, მათ შორის - პარამეტრების დარეგულირება. **"მედია-ნიუსი".**

■ ■ ■

**თბილისი.** სააქციო საზოგადოება "ელმავალმშენებელი" რუსეთის რკინიგზის შეკვეთას - ორი მაგისტრალური ელმავლის მშენებლობას მომავალი წლის გაზაფხულამდე დაასრულებს. როგორც "კავკას-პრესს" სს "ელმავალმშენებლის" კომერციულმა დირექტორმა თამაზ უგულავამ განუცხადა, ინტენსიურად მიმდინარეობს მაღალი დონის სამგზავრო ელმავლის მშენებლობა, რომელსაც დახვეწილი სამუხრუჭო სისტემა ექნება. უგულავას თქმით, სრულდება ძარის ნაწილის აწყობა და ეს ელმავალი მომავალი წლის იანვრიდან უკვე რუსეთის რკინიგზას გადაეცემა. მეორე ელმავალზე კი მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს და იგი მომავალი წლის მარტამდე იქნება მზად. აღნიშნულ შეკვეთაში რუსეთის რკინიგზა 1 200 000 დოლარს გადაიხდის. სს "ელმავალმშენებელი" რუსეთის რკინიგზას სისტემატურად აწვდის სათადარიგო ნაწილებს. ელმავლებს რუსეთის რკინიგზა აქამდე ჩეხეთს უკვეთავდა. **"კავკას-პრესი".**

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 15 – 21 ნოემბრის მდგომარეობით




მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UKJ | US$ | €uro | Ґen |
|---|---|---|---|---|
| UKJ | | 0.6348 | 0.6369 | 0.0052 |
| US$ | 1.5754 | | 1.0036 | 0.0082 |
| €uro | 1.5699 | 0.9964 | | 0.0081 |
| Ґen | 192.99 | 122.55 | 122.97 | |

# 2003 წლამდე ელექტროენერგიის გაზრდილ ტარიფს გადავიხდით

## თბილისის საკრებულო კი ელექტროენერგიის ტარიფის შემცირებისთვის ბრძოლას იწყებს

*ახლადშექმნილმა თბილისის საკრებულომ უკვე დაიწყო მსჯელობა დედაქალაქში ელექტროენერგიის ტარიფის შემცირების თაობაზე. ამ ინიციატივით ფრაქცია "ლეიბორისტი" გამოდის, რომელიც ცნობილია საქართველოში ამერიკული კომპანიის "ეი-ი-ესის" საქმიანობისადმი შეურიგებელი დამოკიდებულებით. დღეს საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს ლეიბორისტული პარტიის სარჩელს "ეი-ი-ეს თელასის" წინააღმდეგ, სადაც სახელმწიფოსა და ამერიკულ კომპანიას შორის დადებული ჩარჩო-ხელშეკრულების მოშლაზეა საუბარი. "თელასის" წინააღმდეგ ბრძოლა "ლეიბორისტებმა" საკრებულოშიც გააჩაღეს.*


ლევან ხერხეულიძის ფოტო

*საკრებულოს სხდომა.*

სოფო კვინტრაძე

თბილისის საკრებულოს ჯერჯერობით არ მოუფიქრებია კონკრეტული იურიდიული მექანიზმი, რის მიხედვითაც შესაძლებელი გახდება ელექტროენერგიის არსებული ტარიფის შემცირება. ერთადერთი, რასაც საკრებულოში ერთხმად აცხადებენ, არის ტარიფის შემცირების აუცილებლობა. როგორც ფრაქცია "ლეიბორისტის" თავმჯდომარე გიორგი გუგავა აცხადებს, თბილისის მერია, რომელიც "თელასის" აქციების 25 პროცენტის მფლობელია, ვალდებულია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, გააკონტროლოს ამ კომპანიის საქმიანობა, შესაბამისი დადგენილებების მომზადებას კი საკრებულოში გეგმავენ. საკრებულოს გადაწყვეტილებები შეეხება რამდენიმე საკითხს, მათ შორის, ელექტროენერგიის ძველი დავალიანების გაუქმებას, რაზეც მორატორიუმია გამოცხადებული; სამომხმარებლო ტარიფის შემცირებას, რომელიც ბოლო გაძვირების შემდეგ 13,7 თეთრამდე ავიდა და "ეი-ი-ესსა" და ქონების მართვის სამინისტროს შორის დადებული ხელშეკრულების გადახედვას, სადაც რამდენიმე მუხლი ქართული მხარისათვის კაბალურად არის მიჩნეული.

"ეი-ი-ეს თელასის" ლობისტის ირაკლი მელაშვილის განცხადებით, კომპანიის ხელმძღვანელობა მზადაა, კონსტრუქციული დიალოგი გამართოს საკრებულოსთან ტარიფის შემცირების საკითხზე, თუ მთავრობის მხრიდან კონკრეტული წინადადებები იქნება წამოყენებული. გარდა ამისა, მელაშვილის განცხადებით, ტარიფის დადგენა ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის კომპეტენციაა და არა საკრებულოსი. სემეკის თავმჯდომარე ელიზბარ ერისთავი კი აცხადებს, რომ აქამდე არც ქალაქის მერია და არც საკრებულო ელექტროენერგიის ტარიფის შემცირების ინიციატივით არ გამოსულან. ერისთავი მიესალმება მხარეებს შორის დიალოგის დაწყებას ტარიფის კლებასთან დაკავშირებით. ის აცხადებს, რომ ეს შესაძლებელი გახდება, თუ პარლამენტი შეიტანს ცვლილებას საგადასახადო კოდექსში და დამატებული ღირებულების გადასახადს 20 პროცენტიდან 8,5 პროცენტამდე შეამცირებს. **"ასეთ შემთხვევაში ტარიფი ისევ 12,4 თეთრი დარჩება,"** - აცხადებს ელიზბარ ერისთავი.

გუშინვე "ეი-ი-ეს თელასმა" გაავრცელა ინფორმაცია ელქტროენერგიის ახალი ტარიფის კომპენსირებასთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, პირველი ნოემბრიდან სამომხმარებლო ტარიფი, 12,4 თეთრის ნაცვლად, 13,7 თეთრი გახდა. თუმცა, სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრომ თავის თავზე აიღო ტარიფის განსხვავების დაფარვა. მინისტრი დავით მირცხულავა დაბეჯითებით აცხადებდა, რომ კომპენსირებისათვის საჭირო 18 მილიონი ლარი მთავრობას უკვე მოძიებული ჰქონდა და 2003 წლის ნოემბრამდე მოსახლეობა ისევ ძველ ტარიფს გადაიხდიდა. "ეი-ი-ეს თელასის" ინფორმაციით კი, საკომპენსაციო თანხა მთავრობას ბიუჯეტიდან "თელასისთვის" ჯერ არ გადაურიცხავს, ამდენად, სანამ ეს თანხა "ეი-ი-ესის" ანგარიშზე არ დაჯდება, მოსახლეობას გაზრდილი ტარიფის გადახდა მოუწევს. კანცელარია ამერიკული კომპანიისთვის საკომპენსაციო თანხის ჩარიცხვას, სავარაუდოდ, 2003 წლის პირველ იანვრამდე აპირებს.

"ეი-ი-ესის" ინფორმაციით დღეიდან ელექტროენერგიის იმპორტი რუსეთიდანაც დაიწყება. "თელასმა" რუსეთის გაერთიანებულ ენერგოკომპანიას 1,3 მილიონი დოლარი გადაურიცხა, რის შემდეგაც რუსები დათანხმდნენ 110 მეგავატი ელექტროენერგიის შემოტანაზე.

საკრებულოს გუშინდელ სხდომაზე არანაკლები ხმაურით განიხილეს ქალაქის ბიუჯეტის გაზრდის საკითხიც. ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატების" ინიციატივით, საკრებულომ ქვეყნის პარლამენტს უნდა მოსთხოვოს დამატებული ღირებულების გადასახადის 15-პროცენტიანი ნორმატივის ქალაქის ბიუჯეტისათვის გადაცემა. როგორც "დემოკრატები" აცხადებენ, ამ გზით თბილისის ბიუჯეტში 30 მილიონი ლარის მობილიზება მოხდება, რაც სოციალური პრობლემების გადაჭრას მოხმარდება. როგორც ცნობილია, დღგ-ს ნაწილის ადგილობრივ ბიუჯეტში დატოვების პრეცედენტი ამჟამად აჭარის რეგიონში არსებობს, სადაც ამ გადასახადის 40 პროცენტი აჭარაშივე რჩება. "გაერთიანებული დემოკრატების" წინადადებას "ნაციონალური მოძრაობის" წევრი და პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი რომან გოცირიძე შეეწინააღმდეგა. **"ამგვარი საგადასახადო გამონაკლისები ეკონომიკურად გაუმართლებელია და პოლიტიკურ დეფექტებს შეიცავს. უპრიანი იქნება, საკრებულომ დამატებითი ხარჯების გასაწევად პარლამენტს ბიუჯეტიდან ტრანსფერის გამოყოფა მოსთხოვოს,"** - მიიჩნევს რომან გოცირიძე.

# შეასრულა თუ არა საქართველომ ევროგაერთიანების მოთხოვნები

## მთავრობას ევროკომისიის დახმარების იმედი კიდევ აქვს

გვანცა კვინიკაძე

*ევროკომისიის დელეგაციის ხელმძღვანელის ორი დღის წინანდელ განცხადებას იმის თაობაზე, რომ საქართველოს მიერ ევროგაერთიანების გრანტების მიუღებლობის უმთავრესი მიზეზი ქვეყნის მხრიდან პირობების შეუსრულებლობა იყო და არა პიტერ შოუს გატაცება, ქართულ ხელისუფლებაში არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ევროგაერთიანების ყველა მოთხოვნა, გარდა "აგრობიზნესბანკისა" და ფოთის პორტის მეორე და მეშვიდე ნავმისადგომების პრივატიზების უზრუნველყოფისა, შესრულებულია. იმის გათვალისწინებით, რომ ამ ორი პირობის შეუსრულებლობასაც სავსებით საფუძვლიანი მიზეზები ჰქონდა და არც ერთ სხვა დონორ ორგანიზაციასთან თანამშრომლობაში საქართველოს პრობლემები არ შექმნია, ხელისუფლება იმედოვნებს, რომ ევროგაერთიანებას დაპირებული გრანტების გამოყოფის მართებულობაში დაარწმუნებს და წლის ბოლოსთვის მათი მეშვეობით ბიუჯეტში არსებულ გარღვევას საგრძნობლად შეამცირებს.*

სულ, წლევანდელ სახელმწიფო ბიუჯეტს ევროგაერთიანებისგან, "სასურსათო უსაფრთხოებისა" და "განსაკუთრებული ფინანსური დახმარების" პროგრამების ფარგლებში, დაახლოებით, 47 მილიონი ლარი უნდა მიეღო. თუმცა, არც ერთი გრანტი საქართველოს დღემდე არ მიუღია. გრანტების შეჩერების პროცესი ზაფხულში დაიწყო და იგი სწორედ ბრიტანელი ბანკირის პიტერ შოუს გატაცების პერიოდს დაემთხვა. მიუხედავად ამისა, ევროკომისიის დელეგაცია ქართულ მხარეს მხოლოდ მემორანდუმში დაფიქსირებული პირობების შეუსრულებლობას საყვედურობს. ეკონომიკურ საკითხებში საქართველოს პრეზიდენტის მრჩევლის თემურ ბასილიას განცხადებით, გაუგებარია, რატომ გამოიწვია ევროსტრუქტურების აღნიშნულმა განცხადებამ ქართველ ხელისუფალთა გაკვირვება, რადგან, მისი თქმით, პირობების შეუსრულებლობის გამო უკმაყოფილება თბილისში ორიოდე თვის წინ ჩამოსულმა ევროგაერთიანების უმაღლესმა წარმომადგენლებმაც გამოთქვეს. ბასილიას აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ევროგაერთიანების პირობების შეუსრულებლობას, შესაძლოა, მართლაც ჰქონდა გარკვეული გამამართლებელი მიზეზები, ფორმალურად, ისინი მაინც შეუსრულებელია.

სახელმწიფო მინისტრის მოადგილე გიორგი ისაკაძე ამ გამამართლებელ მიზეზებს სავსებით საფუძვლიანად მიიჩნევს. მისი ინფორმაციით, საქართველომ ვერ შეასრულა მხოლოდ ორი პირობა: პიტერ შოუს ხელმძღვანელობით მოქმედი ბანკის "აგრობიზნესბანკისა" და ფოთის პორტის ორი ნავმისადგომის პრივატიზების უზრუნველყოფა. ისაკაძის თქმით, პირველ საკითხთან დაკავშირებით გაურკვეველი სიტუაციაა შექმნილი. მოთხოვნის თანახმად, ჩატარდა ტენდერი, რომელმაც ის უცხოური კომპანია გამოავლინა, რომელსაც "აგრობიზნესბანკის" უშუალო ინვესტორი უნდა მოეზიდა. მიუხედავად ამისა, ტენდერში გამარჯვებულ ფრანგულ კომპანიას დღემდე არანაირი ნაბიჯი არ გადაუდგამს ამ ფუნქციის შესასრულებლად. ასე რომ, ისაკაძის აზრით, "აგრობიზნესბანკის" პრივატიზების დაუსრულებლობის გამო პასუხისმგებლობა ქართულ მხარეს არ უნდა დაეკისროს.

სახელმწიფო მინისტრის მოადგილის განცხადებით, ასევე სერიოზული მიზეზები არსებობს ფოთის პორტთან დაკავშირებული მოთხოვნის შეუსრულებლობის გამოც. ევროგაერთიანებას გარკვეული ინვესტიციები აქვს განხორციელებული მეშვიდე ნავმისადგომზე და ამიტომაც მისი ბედის გარკვევით განსაკუთრებით არის დაინტერესებული. მაგრამ, ისაკაძის თქმით, რადგან მეშვიდე ნავმისადგომთან დაკავშირებით სასამართლო დავა ფოთის პორტსა და ფირმა "სამებას" შორის დღემდე გრძელდება, საქმეში ჩარევის უფლება აღმასრულებელ ხელისუფლებას არ აქვს. ასე რომ, ქართული მხარის მიერ ამ მოთხოვნის შეუსრულებლობა ისაკაძეს სავსებით ბუნებრივად მიაჩნია.

აღნიშნულისა და იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს წელს ურთიერთობები არც ერთ სხვა დონორ ორგანიზაციასთან, მათ შორის, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, არ გართულებია, გიორგი ისაკაძე მიიჩნევს, რომ, საბოლოოდ, პრობლემა ევროგაერთიანებასთანაც მოიხსნება. თემურ ბასილიას აზრით, ამჟამად სავალუტო ფონდთან არსებული ურთიერთობები ევროგაერთიანებისთვის საქართველოსადმი დახმარების შეზღუდვის საფუძველს არ იძლევა, თუმცა, გრანტების მიღება მაინც ზემოხსენებული ვალდებულებების შესრულებაზე იქნება დამოკიდებული.

გაცილებით ოპტიმისტურად არის განწყობილი გიორგი ისაკაძე. მისი ინფორმაციით, უახლოეს დღეებში საქართველოს ევროგაერთიანების სპეციალური მისია ეწვევა, რომელიც ქართული მხარის მიერ პირობების შესრულების მდგომარეობას შეისწავლის. ისაკაძე დარწმუნებულია, რომ საქართველო ევროგაერთიანებისგან "სასურსათო უსაფრთხოების" პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულ ორ მილიონ ევროს ნოემბერშივე მიიღებს. იგი არც იმას გამორიცხავს, რომ, ევროგაერთიანების მომავალი მისიის მუშაობის შედეგებიდან გამომდინარე, ქვეყანას წელსვე გადმოერიცხოს ყველა გრანტი. ათი თვის ბიუჯეტის დეფიციტის (დაახლოებით, 90 მილიონი ლარი) უდიდესი ნაწილი სწორედ ევროგაერთიანებიდან მიუღებელ გრანტებზე მოდის.

# გერმანიასა და საფრანგეთს სანქციები ემუქრებათ

*ევროკომისია აპირებს, სანქციები შემოიღოს გერმანიისა და საფრანგეთის წინააღმდეგ. ამ გადაწყვეტილების მიზეზი ორივე ქვეყანაში არსებული ფისკალური პრობლემებია. გერმანიაში ბიუჯეტის დეფიციტმა უკვე გადააჭარბა ევროზონის ქვეყნებს შორის მიღწეული შეთანხმებით დადგენილ 3 პროცენტს. რაც შეეხება საფრანგეთს, ამ ქვეყნის ბიუჯეტის დეფიციტი დადგენილ ზღვარს ჯერ არ აჭარბებს, მაგრამ არც ბევრი უკლია. ამიტომ პარიზმა, ჯერჯერობით, მხოლოდ წინასწარი გაფრთხილება მიიღო, ხოლო გერმანია ოფიციალურად გააფრთხილეს და მან შეიძლება სულ მალე იგრძნოს სანქციების სიმძიმე.*

თორნიკე შარაშენიძე

ევროკომისიის პრეტენზიები, ალბათ, სრულიად ბუნებრივია, დეფიციტის პირობებში სახელმწიფოები ბევრს სესხულობენ და ვალი მომავალში ხდება გადასახდელი. ასე რომ, მოქმედი მთავრობები თავად პასუხისმგებლობას იხსნიან და მთელი ტვირთი მათმა მემკვიდრეებმა უნდა ზიდონ.

**"თუკი ჩვენ ერთიანი ვალუტა გვსურს, მაშინ რაღაც საერთო წესებსა და სტანდარტებს უნდა დავემორჩილოთ,"** - განაცხადა ევროგაერთიანების სავალუტო კომისარმა პედრო სოლბეზმა და ძველი კონტინენტის ქვეყნებს მოუწოდა, რომ უმოკლეს ხანში მიხედონ საბიუჯეტო პრობლემებს.

ერთი კვირის წინ ცნობილი გახდა, რომ გერმანიის ბიუჯეტის დეფიციტი წელს ამ ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 3,8 პროცენტამდე გაიზრდება, ხოლო რაც შეეხება საფრანგეთს, აქ დეფიციტი წელს 2,7; გაისად კი 2,9 პროცენტი იქნება. ეს სრულებით საკმარისია განგაშის ასატეხად: ევროზონის რა სტაბილურობაზე შეიძლება იყოს საუბარი, როცა მის ორ წამყვან ქვეყანას ასეთი პრობლემები აქვს. იმავე მიზეზის გამო, გერმანიაზე და საფრანგეთზე ადრე, ოფიციალური გაფრთხილება პორტუგალიამაც მიიღო.

ძნელი სათქმელია, შესრულდება თუ არა ევროკომისიის მუქარა. გერმანიას თავისი პრობლემები აქვს და სანქციები (რაც ფულად ჯარიმებში გამოიხატება) კიდევ უფრო დაამძიმებს ისედაც რეცესიის პირას მდგარი ქვეყნის ეკონომიკას. თუმცა, კანცლერ შრიოდერის კაბინეტზე გარკვეული ზემოქმედება რომ აუცილებელია, ეს ფაქტია. შრიოდერის პოპულისტური პოლიტიკის გამოისობით (უჩვეულოდ მაღალი კომპენსაცია უმუშევართათვის, მაღალი მინიმალური ხელფასი), უმუშევრობის მაჩვენებელმა გერმანიაში არნახულ მაჩვენებელს მიაღწია. საქმიანი სამყარო მოუთმენლად ელოდა სექტემბრის არჩევნებს იმ იმედით, რომ შრიოდერის სოციალ-დემოკრატიული პარტია დამარცხდებოდა და როცა ეს არ მოხდა, საფონდო ბირჟები ლამის დეპრესიებმა მოიცვა.

რაც შეეხება საფრანგეთს, გარედან ზემოქმედება, ალბათ, აქაც საჭიროა. მთავრობას სულ იოლად შეეძლო დეფიციტის ლიკვიდირება. ამისათვის საჭირო იყო "ფრანს ტელეკომში" წილის პრივატიზება, რაზეც დიდი ხანია საუბრობენ, მაგრამ პარიზმა საბოლოოდ ამ ნაბიჯზე წასვლა ვერ გაბედა, რადგან კომპანიის თანამშრომლები უმუშევრად დარჩენის შიშით ქუჩაში გამოვიდნენ და საპროტესტო მსვლელობები მოაწყვეს. ასევე გადაიდო სხვა სახელმწიფო კომპანიათა პრივატიზაცია. სპეციალისტთა აზრით, პარიზს არ გააჩნია პოლიტიკური ნება, რომ უარი თქვას სოციალისტურ ეკონომიკაზე და საბაზრო მოდელისკენ აიღოს გეზი.

საერთოდ კი ევროკომისიას, ჯერჯერობით, სათანადო გავლენა არა აქვს ქვეყნებზე. მთავრობები დღემდე პროტესტით ხვდებიან ხოლმე კომისიის მოთხოვნებს, ამას ისინი საშინაო საქმეებში ჩარევად ნათლავენ.

# გაერო ვერ ახერხებს აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებას

რობერტ მაკმაჰონი
TRANSITIONS ONLINE

რამდენიმე კვირაში ერთხელ მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი ქვეყნების წარმომადგენელ დიპლომატთა მცირე ჯგუფი ნიუ-იორკში, გაერო-ს შტაბ-ბინაში იკრიბება და აფხაზეთის კონფლიქტის თაობაზე მსჯელობს.

"საქართველოს საკითხებში გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფი" აშშ-ს, საფრანგეთს, ბრიტანეთს, გერმანიას, რუსეთსა და ბულგარეთს აერთიანებს. ჯგუფის მიზანია სამშვიდობო პროცესის ხელშეწყობა, რომელიც, უკვე ათი წელია, ადგილიდან არ იძვრის.

მოლაპარაკებებში მონაწილე დიპლომატები აცხადებენ, რომ ბოლო რამდენიმე თვის მანძილზე მათ მიერ გაღებული მცდელობები წყალშია გადაყრილი. ჟურნალისტებისათვის მიცემულ ინტერვიუებში ისინი იმედგაცრუებას გამოთქვამენ იმით, რომ პროცესის სტიმულირება ვერ ხერხდება და სულ უფრო მეტად არიან შეშფოთებულნი საქართველოში შესაძლო დესტაბილიზაციით.

მოლაპარაკებათა დელიკატურობიდან გამომდინარე, დასავლელი დიპლომატები ინტერვიუს მიცემისას ანონიმურობის გარანტიას ითხოვენ. ყველა მათგანი აცხადებს, რომ რუსეთ-საქართველოს გართულებული ურთიერთობები კიდევ უფრო აზრკოლებს კონფლიქტის გადაჭრას.

"ორმხრივი ურთიერთობები ისევ ისე ცუდია, როგორც ყოველთვის. რუსებს არ უნდათ, ხელი შეუწყონ აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტას, რადგან, მათი აზრით, ქართველები არაფერს აკეთებენ პანკისის საკითხის გადასაწყვეტად," – აცხადებს ერთ-ერთი დიპლომატი.

უკვე ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მეგობრების ჯგუფმა და უშიშროების საბჭომ მხარი დაუჭირა "ბოდენის დოკუმენტს". რუსეთი ამ დოკუმენტს მხოლოდ დიდი დიპლომატიური ზეწოლის შემდეგ დაეთანხმა, მაგრამ არაფერი გაუკეთებია საიმისოდ, რომ მის მიღებაზე აფხაზებიც დაეყოლიებინა.

აფხაზები უარს ამბობენ, განიხილონ ნებისმიერი სტატუსი, რომელიც მათ საქართველოს შემადგენლობაში მოაქცევს და იშველიებენ თავიანთ 1999 წლის რეფერენდუმს, რომელმაც აფხაზეთი "სუვერენულ სახელმწიფოდ" გამოაცხადა.

საქართველო რუსეთს ადანაშაულებს იმაში, რომ ეს უკანასკნელი აფხაზეთს თავის დე ფაქტო იურისდიქციაში აქცევს და იყენებს, როგორც ბერკეტს, საქართველოს სუვერენიტეტის წინააღმდეგ. ქართულმა მხარემ ამ შემოდგომაზე არაერთხელ გამოთქვა პრეტენზია იმის თაობაზე, რომ აფხაზებს რუსულ პასპორტებს ურიგებენ.

რუსეთის მისიამ გაერო-ში ყოველგვარ კომენტარზე უარი განაცხადა.

მეგობართა ჯგუფში შემავალი დიპლომატები შეშფოთებულნი არიან იმით, რომ, თუ "ბოდენის დოკუმენტი" მალე არ იქცა რეალური მოლაპარაკებების საფუძვლად, იგი შეიძლება მოძველდეს და თავისი მნიშვნელობა დაკარგოს. ამისათვის კი რუსეთის მხარდაჭერა ძალზე მნიშვნელოვანია.

"როცა დოკუმენტი ერთი წელი უშედეგოდ დევს მოლაპარაკების მაგიდაზე, იგი მნიშვნელობას კარგავს, – განაცხადა ერთმა დიპლომატმა, – ჩვენ აუცილებლად უნდა გვქონდეს რუსეთის მხარდაჭერა. მისი აქტიური ჩარევის გარეშე არაფერი მოხერხდება".

მეორე დიპლომატმა საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულება გამოხატა, როდესაც განაცხადა, სანამ აფხაზებს სჯერათ, რომ მათ, შეიძლება, უკეთესი ვარიანტი გამოუჩნდეთ, ისინი "ბოდენის დოკუმენტს" მხარს არ დაუჭერენ.

"კონფლიქტის გასაღები რუსეთში დევს. ჩვენ უნდა დავარწმუნოთ რუსები, რომ შეცვალონ მიდგომა და აფხაზებს უფრო მკაცრად ელაპარაკონ".

ჯგუფის წევრები გაგებით ეკიდებიან რუსეთის შეშფოთებას პანკისის ხეობასთან დაკავშირებით. მაგრამ ამავე დროს, ისინი არაპროდუქტიულს უწოდებენ რუსეთის პოზიციას და ხაზს უსვამენ იმას, რომ სამშვიდობო პროცესის მთავარი მიზანი საქართველოში სტაბილურობის შენარჩუნება უნდა იყოს. მეგობართა ჯგუფის ზოგიერთი წევრი შეშფოთებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველო "არშემდგარი სახელმწიფოს" ნიშნულს უახლოვდება.

ოქტომბერში რუსეთმა შემოიტანა წინადადება, მოსკოვში გამართულიყო შეხვედრა აფხაზეთის დე ფაქტო პრემიერის - ჯერგენიას მონაწილეობით, რომელზეც "ბოდენის დოკუმენტის" ძირითად პუნქტებს განიხილავდნენ, მაგრამ არ მოხდებოდა დოკუმენტის ფორმალური პრეზენტაცია. გაერო-ს თანამშრომელთა განცხადებით, ჯერგენიამ თუნდაც არაფორმალურ განხილვაზეც უარი განაცხადა და შეხვედრა ჩაშალა.


გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომა.

REUTERS

დასავლელი დიპლომატები აცხადებენ, რომ მათ ჯერ არ იციან იმ გარემოებათა შესახებ, რამაც შეხვედრის ჩაშლა გამოიწვია. რუსების თქმით, აფხაზების ხელმძღვანელობა, არძინბას ავადმყოფობის გამო, მძიმე მდგომარეობაშია. აფხაზმა პოლიტიკოსებმა აგრძნობინეს რუსებს, რომ ამ ვითარებაში "ბოდენის დოკუმენტის" განხილვა მათთვის პოლიტიკური თვითმკვლელობის ტოლფასი იქნებოდა.

მეგობართა ჯგუფის ზოგიერთი წარმომადგენელი ამბობს, რომ გაერო-ს შტაბ-ბინაში მიმდინარე შეხვედრებმა თავისი შესაძლებლობები ამოწურა და ახლა საჭიროა მოლაპარაკებების უფრო მაღალ დონეზე გაგრძელება.

ბოლო ხანს რამდენიმე მაღალი დონის შეხვედრა მართლაც გაიმართა. 1 ოქტომბერს ბრიტანეთმა საქართველოში სპეციალური წარმომადგენელი დანიშნა. ბრაიენ ფოლის მივლინების მიზეზად ლონდონმა საქართველოს სტაბილიზაციისა და წინსვლის მხარდაჭერა დაასახელა. ფოლი ვეტერანი დიპლომატია, იგი 90-იანი წლების დასაწყისში ბრიტანეთის ელჩი იყო რუსეთში

ამერიკელი დიპლომატი რუდოლფ პერინა ოქტომბერში თბილისში საქართველოს პრეზიდენტს შეხვდა და სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის კონფლიქტების დარეგულირების პერსპექტივები განიხილა.

გაერო-ს სამშვიდობო მისიების სამსახურის უფროსი - ჟან-მარი გენო შეხვდა საქართველოსა და აფხაზეთის ხელისუფლებას და შემდეგ მოლაპარაკებები მოსკოვში გააგრძელა.

22 ნოემბერს გაერო-ს უშიშროების საბჭო აფხაზეთის კონფლიქტის შესახებ ღია სხდომას გამართავს. საქართველო მოითხოვს ამგვარი შეხვედრის გამართვას, რათა საჯარო განხილვისათვის გამოიტანოს ის საკითხები, რომლებიც ხელს უშლის შეთანხმების მიღწევას, მათ შორის, ყველაზე მნიშვნელოვანი რუსეთის პოზიციაა.

როგორც საქართველოს ელჩმა გაერო-ში რევაზ ადამიამ განაცხადა, მას იმედი აქვს, რომ შეხვედრა სტიმულს მისცემს კონფლიქტის მოგვარებისადმი ინტერესის გაზრდას.

დიპლომატები აცხადებენ, რომ, ჯერჯერობით, ძნელი სათქმელია, რამდენად მოჰყვება ამ შეხვედრას ახალი რეზოლუცია ან, თუნდაც, თავმჯდომარის განცხადება. საბჭოს წევრები არ აპირებენ ხმამაღალი განცხადებების გაკეთებას, განსხვავებით საქართველოს წარმომადგენლობისაგან.

ერთ-ერთი დასავლელი დიპლომატის განცხადებით: "ჩვენ ვცდილობთ, დავარწმუნოთ საქართველო, რომ მათ რუსებთან კიდევ უფრო მეტად დაპირისპირებაზე უარი თქვან".

## დანიის პოლიციამ ერაყის ოპოზიციის ლიდერი დააკავა

დანიის პოლიციამ გუშინ ერაყის არმიის გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი, გენერალი ნიზარ ხაზრაჯი დააკავა. ხაზრაჯი დიდი ხნის მანძილზე ჰუსეინთან დაახლოებულ პირად ითვლებოდა, ირანთან ომის დროიდან მოყოლებული, იგი ერაყის არმიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. მის დროს განხორციელდა კუვეიტის ოკუპაციაც. 1996 წელს, სადამ ჰუსეინთან უთანხმოების შემდეგ, იგი იორდანიაში გაიქცა და ბოლო 4 წელი დანიაში ცხოვრობდა, პოლიტიკური ემიგრანტის სტატუსით.

ხაზრაჯი აცხადებდა, რომ იგი მზად იყო, სათავეში ჩადგომოდა ერაყის არმიის ამბოხებას, რისთვისაც, მისი თქმით, ნიადაგი უკვე მომზადებული გახლდათ. გენერალი, მიუხედავად მისი გაქცევისა, არმიაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. ჰუსეინისშემდგომ მთავრობაში მას მაღალ პოსტს უწინასწარმეტყველებდნენ, მათ შორის, თვით ერაყის პრეზიდენტობასაც კი.

ერაყული ოპოზიცია აცხადებს, რომ იგი გაოგნებულია დანიის ხელისუფლების გადაწყვეტილებით. ექსპერტების აზრით, უკმაყოფილოა დიდი ბრიტანეთი და შეერთებული შტატებიც, რომლებიც გენერალზე გარკვეულ იმედებს ამყარებდნენ.

დანიის მართლმსაჯულება ხაზრაჯის სამხედრო დანაშაულში უყენებს ბრალს. გამოძიების მტკიცებით, 1987 წელს ქალაქ ჰალაბჯაში სწორედ მისი ბრძანებით გამოიყენეს მომწამლავი გაზი ქურთების წინააღმდეგ. მას სხვა დანაშაულებშიც ედება ბრალი. ამჟამად გენერალი, რომელსაც დღე-დღეზე უნდა დაეტოვებინა ევროპა და ერაყის მეზობელ რომელიმე ქვეყანაში გამგზავრებულიყო, შინაპატიმრობაში იმყოფება. სასამართლოს დადგენილებით გაოცებული ხაზრაჯი ამტკიცებს, რომ "დანიის სასამართლო ჰუსეინის დაკრულზე ცეკვავს".

საინტერესოა, რომ სულ რამდენიმე კვირის წინ, დანიის ხელისუფლებამ დააპატიმრა ჩეჩნეთის ერთ-ერთი ლიდერი, აჰმად ზაკაევი, ასევე წინააღმდეგობის მოძრაობის აქტიური მონაწილე, ოღონდ უკვე სხვა ქვეყანაში.

აღსანიშნავია, რომ ევროპის ზოგიერთი ქვეყანა იჩემებს უფლებას, გაასამართლოს სამხედრო დანაშაულში ბრალდებული ნებისმიერი პიროვნება, რომელ ქვეყანაშიც არ უნდა იყოს ჩადენილი დანაშაული. მაგალითად, ამჟამად, ბელგიის სასამართლო იხილავს პალესტინელების საჩივარს არიელ შარონის წინააღმდეგ. თუმცა, ბელგიისა და დანიის ამგვარ უფლებას ბევრი სხვა ქვეყანა არ სცნობს.

## მოკლედ

**ვაშინგტონი.** საინფორმაციო სააგენტო "როიტერის" ცნობით, 19 ნოემბერს შეერთებული შტატების სენატმა, 90 ხმით ცხრის წინააღმდეგ, მხარი დაუჭირა პრეზიდენტ ბუშის ინიციატივას ტეროტორიული უსაფრთხოების დეპარტამენტის (Homeland Security Department) შექმნის თაობაზე.

სენატის აღნიშნული გადაწყვეტილება სათავეს დაუდებს ისტორიაში შეერთებული შტატების ყველაზე მასშტაბურ სამთავრობო რეორგანიზაციას, რომელიც 22 სამთავრობო დაწესებულებას გააერთიანებს. მსგავსი უწყების შექმნის იდეა 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის შემდეგ გაჩნდა, რადგან ამ შემთხვევამ სხვადასხვა უწყებების არაკოორდინირებული მუშაობა და მოუქნელობა ცხადყო.

ახალ უწყებაში, დაახლოებით, 170 000 კაცი იმუშავებს. მათ ძირითადი მიზანი ამერიკის ტერორისტული თავდასხმებისაგან დაცვა იქნება.

ახალი დეპარტამენტი "ჩვენს სახელმწიფოს 21-ე საუკუნეში ტერორიზმის საფრთხესთან გამკლავებაში დაეხმარება", - განაცხადა პრეზიდენტმა ბუშმა.

პრეზიდენტის აზრს იზიარებს დემოკრატი სენატორი ჯო ლიბერმანიც. "ეს სამსახური ამერიკელთა უსაფრთხოებას გააუმჯობესებს", - აღნიშნა მან. ლიბერმანის პოზიცია არც არის გასაკვირი, რადგან ტერიტორიული უსაფრთხოების დეპარტამენტის შექმნის იდეა თავდაპირველად სწორედ მან წამოაყენა.

სენატის მიერ მიღებული კანონის თანახმად, პრეზიდენტს უფლება ეძლევა, დაიქირავოს, სამსახურიდან დაითხოვოს და ერთი ადგილიდან მეორეზე გადაიყვანოს დეპარტამენტის თანამშრომლები; ბრძანება გასცეს ტერორისტების მიერ გატაცებული თვითმფრინავის ჩამოსაგდებად, თუ სხვა გამოსავალი არ არსებობს; ამას გარდა, ახალი კანონი ინფორმაციის თავისუფლების შესახებ არსებულ კანონში გამონაკლისებს აწესებს.

ახლა მთავარ საკითხს ახალი დეპარტამენტის შეფის დასახელება წარმოადგენს. ადმინისტრაციასთან დაახლოებული წყაროების ცნობით, ბუში ამ თანამდებობაზე თეთრი სახლის უსაფრთხოების განყოფილების დირექტორის ტომ რიჯის დანიშვნას აპირებს.

■ ■ ■

**ირანი.** ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი ქემალ ხარაზი ევროპაში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება. ირანის საინფორმაციო სააგენტოს "ირნას" ცნობით, ხარაზი 19 ნოემბერს ევროკავშირის საგარეო ურთიერთობათა კომისარს კრის პატენს შეხვდა. ირანის დიპლომატიური წყაროების ცნობით, "ევროკავშირისა და ირანის წარმომადგენლებს შორის შეხვედრა ძალზე კონსტრუქციული და წარმატებული იყო. პატენისა და ხარაზის მოლაპარაკების უმთავრეს საგანს ევროკავშირსა და ირანს შორის ვაჭრობა და ორმხრივი თანამშრომლობა წარმოადგენდა. შეხვედრისას ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა პროფესორ აღაჯარის სასიკვდილო განაჩენის შეცვლის შესახებ საგანგებოდ ისაუბრა, რასაც ევროპაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

20 ნოემბერს ქემალ ხარაზი გერმანიაში ჩავიდა, სადაც მოლაპარაკებები გამართა თავის კოლეგასთან, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრთან იოშკა ფიშერთან. საუბრის ძირითად თემას ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი და ერაყი წარმოადგენდა.

■ ■ ■

**ერევანი.** "რადიო თავისუფლების" ერევნის ბიუროს ცნობით, 20 ნოემბერს სომხეთში აკრედიტებულმა დასავლეთის სახელმწიფოების ელჩებმა საჯაროდ მოუწოდეს სომხეთის ხელისუფლებას, მომავალ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებამდე ცვლილებები შეიტანოს საარჩევნო კანონმდებლობაში.

ამერიკის, ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიისა და იტალიის ელჩების მიერ სომხეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის გაგზავნილ ერთობლივ წერილში ნათქვამია, რომ საჭიროა იმგვარი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება, რაც გაყალბების შესაძლებლობას მინიმუმამდე შეამცირებს. წერილი 20 ნოემბერს გამოქვეყნდა და მას გაერო-სა და ეუთო-ს წარმომადგენლებიც შეუერთდნენ.

"აუცილებელია ამომრჩეველთა სიების განახლება და სიზუსტის მაქსიმალური დაცვა", - აღნიშნულია წერილში. მიმართვაში ხაზგასმულია, რომ ნათლად უნდა განისაზღვროს, პოლიციისა და ხელისუფლების სხვა წარმომადგენელთაგან ვის აქვს საარჩევნო უბნებზე ყოფნის უფლება.

ეს ერევნის მისამართით საერთაშორისო თანამეგობრობის პირველი გაფრთხილებაა, რათა სომხეთის ხელისუფლებამ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარება უზრუნველყოს.

სომხეთში საპრეზიდენტო არჩევნები 2003 წლის თებერვალში ჩატარდება.

■ ■ ■

**ბრიუსელი.** პორტუგალიის გარდა, ევროკავშირის ყველა ქვეყანამ ბელორუსის პრეზიდენტსა და შვიდ მინისტრს, ადამიანის უფლებების დარღვევის გამო, თავიანთი ქვეყნების ტერიტორიაზე შესვლა აუკრძალა.

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების გადაწყვეტილება გასულ თვეში პრეზიდენტ ლუკაშენკოს მიერ ეუთო-ს წარმომადგენლობის დახურვამ გამოიწვია. თავდაპირველად, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს გადწყვეტილი ჰქონდათ შეზღუდვის გაცილებით მეტ თანამდებობის პირზე გავრცელება, თუმცა, საბოლოოდ, მხოლოდ რვა კაცით შემოიფარგლნენ.

ევროკავშირმა რამდენჯერმე გააფრთხილა ლუკაშენკო, რომ ეუთო-ს ადამიანის უფლებების დამკვირვებელთათვის დახმარებაზე უარის თქმა ბელორუსის იმიჯს მნიშვნელოვნად შელახავდა. თუმცა, ლუკაშენკომ ეუთო-ს წარმომადგენლობა მინსკში დახურა.

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების გარდა, ანალოგიური სანქცია პრეზიდენტ ლუკაშენკოს ჩეხეთმაც დაუწესა, სადაც 21-22 ნოემბერს ნატო-ს სამიტი ჩატარდება. ბელორუსის პრეზიდენტის დაჟინებული თხოვნის მიუხედავად, ჩეხეთმა ლუკაშენკოს ქვეყანაში შესვლის უფლება არ მისცა.

# ნატო ცვლილებების მოლოდინში

*21 ნოემბერს, ნატო-ს ისტორიულ სამიტზე, ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში შვიდ ახალ წევრს უკვე ოფიციალურად მიიღებენ. ამავდროულად, ალიანსის ლიდერები შეეცდებიან, შეცვლილ საერთაშორისო ვითარებაში სამხედრო გაერთიანების ახალი როლი და მიზნები განსაზღვრონ.*

რევაზ ბახტაძე

ნატო-ს ორდღიანი სამიტი, ძირითადად, ალიანსის აღმოსავლეთით გაფართოებასა და ორგანიზაციის ახალი ამოცანების დასახვას მიეძღვნება. პრაღის სამიტზე ყოფილი კომუნისტური ბლოკის შვიდ ქვეყანას (ბულგარეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, რუმინეთი, სლოვაკეთი და სლოვენია) მიიღებენ. ეს ნატო-ს ისტორიაში გაფართოების ყველაზე დიდი ტალღა იქნება მას შემდეგ, რაც 1949 წელს ალიანსი შეიქმნა.

ახალი წევრების მიღების გარდა, ცნობილი გახდება იმ სახელმწიფოების ნუსხა, რომლებიც ალიანსში მომავალში შეიძლება გაწევრიანდნენ. მათ შორის იქნება საქართველოც. პრეზიდენტი შევარდნაძე პრაღის სამიტზე ოფიციალურად აპირებს საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების შესახებ განცხადების გაკეთებას.

იმის მიუხედავად, რომ ნატო-ს პრაღის სამიტზე ერაყის განიარაღება დღის წესრიგში ოფიციალურად შეტანილი არ არის, ბაღდადის წინააღმდეგ ამერიკის შესაძლო ომის განხილვა ერთ-ერთი ძირითადი თემა იქნება. 20 ნოემბერს პრაღაში ჩასულმა პრეზიდენმა ბუშმა, ჩეხეთის პრეზიდენტ ვაცლავ ჰაველთან გამართული შეხვედრის შემდეგ, ნატო-ს წევრ სახელმწიფოებს მოუწოდა, ერაყის საკითხში შეერთებულ შტატებს მხარი დაუჭირონ. "თუ საერთაშორისო თანამეგობრობის საერთო ნება ძლიერი იქნება, მაშინ ჩვენ შევძლებთ [ერაყის] მშვიდობიან განიარაღებას", - განაცხადა პრეზიდენტმა ბუშმა.

პრეზიდენტი ბუში თურქეთისა და საფრანგეთის პრეზიდენტებთან პირისპირ შეხვედრებს მართავს. ერაყის წინააღმდეგ ომის შემთხვევაში, ორივე ქვეყანას საკვანძო როლი ენიჭება. საფრანგეთი გაერო-ს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრია, ვეტოს უფლებით. აღსანიშნავია, რომ პარიზი ერაყში ამერიკელთა სამხედრო აქციას ეწინააღმდეგება. ერაყის მოსაზღვრე თურქეთში არსებულ ინჯირლიყის საჰაერო ბაზას კი ამერიკელებისათვის უზარმაზარი სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება.

ამერიკის პრეზიდენტი გერმანიის კანცლერ გერჰარდ შრიოდერს განზრახ არ შეხვდება. ისინი ერთმანეთს ჯერ კიდევ არ ელაპარაკებიან მას შემდეგ, რაც წინასაარჩევნო პერიოდში შრიოდერმა აქცენტი ანტიამერიკულ განცხადებებსა და ერაყის მიმართ ამერიკის პოლიტიკის საჯარო კრიტიკაზე გააკეთა.

პრეზიდენტ ბუშის განცხადებით, თუ სადამ ჰუსეინი მასობრივი განადგურების იარაღის პროგრამას არ შეწყვეტს, მაშინ იგი "კოალიციას ჩაუდგება სათავეში, სადაც ქვეყნები საკუთარი სურვილისამებრ გაწევრიანდებიან". ამერიკის ადმინისტრაციის ცნობით, 50 ქვეყნის ხელისუფლებამ ვაშინგტონს ერაყის წინააღმდეგ მომავალ ომში აქტიური მხარდაჭერა აღუთქვა.

აღსანიშნავია, რომ პრაღის სამიტზე დაგეგმილია ალიანსის სტრატეგიული მიზნებისა და საფრთხეების ხელახალი განსაზღვრა. "რუსეთი მტერი აღარ არის. ჩვენი მტრები საერთაშორისო ტერორისტები არიან, რომლებსაც თავისუფლება სძულთ",




- განაცხადა პრეზიდენტმა ბუშმა, რითაც, ფაქტობრივად, ალიანსის წინაშე მდგარი ახალი საფრთხე ჩამოაყალიბა.

სამიტზე განიხილება 21 000-ჯარისკაციანი სწრაფი რეაგირების ძალების შექმნის შესაძლებლობა, რომელიც მოკლე ვადაში შეიკრიბება ტერორისტების და ურჩი მთავრობების წინააღმდეგ საბრძოლველად, აგრეთვე, რეგიონული კრიზისების მოსაგვარებლად. ამერიკელი სტრატეგოსების აზრით, ნატო-ს სწრაფი რეაგირების ძალებმა ამერიკის ხელმძღვანელობით წარმართულ ომში ტერორიზმის წინააღმდეგ წამყვანი როლი უნდა შეასრულოს. სკეპტიკოსების განცხადებით, კი ამ დაჯგუფების ჩამოყალიბება დაასამარებს სწრაფი რეაგირების ევროპული კორპუსის შექმნის იდეას.

თუმცა, მრავალი დასავლელი ექსპერტის აზრით, საჭიროა კიდევ რამდენიმე წელი, რათა ნატო გლობალურ სამხედრო ალიანსად ჩამოყალიბდეს, რომელსაც ეფექტურად შეეძლება "ახალ საფრთხეებთან" გამკლავება. ნატო-ს მაღალი თანამდებობის პირების განცხადებით, ამერიკელებმა თავიანთ მოკავშირეებს ნატო-ში ყველა სამხედრო პარამეტრით გადაუსწრეს. მათი თქმით, დღეს შეერთებულ შტატებს ნატო-ელი მოკავშირეებისაგან ამა თუ იმ საკითხის მიმართ უფრო პოლიტიკური მხადაჭერა ესაჭიროება, ვიდრე – წმინდა სამხედრო დახმარება. ამგვარი ვითარების ერთ-ერთი მიზეზს ევროპული სახელმწიფოების მწირი სამხედრო ბიუჯეტები წარმოადგენს. ევროპული სახელმწიფოების სამხედრო დანახარჯები ამერიკის ანალოგიურ მაჩვენებლის 40 პროცენტს შეადგენს, თუმცა, ანალიტიკოსების თქმით, ევროპელ მოკავშირეებს ამ დანახარჯების ადეკვატური ძალებიც არ გააჩნია.

სამიტამდე ცოტა ხნით ადრე ნატო-ს გენერალურმა მდივანმა ლორდმა რობერტსონმა თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ "ნატო მოქნილი და მობილური უნდა გახდეს". მისი თქმით, გაერთიანებაში თითოეულ წევრ სახელმწიფოს საკუთარი, ძალზე სპეციფიკური როლი უნდა ჰქონდეს. მისი თქმით, ჩეხეთმა, შესაძლოა, ქიმიური ომის საწინააღმდეგო შესაძლებლობები განავითაროს, გერმანიამ თავის თავზე აიღოს სატვირთო თვითმფრინავებით ალიანსის უზრუნველყოფა და ა.შ.

თუმცა, ექსპერტთა მნიშვნელოვანი ნაწილი ნატო-ს სამხედრო ორგანიზაციის სწრაფი ტრანსფორმირების პერსპექტივას სკეპტიკურად უყურებს. მათი აზრით, ნატო უფრო პოლიტიკური დატვირთვის მქონე კავშირად გარდაიქმნება. მას შემდეგ, რაც დასავლეთის მთავარი მეტოქე საბჭოთა კავშირი აღარ არსებობს, ნატო-ს სამხედრო დანიშნულება გაურკვეველია. ანალიტიკოსებს ეჭვი ეპარებათ, რომ საერთაშორისო ტერორიზმი, როგორც გამაერთიანებელი საფრთხე, საბჭოთა კავშირის ჩანაცვლებას შეძლებს. ამას გარდა, ნატო-ს წევრი სახელმწიფოების 19-დან 26-მდე გაზრდით კიდევ უფრო გართულდება გადაწყვეტილების მიღება, რადგან თითოეული საკითხის გადასაწყვეტად კონსენსუსის მიღწევა 26 სახელმწიფოს შორის გახდება აუცილებელი.

თუმცა, ახალი წევრებისათვის ეს ყველაფერი სულაც არ ამცირებს ალიანსში გაწევრიანების მნიშვნელობას. კვლავინდებურად ძალაშია ქარტიის მეხუთე მუხლი, რომელიც ნატო-ს რომელიმე წევრზე თავდასხმის შემთხვევაში დანარჩენ ქვეყნებს მის დახმარებას ავალდებულებს.

21-22 ნოემბრის პრაღის სამიტი სწორედ ამ კითხვებს გასცემს პასუხს და 21-ე საუკუნეში ნატო-ს ახალ როლსა და ფუნქციას განსაზღვრავს.

# ვისწავლოთ კონფლიქტის მართვა ქალების დახმარებით

*გაერო-ს განვითარების ფონდი ქალთათვის (UNIFEM) 2001 წლის სექტემბრიდან ახორციელებს რეგიონულ პროექტს "ქალები კონფლიქტის პრევენციისა და მშვიდობის მშენებლობისთვის სამხრეთ კავკასიაში". პროექტის მიზანია, გაითვალისწინოს ქალთა თვალსაზრისი, სტრატეგია და წვლილი კონფლიქტის პრევენციაში კონფლიქტების გადაჭრასა და მშვიდობის მშენებლობაში.*

ლელა მარგიანი

გუშინ სასტუმრო "თორში" მოეწყო პრეზენტაცია UNIFEM-ის პროექტის ფარგლებში უმაღლესი სასწავლებლებისთვის შექმნილი სახელმძღვანელოსი "კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა".

სახელმძღვანელოს წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ "იგი შემუშავდა და დაიწერა სამხრეთ კავკასიის უმაღლესი სასწავლებლებისთვის და გათვლილია 30 აკადემიური საათის მოცულობის სასწავლო კურსზე".

სახელმძღვანელოს ავტორები არიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები. პრეზენტაციას ესწრებოდნენ საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის რექტორები და წარმომადგენლები.

სახელმძღვანელო არის პირველი მცდელობა გენდერის დაკავშირებისა კონფლიქტთან და მშვიდობის მშენებლობასთან. მსგავსი კომპლექსური სახელმძღვანელო არ არსებობს ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით.

სახელმძღვანელო შედგება ხუთი ნაწილისგან: 1) კონფლიქტის ბუნება და მისი მართვა; 2) გენდერი - სოციალური სქესი საზოგადოება; 3) ადამიანის უფლებები; 4) მშვიდობის მშენებლობა; 5) ქალი და მშვიდობის მშენებლობა.

შეხვედრაზე ითქვა, რომ ეს კურსი 2002 წლის სექტემბრიდან ისწავლება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, გრიგოლ რობაქიძის სახ. უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე.

# შეიქმნა საკვირაო სკოლათა ქსელი

თბილისის მასწავლებელთა დახელოვნებისა და განათლების სისტემის მეთოდური უზრუნველყოფის ინსტიტუტთან არსებული „ნატიფი ხელოვნების საკვირაო სკოლამ" სკოლათა ქსელი შექმნა, რომელიც სოციალურად დაუცველ ბავშვებისთვისაა გათვალისწინებული. სკოლებში 150-მდე მოსწავლეა დასაქმებული პედაგოგთა საინიციატივო ჯგუფი კი ხელფასის გარეშე მუშაობს.

როგორც „ნატიფი ხელოვნების საკვირაო სკოლის" ხელმძღვანელმა იზა ბარამიძემ განაცხადა, უფასო საკვირაო სკოლათა არსებობამ ხელი უნდა შეუწყოს სოციალურად დაუცველი ნიჭიერი ბავშვების შემოქმედებით თვითრეალიზაციას.

"დედაქალაქის განათლების სისტემის მიერ ამ მიმართულებით საქმიანობის წარმართვის ერთ-ერთი მაგალითია „ნიჭიერ ბავშვებთან მუშაობის სადედაქალაქო პროგრამა", რომელიც შემუშავდა თბილისის პედაგოგთა დახელოვნებისა და განათლების სისტემის მეთოდური უზრუნველყოფის ინსტიტუტში", - თქვა ბარამიძემ.

საკვირაო სკოლათა ქსელში გაერთიანებულია 103-ე, 32-ე, 133-ე საშუალო სკოლებში შექმნილი უფასო ჯგუფები. უახლოეს მომავალში ამ ქსელში მე-5 გიმნაზიისა და 55-ე საშუალო სკოლის ბაზაზე შექმნილი მსგავსი ჯგუფებიც გაერთიანდება. **მედია-ნიუსი.**

## მოკლედ

**თბილისი.** 21 და 22 ნოემბერს, განათლების სამინისტროში დაიწყება საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის განათლების მინისტრების რიგით მესამე, შემაჯამებელი კონფერენცია. კონფერენციაზე განიხილება ჩატარებული სამუშაოების შედეგები, დაიწყება ევროპის საბჭოსთან სამხრეთ კავკასიის ქვეყნების თანამშრომლობის ახალი ეტაპი. სამი ქვეყნის განათლების მინისტრები ხელს მოაწერენ კონფერენციის შემაჯამებელ დოკუმენტს. კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის დელეგაციები.

კონფერენცია ტარდება ევროპის საბჭოს ეგიდით. ევროპის საბჭოს ექსპერტთა დელეგაციის ხელმძღვანელია განათლების, კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის, ახალგაზრდობისა და სპორტის მე-4 დირექტორატის გენერალური დირექტორი ბენდიკ რუგაასი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** „თბილლიფტს", რომელიც 40 წელია ფუნქციონირებს, დაუპირისპირდა შპს „კომპიუტერლენდი". იგი ოფიციალურად წლეულს არის რეგისტრირებული. „თბილლიფტის" თანამშრომლები ვარაუდობენ, რომ შპს-ს კავშირი აქვს იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც მათ მუშაობაში დეზორგანიზაციის შეტანასა და დისკრედიტაციას ცდილობენ.

როგორც „თბილლიფტის" ხელმძღვანელმა ვახტანგ გუმბერიძემ განაცხადა, დაპირისპირება განაპირობა „თბილლიფტის" მომსახურების დაბალმა ტარიფებმა.

ფუნქციონირებად ლიფტებთან არსებულ „სალაროში", რომელიც ერთგვარ ელექტროგამშვებ ყუთს წარმოადგენს, მგზავრობის ღირებულება ასვლისას 5 თეთრია, ხოლო ჩასვლა უფასოა.

გუმბერიძის თქმით, „კომპიუტერლენდმა" გადასახადი ათ თეთრამდე გაზარდა. ამასთან, „თბილლიფტის" მიერ დამონტაჟებულ „სალაროში" მოსახლეობა 97 ლარს იხდის, ხოლო დაპირისპირებული მხარე 200 ლარამდე ითხოვს.

ამჟამად დედაქალაქში ფუნქციონირებს 3.500-მდე ლიფტი. მათგან „თბილლიფტის" დაქვემდებარებაშია 100-მდე ლიფტი, რომელთა „სალაროს" ადგილობრივი მოსახლეობა განკარგავს. ისინი მომსახურების თანხას ამ ორგანიზაციას უხდიან. „კომპიუტერლენდი" კი 140-მდე ლიფტისა და მასთან დამონტაჟებული „სალაროების" მფლობელიცაა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მსოფლიო ბანკის დაფინანსებით თბილისის ქუჩების რეაბილიტაცია გაისადაც გაგრძელდება. როგორც თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურში თქვეს, ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები მსოფლიო ბანკთან მომავალი წლის პროგრამის დაფინანსების შესახებ.

ამ პროგრამის პირველი ეტაპი 2 წლის წინათ დაიწყო და წლეულს უკვე დასრულდა. მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი 14 მილიონი დოლარის კრედიტით თბილისში შეკეთდა 22 ქუჩის საფარი. ამ პროგრამით ბოლო აღდგენითი სამუშაოები ლოტკინისა და ჩოდრიშვილის ქუჩებზე ჩატარდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ლილოში ძველი ნაგავსაყრელის გაუქმება უახლოეს ხანში დაიწყება. როგორც „მედია-ნიუსს" თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურში აცნობეს, ამ სამუშაოებს ტენდერის წესით არჩეული ფირმა განახორციელებს. ტენდერი უკვე გამოცხადებულია და მასში გამარჯვებული ნაგავსაყრელის უტილიზაციას წლის ბოლომდე დაიწყებს. ლილოს ნაგავსაყრელის ლიკვიდაცია გაისად მაისში უნდა დასრულდეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** როგორც „საქსტანდარტის" სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის პურისა და პურპროდუქტების სამმართველოს უფროსმა ომარ კვირიკაძემ თქვა, თბილისში დიაბეტურ პურს ორი საწარმო უშვებს - №1 პურის ქარხანა და შპს „ეკვატორი". ომარ კვირიკაძის მტკიცებით, ორივე საწარმო და მათი პროდუქცია შემოწმებულია. „საქსტანდარტის" მიერ წარმოებული დიაბეტური პური პასუხობს ამ პროდუქციისთვის დამტკიცებულ ნორმებსა და სტანდარტებს. მისი თქმით, ბოლო პერიოდში პრესაში გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს თბილისში დიაბეტური პური არ ცხვება, არ შეესაბამება რეალობას. მისივე განცხადებით, ამგვარი ინფორმაციებით არღვევენ მომხმარებელთა და ავადმყოფთა უფლებებს, ხოლო პურის მწარმოებლები ამ პუბლიკაციის ავტორის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დეპუტატი გურამ შარაძე კატეგორიულად ითხოვს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ნინო ჩხობაძის პარლამენტში მისვლას. შარაძის თქმით, ჩხობაძეს „დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობის გამო" პასუხისგება მოუწევს. „ჩხობაძეს ქალაქში შექმნილი ვითარების კონტროლზე ხელი აქვს აღებული", - მიიჩნევს შარაძე და აცხადებს, რომ მინისტრის საქმიანობასთან დაკავშირებით პარლამენტის შესაბამისმა კომიტეტმა უნდა იმსჯელოს.

მისივე თქმით, ვაკეში, თსუ-ს კორპუსების უკან ტყის დიდი მასივის ჩეხვა მიმდინარეობს, რაზეც სათანადო ორგანოები არ რეაგირებენ. „ამ ტერიტორიას უკანონო მშენებლობის დასაწყებად ამზადებენ", - თქვა შარაძემ. **მედია-ნიუსი**

# 2500 "ბიგმაკი" ბავშვთა საავადმყოფოსთვის



"ზუმბა" და თემურ ჭყონია მოსამსახურე პერსონალის ამპლუაში



*გუშინ საქართველოში მერვედ აღინიშნა ბავშვთა უფლებათა კონვენციის საერთაშორისო დღე. მსოფლიოს ბევრი ქვეყანა ამ დღეს უკვე ოცდამესამედ ზეიმობს. უცხოელი თანატოლებისგან განსხვავებით, თბილისელი ბავშვებისთვის 20 ნოემბერი ნაკლები პომპეზურობით გამოირჩეოდა, მაგრამ მათი უმრავლესობა მაინც კმაყოფილი იყო.*

ეთერ მამულაშვილი

თბილისელი ბავშვებისთვის გუშინ სპეციალური კონცერტი ჩატარდა თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში, თუმცა, დარბაზში, პატარების გარდა, უფროსებიც კარგად ხალისობდნენ. ქართულ ქორეოგრაფიულ და ხალხურ საკრავთა ანსამბლების გამოსვლას ხანდაზმული ბებია-ბაბუების ოვაცია არ აკლდა. ცეკვა-სიმღერის შემდეგ პატარებმა გადაინაცვლეს მეორე დარბაზში, სადაც მათივე თანატოლთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა მოეწყო. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო პატარების ნახატები, მისალოცი და ღია ბარათები, ხელით ნაქარგი და ნაქსოვი ხელჩანთები. ამ ნამუშევრების ავტორთა უმრავლესობა აფხაზეთიდან დევნილი და მზრუნველობას მოკლებული ბავშვები იყვნენ.

ღონისძიების ორგანიზატორი იყო სახალხო დამცველის აპარატთან არსებული ბავშვთა უფლებათა დაცვის ცენტრი, რომელმაც მიმდინარე წლის აპრილიდან დაიწყო ფუნქციონირება.

საჩუქარი პატარებისთვის სწრაფი კვების რესტორანმა "მაკდონალდსმაც" მოამზადა. 1 ნოემბრიდან გუშინდელ დღემდე, ყოველი გაყიდული "ბიგმაკიდან" ერთ ლარი რესტორანმა მურმან იაშვილის სახელობის ბავშვთა საავადმყოფოს გადასცა. ნოემბრის პირველ ოც დღეს "მაკდონალდსმა" მხოლოდ 2500 "ბიგმაკი" გაყიდა და, შესაბამისად, საავადმყოფომ 2500 ლარი მიიღო. როგორც საავადმყოფოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა თინა ცომაიამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, "მაკდონალდსის" საჩუქარი მთლიანად ბავშვთა გადაუდებელი დახმარების ცენტრის განვითარებას მოხმარდება.

ბავშვთა უფლებათა კონვენციის საერთაშორისო დღეს "მაკდონალდსში" კომპანია "კოკა-კოლას" გენერალური დირექტორი თემურ ჭყონია, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს, კულტურისა და პრესის ატაშე შერონ ჰაცენ-დინი და პოპულარული ანსამბლის "ზუმბას" სოლისტი ზაზა კორინთელიც ზეიმობდნენ. ერთხანს ისინი კლიენტებსაც სიამოვნებით ემსახურებოდნენ.

თურმე, ზაზა კორინთელს ბავშვებისთვის სპეციალური კონცერტის გამართვაც ჰქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ რესტორნის ფართი არ ეყო და კონცერტი სამომავლოდ გადადო. **"რაოდენ პარადოქსულიც უნდა მოგეჩვენოთ, ჩემი მუსიკის მსმენელთა უმრავლესობა ბავშვები არიან",** - გვითხრა "ზუმბამ".

ბავშვთა უფლებათა კონვენციის საერთაშორისო დღე, მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში, "მაკდონალდსის", დაახლოებით, 29.000-მა რესტორანმა აღნიშნა.

# მინისტრი დახმარებას ითხოვს

*შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ამირან გამყრელიძე პარლამენტს ბიუჯეტის დამტკიცების დროს დახმარებას სთხოვს. საქმე ისაა, რომ მომავალი წლისთვის მინისტრს გადაწყვეტილი აქვს, მაქსიმალურად უზრუნველყოს საყოველთაო პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარება.*

ზაზა ფაჩუაშვილი

ამისთვის კი საჭიროა ორი სახელმწიფო პროგრამის გაფართოება. ესენია: პირველადი ამბულატორიული დახმარებისა და ურგენტული სტაციონარული დახმარების სახელმწიფო პროგრამები. ეს იმას ნიშნავს, რომ ამბულატორიებსა და პოლიკლინიკებში ადამიანებს უფასოდ მოემსახურებიან. გადაუდებელი სასწრაფო სამედიცინო დახმარების საჭიროების შემთხვევაში კი ავადმყოფებს საავადმყოფოებშიც უფასოდ მოემსახურებიან.

ამირან გამყრელიძემ ამის შესახებ გუშინ პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის სხდომაზე განაცხადა. თუმცა, როგორც კომიტეტის თავმჯდომარემ, ზეზვა ლუღუნიშვილმა აღნიშნა, კვორუმის არარსებობის გამო, დაგეგმილი კომიტეტის სხდომა უბრალო მუშა შეხვედრად გადაიქცა.

ამირან გამყრელიძემ დეპუტატებს ასე მიმართა: "ვიცი, რომ ჯანდაცვის ბიუჯეტის განხილვის დროს დაიწყება სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამის ლობირება, მაგრამ მე მკაცრად დავიცავ ჩემს პოზიციას. მომავალი წლისთვის უნდა გავაფართოოთ მხოლოდ ორი სახელმწიფო პროგრამა, რითიც უზრუნველყოფილი იქნება უფასო ამბულატორიული და ურგენტული სტაციონარული დახმარება. ეს ის პროგრამებია, რომელიც ხალხს ყველაზე მეტად სჭირდება. ამიტომ, ჯანდაცვაში შემოსული ყველა დამატებითი თანხა სწორედ ამ პროგრამებს უნდა მოვახმაროთ. ძალიან გთხოვთ, მხარი დამიჭიროთ."

შჯსდ-ის სამინისტრომ პარლამენტში შეიტანა კიდევ ერთი საკითხი, რომლის დამტკიცებას, სამი თვეა, ელოდება. მართალია, სამი თვე პარლამენტისთვის არაფერია, მაგრამ, ამ შემთხვევაში, საქმე დიდ დანაკლისთან გვქონია.

ჯერ კიდევ ჯორბენაძის მინისტრობის დროს დღის წესრიგში დადგა სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის შექმნა სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო კომპანიისა და საპენსიო ფონდის შერწყმის საუძველზე. ამ გაერთიანების სიკეთე ის არის, რომ ჯანდაცვის ფონდის გადასახადის (3+1) ამოღება საგადასახადო ინსპექციას დაევალება (ამ სფეროდან მის კომპეტენციაში, ჯერჯერობით, მხოლოდ სოციალური ანარიცხები შედის). შედეგად, არსებულ ანარქიასაც ბოლო მოეღება, როცა ჯანდაცვის გადასახადის იგნორირება თავისუფლად შეიძლება. წინასწარი გაანგარიშებით, ამის გამო ყოველთვიურად ასიათასობით ლარი იკარგება.

გუშინ პარლამენტში უნდა გამართულიყო კენჭისყრა, რომელსაც ამ გაერთიანების ბედი უნდა გადაეწყვიტა, მაგრამ კვორუმი, ჩვეულებისამებრ, არ შედგა.



ამირან გამყრელიძე

# სპილოს ერთ ლუკმად შეჭმა ძნელია

*გუშინ საქართველოს განათლების მინისტრი ალექსანდრე კარტოზია შეხვდა ეუთო-ს უმაღლეს კომისარს ეროვნულ უმცირესობათა საკითხებში როლფ იკეუსს. შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტები ეროვნულ უმცირესობებთან თუ აფხაზეთთან დაკავშირებულ ყველა პრობლემაზე ითხოვდნენ პასუხს. "განა შეიძლება ამდენი მტკივნეული საკითხის ერთად მოგვარება? შეიძლება სპილოს ერთბაშად გადაყლაპვა, თუ არ დაანაწევრე?!" – იკითხა განათლების მინისტრმა.*

დალი კუპრავა

განათლების მინისტრმა აღნიშნა, რომ შეხვედრის დიპლომატიური ფორმატი არ ითვალისწინებდა საკითხების ერთ საათში გადაწყვეტას, მაგრამ ეუთო-ს უმაღლეს კომისართან შეხვედრა უკვე გულისხმობს კეთილგანწყობას, ანუ ყურად ღებას.

საქართველოში არაქართული სკოლები სახელმწიფო სკოლების 17 პროცენტია. ეროვნულ უმცირესობებს საშუალება აქვთ, მშობლიურ ენაზე მიიღონ განათლება და განავითარონ საკუთარი ენა. ეს მსოფლიოში უპრეცედენტო მდგომარეობაა, რაც საერთაშორისო ორგანიზაციებმა დაადასტურეს. მაგრამ ამ სიკეთეს თავისი უარყოფითი მხარე აქვს. ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში საქართველოს მოსახლეობა იჩაგრება და, სახელმწიფო ენის არცოდნის გამო, შესაძლოა, მომავალში პრობლემები შეექმნათ.

სკოლებში ქართული ენის სრულფასოვანი სწავლებისთვის საჭიროა მასწავლებლების პროფესიული მომზადება და მოტივაცია. ამისთვის სახსრებია საჭირო.

არაქართულენოვან რეგიონებში მწვავედ დგას სახელმძღვანელოების პრობლემაც. უსახსრობის გამო მოსახლეობა საქართველოში გამოცემულ სახელმძღვანელოებს ვერ ყიდულობს და მოსწავლეები სწავლობენ სხვა ქვეყნის სახელმძღვანელოებით. აზერბაიჯანისა და სომხეთის განათლების სამინისტროები მათ საჩუქრად უგზავნიან შესაბამისენოვან სახელმძღვანელოებს, რომლებიც საქართველოს სასკოლო პროგრამებს არ პასუხობს. საქართველოს განათლების სამინისტრომ შესთავაზა მეზობელ ქვეყნებს, იმისთვის, რომ უფრო ეფექტიანი იყოს მათი თანადგომა, შეიძინონ მათთვის საქართველოს სასკოლო სტანდარტით გამოცემული სახელმძღვანელოები.

"ჩვენ შევთავაზეთ და თუ არ დათანხმდებიან, მაშინ საერთაშორისო დახმარება დაგვჭირდება", - განაცხადა კარტოზიამ.

მესამე საკითხი, რომლის შესახებაც მინისტრმა ეუთო-ს კომისართან ისაუბრა, აფხაზეთის (გალის რაიონის) სკოლებში ქართული ენის სწავლება იყო. გალის რაიონის ორმოცზე მეტი სკოლა პირობითად იყოფა ქართულ და რუსულ სკოლებად. მათ შორის ის განსხვავებაა, რომ ქართულ სკოლაში კვირაში ერთი საათია ქართული ენა, რუსულ სკოლაში კი საერთოდ არ ასწავლიან.

როგორც კარტოზიამ აღნიშნა, აფხაზეთის დე ფაქტო განათლების მინისტრთან ბესლან დბართან რვა "მშვიდობიანი" შეხვედრა ჰქონდათ. მოლაპარაკების თანახმად, 2001-2002 წლიდან ქართულ სკოლებს ქართულ ენაზე უნდა ესწავლათ, მაგრამ აფხაზურმა მხარემ 2002-2003 წლამდე გადაავადა. ამჯერად რას მოიმიზეზებენ, არავინ უწყის. "ჩვენ ვთვლით, რომ მომიზეზებების რეპერტუარი უკვე ამოწურულია და ამ საკითხის მოსაგვარებლად საერთაშორისო ორგანიზაციები უნდა დავიხმაროთ", - თქვა მინისტრმა.

შეკითხვაზე, აქვს თუ არა იმედი, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები პრობლემას გადაჭრიან, კარტოზიამ უპასუხა: "ეს კლასიკური გზაა. როცა ჩვენ თავად ვერ ვაგვარებთ საკითხს, მივმართავთ საერთაშორისო ორგანიზაციებს: ევროსაბჭოს, გაერო-ს, ეუთო-ს. თუ ეს გზაც არ გაამართლებს, შემდეგ შევაფასებთ".

ეუთო-ს უმაღლესმა კომისარმა იკეუსმა შეხვედრის შემდეგ თქვა, რომ სახელმწიფო ენის გაძლიერების საკითხი პოლიტიკურია და, შესაბამისად, მისი მანდატიც - პოლიტიკური. ამჯერად მიზანი ვიწრო იყო, მხოლოდ სამცხე-ჯავახეთის რეგიონი, მაგრამ მომავალში მანდატი აფხაზეთსა და ქვემო ქართლსაც მოიცავს.

# განუკითხაობის მორიგი მსხვერპლი

პირველი გვერდიდან

მძღოლს ელოდებოდა, რომელიც გზის მოპირდაპირე მხარეს მდგომ კორპუსში მცხოვრებ ნაცნობთან მოსაწევის მისატანად გააგზავნა. უკან დაბრუნებულ მძღოლს კახი ასათიანი უკვე მოკლული დახვდა. პირველად გარდაცვლილი ასათიანი იქვე მცხოვრებმა ნახა.

**"სახლში ვიყავი, როცა სროლის ხმა გავიგე. იყო რამდენიმე გასროლის ხმა, თუმცა ეს ხმა ავტომატისას არ ჰგავდა, ხმამაღალი ტკაცუნივით იყო. ფანჯრიდან გამოვიხედე და მანქანის ჩამსხრეული მინის დანახვაზე მივხვდი, რაც უნდა მომხდარიყო. ოჯახის წევრებს ვუთხარი, მგონი, ვიღაც მოკლესმეთქი და გარეთ გავვარდი. მანქანის კარი გამოვაღე და მოკლულში კახი ასათიანი ვიცანი. დავიწყე ყვირილი. ამ დროს გამოჩნდა მძღოლიც. პოლიცია და სასწრაფო დახმარების მანქანა ძალიან მალე მოვიდნენ. სრულიად შემთხვევით გამოჩნდა მაკა ასათიანის მანქანაც, ის მეგობრებთან ერთად იყო და მამის მანქანის დანახვაზე გაჩერდა. წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავარდებოდა",** - გვიამბო შემთხვევის ადგილის მახლობლად მცხოვრებმა პირმა, რომელმაც ვინაობის დასახელება არ ისურვა. ცოტა ხანში



*დაცხრილული ავტომანქანა.*

შემთხვევის ადგილზე თბილისის სამართალდამცველ ორგანოთა მთელი ხელმძღვანელობა შეიკრიბა. მალე გამოჩნდნენ პოლიტიკოსებიც, მათ შორის, სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე. მკვლელობის ადგილს ასი მეტრის რადიუსით პოლიციის კორდონი შემოერტყა და იქაურობა ჟურნალისტებისა და ცნობისმოყვარეთათვის კარგა ხნით მიუვალი გახდა. შემთხვევის ადგილს გაარიდეს, აგრეთვე, კახი ასათიანის ოჯახის წევრები. სამართალდამცველთა მწირი კომენტარებიდან მხოლოდ იმის შეტყობა გახდა შესაძლებელი, რომ მოკლულს, დაახლოებით, შვიდი ტყვია აქვს მოხვედრილი თავისა და კისრის არეში. შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას კი 23 მასრამდე იქნა ამოღებული. უკვე ცნობილია, რომ ეს მასრები აკს-ის სისტემის ავტომატიდანაა ნასროლი. ავტომატის უჩვეულო ხმა კი, შესაძლოა, თვითნაკეთი მაყუჩის არსებობას მიეწეროს. არის თუ არა ეს იარაღი რეგისტრირებული ან ხომ არ არის ამ ავტომატით სხვა დანაშაულიც ჩადენილი, ამ კითხვებზე პასუხს ბალისტიკური ექსპერტიზა გასცემს. ასევე მხოლოდ დღეს, ექსპერტიზის დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ გახდება ცნობილი კახი ასათიანის ჭრილობების ზუსტი რაოდენობა და სახეობა.

მანქანა, რომლიდანაც კახი ასათიანს ესროლეს, დიდი სიჩქარით ვაკის პარკიდან ვერის მიმართულებით მოძრაობდა. დაღუპულის ჯიპის ტიპის "მერსედესს" უკნიდან აქვს ნასროლი. თვითმხილველებმა მხოლოდ მკვლელების მანქანის ფერი და მარკა დააფიქსირეს. ეს გახლდათ ვერცხლისფერი "ბმვ". ზოგიერთი ინფორმაციით, ცნობილია მანქანის ნომერიც, უფრო კი იმას ამბობენ, რომ სანომრე ნიშნის რამდენიმე ციფრია დაფიქსირებული. რამდენი კაცი იჯდა მანქანაში, არავის შეუნიშნავს.

კახი ასათიანის ცხედარი გუშინ საღამოს თბილისის ცენტრალურ პროზექტურაში ექსპერტიზის ჩასატარებლად გადაასვენეს. მკვლელობის ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, რომელიც წარმოებაში გენერალური პროკურატურის საგამოძიებო სამსახურმა მიიღო.

# კახი ასათიანის მკვლელობის ვერსიები ჯერ ძალზე ბუნდოვანია

პირველი გვერდიდან

გამოძიება მკვლელობის შესაძლო მოტივების შესახებ ოფიციალურად გუშინ არაფერს ამბობდა, თუმცა, რამდენიმე ვერსიამ სამართალდამცველი ორგანოებიდან არაოფიციალურად მაინც გამოჟონა. ერთ ვერსიას საფუძვლად ოჯახური უსიამოვნება უდევს და კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის დუდუ დადიანის მკვლელობას უკავშირდება.

მეორე და, სავარაუდოდ, უფრო სარწმუნო ვერსია კახი ასათიანის ბიზნესს, ანუ "აირზენას" საქმიანობას უკავშირდება.

"აირზენა" დღეისთვის საავიაციო ბიზნესის მონოპოლისტად შეიძლება მოინათლოს. სწორედ ამ კომპანიის აქტიური ჩარევით ხსნიან იმ ფაქტს, რომ ქართულ საავიაციო ბაზარზე ვერ მოხერხდა ფასების ლიბერალიზაცია, რის შედეგადაც თვითმფრინავის ბილეთის ფასების მნიშვნელოვნად დაწევა იქნებოდა შესაძლებელი. როგორც "აირზენას" კონკურენტები ირწმუნებიან, ამ კომპანიის ყოვლისშემძლეობას მის სათავეში ედუარდ შევარდნაძის პირადი პილოტის თამაზ გაიაშვილის ყოფნა განაპირობებს. ცხადია, საუბარი იყო კახი ასათიანის საკმაოდ მნიშვნელოვან როლზეც და, აგრეთვე, კრიმინალურ ავტორიტეტებზეც, რომლებიც კომპანიას უწევენ მფარველობას. რასაკვირველია, გუშინდელი მკვლელობა "აირზენას" გავლენას მნიშვნელოვნად შეასუსტებს. მით უმეტეს, იმასაც ამბობენ, რომ მფარველები შავი სამყაროდან, "აირზენას" დამფუძნებელთა შორის მომხდარი დაპირისპირების შემდეგ, კახი ასათიანის გარდა, კომპანიაში არავის ცნობდნენ, ახლა კი საავიაციო ბაზარზე, ამ მფარველებთან მეგობრობაში შენიშნული სხვა პირებიც გადიანო.

"აირზენასთან" დაკავშირებული ბატალიები სათავეს ერთი და ორი წლის წინ არ იღებს. დამფუძნებელთა შორის დაპირისპირება, თავის დროზე, თავად კომპანიის ფრანკფურტის ოფისიდან დიდძალი თანხის გაქრობამ გამოიწვია. მაშინ ეს დანაკარგი ამავე ოფისის ხელმძღვანელსა და "აირზენას" ერთ-ერთი დამფუძნებლის ვაჟს დაბრალდა. დამფუძნებელი განდევნისგან ვერც მსხვილი კრიმინალების მხარდაჭერამ იხსნა. მას მაშინ არა მარტო წილი ჩამოართვეს, დიდი ოდენობით ვალის გადახდაც დააკისრეს. მისთვის აქციების ჩამორთმევის ინიციატორად მონათლულ თამაზ გაიაშვილს კი კახი ასათიანმა დაუჭირა მხარი.

შარშან გაიაშვილის დისშვილი ბიძის მანქანაში ჩაცხრილეს. ეს მკვლელობა დღესაც გაუხსნელია. ვარაუდობენ, რომ მკვლელის ტყვია თავად გაიაშვილისკენ იყო მიმართული და დისშვილი მხოლოდ შემთხვევითობას ემსხვერპლა. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, დისშვილის მკვლელობის შემდეგ გაიაშვილმა საკუთარი დაცვა გააძლიერა. ამ მკვლელობის მოტივად ისევ დაკარგული მილიონების გამო შურისძიება სახელდება. სხვათა შორის, ამ ფულის საკითხმა არც ისე დიდი ხნის წინ კვლავაც წამოიწია - როცა "აირზენას" აქციათა პაკეტის შესყიდვის მსურველი გამოუჩნდა. აქციების შესყიდვის უზრუნველსაყოფად კი კომპანიის ფინანსური დოკუმენტაციის წესრიგში მოყვანა იყო საჭირო. ეს გარიგება აღარ შედგა. აქციების შესყიდვის მსურველი ბადრი პატარკაციშვილი კი, როგორც ამბობენ, ახალ ავიაკომპანიას ქმნის.

უკავშირდება თუ არა ზემოთ ნახსენები მოვლენები კახი ასათიანის მკვლელობას, ამის გარკვევას, სავარაუდოდ, გამოძიება ეცდება.

# დილით დაწყებული დრამა შუადღით მშვიდობიანად დასრულდა

პირველი გვერდიდან

ერთად, კარი დავკეტეთ. ცოტა ხანში კაკუნის ხმა გავიგონეთ, კარებთან რუსთავის პოლიციის უფროსი ნიკო ჯაფარიძე და მისი მოადგილე დათო მჭედლიშვილი იდგნენ. ტელეფონზე დაგვარეკინეთო, მთხოვეს. ვუთხარი, რომ ტელეფონი არ მქონდა. მაშინ შემოვალთ და ოთახიდან დავრეკავთ მობილურზეო. შემოვიდნენ. ამ დროს კარები ღია იყო. მოულოდნელად დათომ (პაპაშვილმა), რომელიც თურმე ზედა სართულიდან ჩამოდიოდა, ქალი შემოაგდო ბინაში, ჭერში გაისროლა, იარაღი დაყარეთო, იყვირა და თან კარი ჩაკეტა. ჯაფარიძემ და მჭედლიშვილმა იარაღი დაალაგეს.

დათო ძალიან აღელვებული იყო და პოლიციელებს ეუბნებოდა, ვიღაცის მოკვლაში უნდა დამეხმაროთო. სახელი და გვარი არ დაუსახელებია, ამბობდა, იმას მოვკლავ და მერე თავსაც მოვიკლავო. პოლიციელები ცდილობდნენ თბილად და დაყვავებით ელაპარაკათ - გვითხარი, რა პრობლემა გაქვს, ვისი მოკვლა გინდა, იქნებ დაგეხმაროთ და დავიჭიროთო. მეც ვთხოვე, დათო, შვილო, ქალებს რას ერჩი, გაუშვი, აგერ მე დავრჩები აქ-მეთქი. მან მითხრა, მანანა დეიდა, უნდა დამეხმარო და ხელბორკილები უნდა მომიტანოო. ჩავედი პოლიციელებთან და ამოვიტანე. იმ ხელბორკილებით ჯაფარიძე და მჭედლიშვილი ერთმანეთზე გადააბა და ამის შემდეგ მძევალი ქალი და ჩემი მეზობელი გაუშვა. დავრჩი მე. დათომ კიდევ ერთი ხელბორკილის ამოტანა მთხოვა. ჩავედი დაბლა და ერთ-ერთმა პოლიციელმა აიტანა ხელბორკილი სახლში, მე იქ აღარ დავბრუნებულვარ."

მძევლად აყვანილი ორი მაღალჩინოსანი პოლიციელი გამტაცებელმა ეზოში ჩამოიყვანა, პოლიციის უფროსის მოადგილის, მჭედლიშვილის კუთვნილ "მერსედესში" ჩასვა და საჭესთან მჯდომ მჭედლიშვილს წასვლა უბრძანა.

ალეკო ბუკია, ქვემო ქართლის სამხარეო შს სამმართველოს უფროსი: "როცა დაიძრნენ, სადარბაზოსთან ვიდექი, მიცნო და მძევლებს უთხრა, დაუძახეთ და ისიც ჩაჯდეს მანქანაშიო. იარაღი გადავაგდე და ჩავჯექი. ქალაქში დავდიოდით, კონტაქტში არ შემოდიოდა, შემდეგ ქა-



*პოლიცია არკვევს, საით გაიტაცა ბოროტმოქმედმა მძევალი.*

ლაქის პოლიციის უფროსი წინ გადასვა, მე ხელბორკილით გადამება და ასე ერთად, შეხმატკბილებულები დავდიოდით მთელ ქალაქში."

გამტაცებელმა ამის შემდეგ ფული, აეროპორტში მიყვანა და ბუკიასთან ერთად რუსეთში გაფრენა მოითხოვა. ბუკიამ ის დაარწმუნა, რომ რუსული მხარე მათ არ მიიღებდა, ან მიიღებდა და ორივეს "გაასაღებდა". "მერსედესი" ნახევარ საათზე მეტხანს იდგა პაპაშვილის სახლთან. ამასობაში ფული მოიტანეს, პაპაშვილს ის ხელში არც კი დაუჭერია, იქვე სავარძლის ძირში დააგდო. ფულის მიღების შემდეგ მანქანა დაიძრა. თავგზააბნეული გამტაცებელი ბუკიას ეკითხება, საით წავიდეთო და სამხარეო პოლიციის უფროსიც მისი სოფლისკენ, კუმისისკენ წასვლას ურჩევს.

"მერსედესი" რუსთავიდან გავიდა და გზა კუმისის ტბისკენ აიღო. მანქანაში მჯდომი გამტაცებელ-გატაცებულნი უკვე განყენებულ თემებზე, მეგობრობაზე და ადამიანობაზე საუბრობენ. კუმისის ტბასთან ახლოს მანქანა ჩერდება და პაპაშვილი ჯაფარიძესა და მჭედლიშვილს მანქანიდან გადასვლას სთხოვს, თვითონ კი პოლიციის გენერალ ბუკიასთან ერთად აგრძელებს გზას.

"- მე ფული საერთოდ არ მაინტერესებს, ავადმყოფი კაცი ვარ, კიბო მაქვს და ჩემს ცხოვრებას აზრი არ აქვს, - აღსარებას ამბობს პაპაშვილი.

- ჩემთან ერთად გინდა იმქვეყნად წასვლა თუ რა არის? - ეკითხება ბუკია.

- შენ ისეთ ადგილამდე მიმიყვანე, რომ უკან კუდზე არ გვეჯდნენ თანამშრომლები, გამიშვი და შენც უკან დაბრუნდი, - ეს გამტაცებლის ბოლო "გაფართხალება" იყო.

ბუკიამ მას აუხსნა, რომ ეს გამოსავალი არ იყო, რომ ის ოფიციალური ძებნილი გახდებოდა, რომ მისი მდგომარეობა ამით კიდევ უფრო დამძიმდებოდა. ჩაბარების შემთხვევაში კი მაქსიმალურ დახმარებას და სასჯელის შემცირებას ჰპირდებოდა.

"ასეთ საუბრებში ვიყავით, როცა მინისტრმა დარეკა, მე მას მოვახსენე ყველაფერი და ვუთხარი, რომ უნდა მოგვეფიქრებინა, როგორმე ლამაზად გამოგვეყვანა ეს ბიჭი ამ მდგომარეობიდან. მინისტრმა პაპაშვილი მამასთან დაალაპარაკა. ამის შემდეგ ის მოეშვა, დამშვიდდა და უკვე მზად იყო სამართალდამცველებს ჩაბარებოდა.

მე მინისტრს ვთხოვე, რომ არავინ არ გამოგვყოლოდა და, განსაკუთრებით, ჟურნალისტები არ მოსულიყვნენ ახლოს, რადგან ვხედავდი, რომ პოლიციის თანამშრომლებზე მეტი ჟურნალისტები დაგვყვებოდნენ. მინისტრი დამპირდა, ამ ფონს მოგიხსნითო. დავასრულე მასთან საუბარი თუ არა დათო პაპაშვილი მეუბნება - ეს ჩემი ლიმონკა სად გადავაგდოთ? ამ დროს სოფელ კუმისის ტერიტორიაზე, სასაფლაოებზე ვიყავით გაჩერებულები. ერთად გადავედით მანქანიდან და 5-6 წამის შემდეგ ხელყუმბარა ხევში აფეთქდა. ამის შემდეგ მე ისევ მანქანის საჭესთან დამსვა და მითხრა - ახლა სადაც გინდა, იქ წამიყვანეო.

იქიდან თელეთის მილიციის განყოფილებაშო წავედით. იარაღი მანქანაში დავტოვეთ, მე და დათო შევედით პოლიციის უფროსის კაბინეტში, შემდეგ ჩემი ექიმი მეგობარი შევახვედრე, რომელმაც უთხრა, რომ მას კიბო არ ჰქონდა და სასიკვდილო არაფერი სჭირდა. ამის შემდეგ მოვკიდე ხელი, ჩავისვი მანქანაში და წავიყვანე შინაგან საქმეთა მინისტრთან," - ასე აღწერს გამტაცებლის გაუვნებელყოფის ეპიზოდს მთავარი მძევალი - სამხარეო პოლიციის უფროსი.

დილის 10 საათზე დაწყებული დრამა დღის ოთხ საათზე მშვიდობიანად დასრულდა. ამ ხნის მანძილზე რუსთავში იმყოფებოდნენ შინაგან საქმეთა და უშიშროების მინისტრები, მათი სპეცდანიშნულების რაზმები, პატრულირებდა ვერტმფრენი, რომელიც "მერსედეს"-POL 819-ის მოძრაობას აკონტროლებდა.

რუსთავის პროკურატურამ გუშინვე სისხლის სამართლის საქმე აღძრა მუხლით, რომელიც დამნაშავის 6-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

21 წლის დათო პაპაშვილი ახლა რუსთავში, სამხარეო პოლიციაში იმყოფება. მის შესახებ მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ რუსთავში გაიზარდა. ჰყავს მამა, სამი ძმა და დედინაცვალი, რომელთანაც კარგი ურთიერთობა აქვს. არსად მუშაობს და არც სწავლობს. მეზობლები პაპაშვილს ცუდი ყოფაქცევის ბიჭად არ მოიხსენიებენ და უკვირთ მისგან ასეთი საქციელი. დაუზუსტებელი ინფორმაციით, პაპაშვილი აყვანის დროს ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ ან კიდევ ნაბახუსევი იყო. მის შესაძლო ფსიქიკურ აშლილობას სამართალდამცველები არ ადასტურებენ და არც განსაკუთრებით საშიშ დამნაშავედ მიიჩნევენ.

"მე როგორც ვხვდებოდი, მას ასეთ დონის დანაშაულის ჩადენა არ უნდოდა. მოვლენების განვითარებამ აიძულა, ასე მოქცეულიყო. მას ვინმეს მოკვლა რომ სდომოდა, განახორციელებდა კიდეც. მჯერა, რომ ამ ფაქტორის გამო მის მიმართ განწყობა სულ სხვანაირი იქნება. ის ჩემთან საუბარში ნანობდა კიდეც, რომ მოვლენები ასე განვითარდა," - შეძლებისდაგვარად "იცავს" ბუკია თავის ყოფილ გამტაცებელს.

# „ასტრა-დილომის" ყოფილ პარტნიორებს შორის დავამ ახალი ძალით იფეთქა

*კომპანია "ბმვ"-ს მთავარი იმპორტიორი საქართველოში, ფირმა "ასტრა-დილომი", ახალ სკანდალში გაება. ფირმის ყოფილი გენერალური დირექტორი თამაზ შაფათავა ძველ პარტნიორებს "ასტრა დილომის" ქონების დატაცებაში ადანაშაულებს.*

ნათია აბაშიძე

"ასტრა დილომის" ყოფილი დამფუძნებლის წარმომადგენელმა მარინე ჯინჭარაძემ თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო დეპარტამენტის გამომძიებლის უწყება მიიღო. მარინე ჯინჭარაძეს დაკითხვაზე იბარებენ. მეტიც, მის ბრალდებულად გამოცხადებას აპირებენ. თამაზ შაფათავა ძველ პარტნიორებს "ასტრა დილომის" ქონების მიტაცებაში ადანაშაულებს.

თამაზ შაფათავას მიერ ბრალდებული მარინე ჯინჭარაძე კი საპირისპიროს აცხადებს. ირწმუნება, რომ ფირმის ქონება მომჩივანმა მიითვისა და ამის დასადასტურებლად იშველიებს არსებულ დოკუმენტაციას, საიდანაც ჩანს, რომ ფირმის დირექტორის სტატუსით მოქმედმა შაფათავამ "ასტრა დილომის" სახელით სოლიდური რაოდენობის კრედიტები გამოიტანა. მაშინ მისი დირექტორობა იურიდიულად რეგისტრირებული არ ყოფილა და მეწარმეთა კანონის მიხედვით, მას მართვისა და განკარგვის უფლება არ ჰქონდა. მეტიც, შაფათავას, როგორც ინვესტორს, ფირმის განვითარებაში უნდა ჩაედო ფული და არა პირიქით. არსებობს დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება, რომ შაფათავას მიერ აღებული კრედიტები ძველმა პარტნიორებმა გაისტუმრეს. არსებული ინფორმაციით, შაფათავამ 1996-1999 წლებში გამოიტანა 509 ათას 070 ლარის სესხი. აღებულ თანხებზე კრედიტის პროცენტმა მიაღწია 143 ათას 570 ლარს, რომლის გადახდაზეც, როგორც უკვე გითხარით, ძველმა პარტნიორებმა იზრუნეს. მათ კი ახლა შაფათავა ქონების მიტაცებაში ადანაშაულებს. გარდა ამისა, ფირმის ბუღალტერიაში აღრიცხულია ინვესტორის მიერ პირადი სარგებლობისთვის დახარჯული ფინანსებიც – 57 ათას 318 ლარი. 1994 წელს შაფათავას მიერ პარტნიორობიდან გარიცხული გია კიკაბიძე ფირმაში 1999 წელს დაბრუნდა. მას ფირმა თითქმის გაკოტრებული დახვდა – მევალე ბანკების მიერ დაყადაღებული მატერიალური ფასეულობებით, იპოთეკით დატვირთული შენობა-დანადგარებითა და 500 ათას ლარამდე ვალით.

მოგვიანებით, 2001 წლის 23 იანვარს, დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლომ პარტნიორად აღადგინა თამაზ შაფათავა და იგი "ასტრა დილომში" მივიდა. რამდენიმე დღეში კი მან განცხადებით მიმართა თბილისის პოლიციის სამმართველოს, რომ ფირმიდან დიდი რაოდენობით ქონება იყო დატაცებული. თამაზ შაფათავას პირველ საჩივართან დაკავშირებით დაწყებული საქმის გამოძიება შეწყდა დანაშაულის არარსებობის გამო. ამ გადაწყვეტილებას დაეთანხმა პროკურატურაც. თამაზ შაფათავამ კვლავ იჩივლა; ამჯერად, სახალხო დამცველთან. სამართალდამცველებისთვის გაგზავნილი ომბუდსმენის რეკომენდაცია დაკმაყოფილდა და შაფათავას საჩივრის შესწავლა თავიდან დაიწყო, საქმის ძიება განახლდა. შაფათავას ბრალდების ერთ-ერთმა ადრესატმა, მარინე ჯინჭარაძემ, გენერალურ პროკურორს შუამდგომლობით მიმართა. იგი აცხადებდა, რომ ბრალმდებლად ქცეული ძველი პარტნიორი ცრუ მოწმეების გამოყენებით ამაგრებდა საჩივარს.

როგორც მარინე ჯინჭარაძე აცხადებს, სქელტანიან შუამდგომლობაში მის მიერ დასახელებული არც ერთი არგუმენტირებული მოთხოვნა არ შესრულებულა. იგი გამოთქვამს სერიოზულ ეჭვს, რომ გამოძიება თამაზ შაფათავას ინტერესებს იცავს და არა ობიექტურობას.

არადა, მარინე ჯინჭარაძეს მოეპოვება მასალა, რომლის მიხედვითაც შაფათავამ "ასტრა დილომის" საწყობის დარაჯები აიძულა, გამოძიებისთვის ცრუ ჩვენება მიეცათ. სწორედ ამ ჩვენებების საფუძველზე დაიწყო საქმის გამოძიება.

მარინე ჯინჭარაძის ადვოკატს, ია პატარავას, ახსნა-განმარტება ჩააბარა ერთ-ერთმა მოწმემ, იური კობახიძემ,.

**"მოგახსენებთ, ვმუშაობდი "ასტრა დილომში," სამეურნეო სამსახურის მენეჯერად.**

**2001 წელს (თვე არ მახსოვს) დაკითხული ვიქენი რამდენჯერმე სხვადასხვა გამომძიებლის მიერ. სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, რომელიც დაკავშირებულია "ასტრა დილომის" საწყობის ლუქების ახსნასთან.**

**ჭილოსანიძის შეხსენებით, წინა ჩვენებებში უკვე მოვყევი საწყობის გახსნის ისტორია. თუმცა, მისი შეხსენების მიუხედავად, მაინც ვერ გავიხსენე საწყობის გახსნის ზუსტი პერიოდი, მაგრამ ჩემს ჩვენებებში მაინც აღვნიშნე ჭილოსანიძისთვის სასურველი პერიოდი. არადა, არ მინახავს ამ კარების არც გახსნა, არც ლუქების ახსნა და არც ხელახლა დალუქვა,"** – იური კობახიძემ ამჯერად უარყო მის მიერ მიცემული ჩვენება. იგი იმ მოწმეთაგანია, რომლებმაც თავდაპირველად ძველი პარტნიორები ამხილეს საწყობის გახსნაში. მსგავსი შინაარსის წერილი მარინე ჯინჭარაძეს საწყობის დარაჯმა რომან ჩიკვილაძემაც გამოუგზავნა. **"ქალბატონო მარიკა, დიდი ზეწოლის ქვეშ ვარ, მავალდებულებენ ვთქვა ტყუილი, მთვრალ მდგომარეობაში დამაწერინეს ჩვენება, თან მითხრეს, თუ არ დავწერდი და ყველას არ დავასახელებდი, რაც ფირმაში დანაკლისი ყოფილა, ე.ი. ჩემი წაღებული ყოფილა და ჩემი ასანაზღაურებელი იქნებოდა. მე არ მახსოვს, თუ რა დამაწერინეს, მაგრამ ის კი მახსოვს, რომ გვარები დამაწერინეს თქვენიც და დამაწერინეს, სასამართლომ რომ დალუქა საწყობი, იმის მერე ვითომ ორჯერ გახსენით და ვითომ მეც და ოთარ ჭილოსანიძეც მოგეხმარეთ. მაიძულებენ კიდევ, რომ დავასახელო მაისურაძე. პირველად ეს ყოველივე რომ არ დავწერე, შაფათავამ გამაგდო სამსახურიდან, მერე მთვრალს ჩვენება რომ დამაწერინეს, დამაბრუნა. მე ტყუილის თქმა არ მინდა, მაგრამ დიდი პრესის ქვეშ ვარ, იქნებ როგორმე დამეხმარო, იმავე დღეშია იური და ოთარი. გთხოვთ, დამირეკოთ,"** – წერდა რომან ჩიკვილაძე. თუმცა, მან წერილში ნათქვამი აღსარება ახლადდაწყებული გამოძიებისას შეცვალა თუ შეაცვლევინეს, კვლავ ძველი ჩვენება გაიმეორა., განაცხადა, რომ საწყობი ჯინჭარაძე-კიკაბიძე-მაისურაძემ გატეხეს და ფირმის ქონება გაიტანეს. თუმცა, რამდენიმე დღის წინ მარინე ჯინჭარაძემ რომან ჩიკვილაძის ახალი აღიარება მიიღო.

**"სრულიად ფხიზელი ვწერ, რომ ის, რაც ჩვენებებში მქონდა ნათქვამი, ტყუილია იმდენად, რამდენადაც ვიყავი ნასვამ მდგომარეობაში, ხოლო რაც ვთქვი ოთარ ჭილოსანიძის და ცოტაოდენ იური კობახიძის ნათქვამია, ამიტომ მე უარს ვამბობ ჩემს ჩვენებებზე და მზად ვარ პასუხი ვაგო, მირჩევნია მე დავისაჯო, ვიდრე ვინმეზე მივუთითო და სხვა დაისაჯოს, რადგან კიდევ ვიმეორებ, რომ ვიყავი ნასვამი და გარშემო რა ხდებოდა, არაფერი მახსოვს, ბოდიშს ვიხდი, რომ ამდენი ხანი ვერ ვამბობდი, მაგრამ აღარ შემიძლია, ღამეები არ მძინავს, ნევროზი დამემართა, ვიფიქრე, საქმეს წაადგება-მეთქი და ვიცრუე, მაგრამ არ შემიძლია ჩემი სინდისის წინაშე ტყუილი ვთქვა",-** ასეთია რომან ჩიკვილაძის ახალი განაცხადი.

ჩიკვილაძისა და კობახიძის აღიარების რეალობას ადასტურებს "ასტრა დილომის" ყოფილი გენერალური დირექტორის გოგი ნინიძის განცხადებაც.

**"ჩემი ფირმიდან წამოსვლის ერთ-ერთი მიზეზი კიკაბიძე-ჯინჭარაძისადმი შაფათავას დამოკიდებულება გახდა. ფირმაში აუტანელი სიტუაცია შეიქმნა, თანამშრომლები ტერორის ქვეშ იყვნენ და მათი სერიოზული დამუშავება მიდიოდა. ამ ხალხს მატერიალურად ძალიან უჭირს და შაფათავამ მათი დაყოლიება ადვილად შესძლო. დარაჯებს კაბინეტში იბარებდა და მიდიოდა გაფრთხილება, თუ რა ჩვენება უნდა მიეცათ, რა დაეწერათ კიკაბიძისა და ჯინჭარაძის წინააღმდეგ. ერთი დარაჯი, გვარად ჩიკვილაძე, პირველად რომ ვერ დაიყოლია შეთავაზებაზე, სამსახურიდან გაააავისუფლა კიდეც. შემდეგ დააბრუნა, რადგან შეთანხმება შედგა. შეწუხებული თანამშრომლები ჩემთან არაერთხელ შემოვიდნენ და რჩევა მკითხეს, როგორ მოვიქცეთო. შაფათავა თანამშრომლებს აიძულებდა, რომ მათ დაეწერათ ჩვენებაში: კიკაბიძე-ჯინჭარაძემ დალუქული საწყობები გახსნეს და ფირმის ქონება მიიტაცესო,"** – აცხადებს გოგი ნინიძე.

ყველა კანონდამცველი, რომელთაც "ასტრა დილომის" საქმესთან შეხება აქვთ, ერთი და იმავე პასუხს იძლევა: საქმე სასამართლოს გადაეცემა, ეს გადაწყვეტილია და მან გაარკვიოს სიმართლე.



23 ნოემბერს 21.00 საათზე რესტორან
„დავით სარაჯიშვილში“

„იმიჯ-ცენტრი“ და „ორიფლეიმი“
წარმოგიდგენთ
შემოდგომა-ზამთრის
კოლექციის შოუ-ჩვენებას.
დიზაინერები: ფეხსაცმელი — მადონა ხარატიშვილი
ტანსაცმელი — ანა აბულაშვილი

გიორგობის აღსანიშნავად გიწვევენ:

მერაბ სეფაშვილი
ლელა წურწუმია
თემო რუხილაძე
ნუკრი კაპანაძე
ქეთა თოფურია
ჯგუფი „ფორტე“
და ყველაზე პოპულარული
„გიო“- მალხაზ ქვრივიშვილი.

ტელ: 53-69-11, 877 73-07-09, 899 28-96-53

“ფერმერის იურიდიული სახელმძღვანელო“

იურიდიული და პრაქტიკული რჩევები ფერმერებისა
და მიწის მესაკუთრეთათვის




მიწის პრივატიზაცია, რეგისტრაცია, გადასახადები, მიწის დაცვა, კრედიტები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ტრანსპორტირება.

საინტერესო ინფორმაცია და პასუხი თქვენს კითხვებზე.

*სახელმძღვანელო შეგიძლიათ უფასოდ მიიღოთ მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის ცენტრალურ და რეგიონალურ ოფისებში.*

ტელ: 931276, 986291, 931681.
Web-მისამართი: www.aplr.org, ელ-ფოსტა: aplr@caucasus.net

# დავით თევზაძე „ფარის“ „ხმლად“ გადაქცევაზე ოცნებობს

## კუნთების თამაში აფხაზეთის აკვატორიიდან 15 კილომეტრში

ზაზა წულაძე
ყულევი-თბილისი

***“არ გამოვრიცხავ, რომ ყულევის წვრთნის ლეგენდა, ახლო მომავალში, რეალობად იქცეს, თუ აფხაზები მოლაპარაკების მაგიდას არ მოუსხდებიან. მათი პროტესტი ჩემთვის არაფერს ნიშნავს, იხტუნონ, სადამდეც შეძლებენ და რამდენიც უნდათ,”*** *– ეს განცხადება საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ფართომასშტაბიანი სამხედრო სწავლება “ფარი-2002”-ის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე გააკეთა, როცა ფოთში საზღვაო ძალების მთავარ შტაბში მას გაერო-ს სამხედრო დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელი, ბანგლადეშელი გენერალი კაზი აშფაქ აჰმედი ეწვია და აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების პროტესტი გადასცა. სეპარატისტებს შეშფოთების საბაბი ნამდვილად ჰქონდათ. მათი კონტროლირებადი აკვატორიიდან სულ რაღაც 15 კილომეტრში, შეზღუდული შეიარაღების ზონაში, თავი მოიყარეს საქართველოს არმიის 1864 ჯარისკაცმა, 18 ერთეულამდე მძიმე საბრძოლო ტექნიკამ, ორ-ორმა ავიაგამანადგურებელმა და შვეულმფრენმა და 15-მა სამხედრო ხომალდმა, რომლებზეც საქართველოს დროშა ფრიალებდა.*

ისევე, როგორც აქამდე გამართული ყველა სამხედრო წვრთნა, თავდაცვის სამინიტროს მიერ “ფარი-2002”-იც დეკლარირებული იყო, როგორც თავდაცვითი ხასიათის სწავლება. თუმცა, პირად საუბრებში არც დაბალი და არც მაღალი რანგის სამხედრო მოსამსახურეები არ მალავდნენ, რომ ყველა წვრთნის მთავარი მიზანი აფხაზეთის დასაბრუნებლად მზადებაა. **“ჩემს სამშობლოს ვერავინ დამავიწყებს,”** – გვითხრა სამხედრო-საზღვაო ბრიგადის მედესანტემ, 21 წლის გიორგიმ, რომელიც მთელი წვრთნის მანძილზე ჭოგრიტით ათვალიერებდა სულ რაღაც 30 მილით მოშორებულ აფხაზეთის სანაპიროს. ნიშანდობლივია, რომ წვრთნაში მონაწილეობდა პირველი ქართული სამხედრო გემი, ლეგენდარული “განთიადიც”. ეს თევზსაჭერი გემი აფხაზეთის ომის დროს სამხედრო ხომალდად გადააკეთეს, ეკიპაჟი კი მთლიანად აფხაზეთიდან დევნილებით არის დაკომპლექტებული. **“ომის დროს ამ ეკიპაჟმა მრავალი ათასი ადამიანი გადაარჩინა და გამოიყვანა სამშვიდობოს,”** – ამბობდნენ სამხედროები.

“ფარი-2002”-ს საკმაოდ მრავლისმეტყველი ლეგენდა ჰქონდა, რომლის თანახმად პირობითმა მოწინააღმდეგე “ჩრდილოეთელებმა” ფარულად მოახდინეს საკუთარი ძალების კონცენტრაცია სოხუმი-ოჩამჩირის რაიონში და ჯერ ხმელეთიდან, შემდეგ კი ზღვიდან დესანტირების ხარჯზე, რომელსაც მხარს უჭერდა ავიაციაც, განახორციელეს ორი შეტევა: პირველი - ხმელეთიდან, სენაკი-ქუთაისისა და მეორე - ზღვიდან, ყულევი-სენაკი-ფოთის მიმართულებით.

თითქმის ხუთსაათიან სწავლებაში ჩაბმული იყო საზღვაო-სამხედრო ბრიგადა, საზღვაო ქვეითთა პირველი და მეორე ბატალიონები, საარტილერიო დივიზიონი, ზღვის სანაპიროს დაცვის დივიზიონი, სამხედრო-საჰაერო თავდაცვის ძალები, მესაზღვრეთა მეორე საზღვაო დივიზიონი, საარტილერიო დივიზიონი, სახმელეთო ძალების 21-ე მოტომსროლელი ბრიგადის ბატალიონი, ჰიდროგრაფიული სამსახური და ფოთის სამხედრო საველე ჰოსპიტალი.

“24 საათი” სწავლებას თვალს სადესანტო მოიერიშე ხომალდი “გურია 001”-დან ადევნებდა, წვრთნაში “გურია” “ჩრდილოეთელების” ერთ-ერთი მთავარი დამრტყმელი ძალა იყო. **“ზღვაში გასვლა ხშირად არ გვიწევს. ცუდად გვაფინანსებენ, ამიტომ ჩვენთვის ეს სწავლება სასიცოცხლო მნიშვნელობისაა,”** – გვითხრა “გურიას” კაპიტანმა ნუკრი გოგმაჩაძემ. “გურიამ” ქვეითთა ოთხი სამხედრო მანქანა ფოთის სამხედრო ნავსადგურიდან ყულევის სანაპირომდე, თითქმის, ერთ საათში მიიყვანა. დაახლოებით ორ საათზე დაიწყო დესანტის გადასხმის ოპერაცია, რომელსაც ჰაერიდან მხარს უჭერდა "მი-8" ტიპის ორი შვეულმფრენი და "სუ-25" ტიპის ორი ავიაგამანადგურებელი. ჯერ პატარა კატარღებიდან საზღვაო ფეხოსანთა ორი ჯგუფი გადაისხა, შემდეგ ქვეითთა რვა სამხედრო მანქანამ ზღვაში, დაახლოებით, 30 მეტრი “გაცურა” და ნაპირზე ბრძოლაში ჩაება. საზღვაო ფეხოსანთა შორის იყო 20 წლის ზუგდიდელი პაატა ზალიკაშვილი. **“წელს წვრთნა “გრიგალშიც” მომიწია ასეთი სახის დესანტირება, ამიტომ მშვიდად ვარ, თუმცა ისიც ვიცი, რომ აქ ასეთი ვარჯიშის დროს ადრე ბიჭები დაიღუპნენ,”** – გვითხრა დესანტირების წინ პაატამ.

დაახლოებით ოთხი საათისთვის, ელვისებური შეტევით, “ჩრდილოეთელებმა” მწყობრად დაახევინეს უკან, ხმელეთზე განლაგებულ თავდაცვის სამინისტროსა და შინაგანი ჯარის ნაწილებს. **“ორგანიზებულად უკან დახევა სწავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დეტალი იყო, ჩვენმა ბიჭებმა ეს დავალება კარგად შეასრულეს,”** – აღნიშნა სწავლების ხელმძღვანელმა გენერალ-მაიორმა ირემაძემ. თუმცა, შემდეგ არტილერიამ, რომელიც "ZEU-25"-ებით იყო შეიარაღებული, თავისი გაიტანა და ზუსტი სროლით უკუაქცია მოწინააღმდეგე, ხოლო ქვეითებმა დაკავებული ტერიტორია “ჩრდილოეთელებისგან” სრულად გაწმინდეს.

თავდაცვის მინისტრს, რომელიც სწავლებას, საქართველოში აკრედიტირებულ ყველა სამხედრო ატაშესთან და გაერო-ს სამხედრო დამკვირვებლებთან ერთად, თვალს ყულევის სამხედრო პოლიგონის სათვალთვალო პუნქტიდან ადევნებდა, აშკარა კმაყოფილება ეტყობოდა. დაუფინანსებელმა მინისტრმა წლის ბოლოს მაინც მოახერხა ფართომასშტაბიანი წვრთნების გამართვა და ჯარს აგრძნობინა, რომ ის სახელმწიფოს სჭირდება. სამხედროები არ საუბრობენ, თუ რა თანხა დაჯდა “ფარი-2002”, მინისტრმა მხოლოდ ის გვითხრა, რომ **“სწავლების დროს, დაახლოებით, 100 ათასი ტონა საწვავი დაიხარჯა”.** სტუმართაგან უკმაყოფილება მხოლოდ გაერო-ს სამხედრო დამკვირვებელთა მისიის წარმომადგენლებს ეტყობოდათ. მათ უარი განაცხადეს კომენტარზე და შეშფოთებულებმა დატოვეს ყულევი.











ნომრის პერსონა

# საქართველოს ნატო-ში შესვლით ნატო-ც მოიგებს

*დღეს პრაღის სამიტი იწყება. საქართველო სამი ძირითადი პრობლემით - მეზობელ ქვეყნებთან გართულებული ურთიერთობით, ეთნოკონფლიქტებითა და სუსტი შეიარაღებული ძალებით - მიემგზავრება სამიტზე, სადაც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის კარზე დააკაკუნებს. "ამ კარს მიღმა ტაძრისკენ მიმავალი გზაა," - ასე სწამს პირველ ქართველ რეინჯერს, ნიკა ჯანჯღავას, რომელმაც საკუთარი თვალით იხილა, რომ "ნატო" "ბუა" არ არის.*

***ნიკა ჯანჯღავა: დაიბადა თბილისში, 1970 წელს. დაამთავრა 64-ე საშუალო სკოლა, თსუ ისტორიისა და იურიდიული ფაკულტეტები. როგორც წესი იყო, იმსახურა საბჭოთა ჯარში, სადაც შეისწავლა ყველაფერი, გარდა იმისა, რაც სჭირდებოდა. 1992 წლიდან იყო საქართველოს შეიარაღებულ ძალებში, სხვადასხვა თანამდებობებზე. შეიარაღებული ჯარები კოჯრის ბატალიონის ბუნტის გამო დაატოვებინეს. დღემდე არ იცის, ძველებურად ვიცეპოლკოვნიკია თუ მაიორად ჩამოაქვეითეს.***

***მისი ჯარისკაცული კარიერა 1992 წელს, გაგრის დაცემის პერიოდს დაემთხვა. მაშინ მიხვდა, რომ საქართველომ საკუთარი თავი თვითონ უნდა დაიცვას, ოღონდ, არა საბჭოურად. მაშინ ასე, თითქმის, არავინ ფიქრობდა.***

მაია ჭალაგანიძე

- საბჭოთა კავშირის ჯარში ყოფნის დროს, მაინტერესებდა, როგორ ცხოვრობდა ყაზარმაში ჩვენი ე.წ. მოწინააღმდეგე - ნატო-ს ჯარისკაცი.

ჩემი ჯარში სამსახურის დროს დაიწყო სსრკ-ს ჯარების გაყვანა ავღანეთიდან. ჩვენს ნაწილში მოხვდნენ ე.წ. მე-40 არმიის ვეტერანები. იქ იყვნენ ვეტერანები, რომელთაც სადაზვერვო შენაერთებში მიუღიათ მონაწილეობა. იყვნენ მზარეულებიც, მძღოლებიც. საქართველოდან 90 პროცენტი მძღოლად მიდიოდა. სადაზვერვო ნაწილებში ქართველების მინიმალური რაოდენობა იყო. ისინი ყოველთვის საუბრობდნენ ავღანელთა მომზადებაზე. ჩემთვის კი გაუგებარი იყო, როგორ უნდა ჩამოეგდო პარტიზანს ორლულიანი თოფით, ყველაზე ძლიერი ეკიპირების მქონე ჯარის ვერტმფრენი. იქ რუსეთი დამარცხდა, მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი ბრძოლა არ წაუგია. დამცირებულები წამოვიდნენ იქიდან. იგივე დაემართათ, რაც ამერიკას ვიეტნამში. ეს "ავღანელები" გვიამბობდნენ იმის შესახებ, თუ როგორ ამზადებდნენ ამერიკელ რეინჯერებს და ჩემი დაინტერესებაც აქედან წამოვიდა.

**- როგორ, რანაირად მოხვდით ნატო-ში და რატომ სწორედ თქვენ?**

- მინდოდა მენახა, როგორ ცხოვრობდნენ ჩემი თანატოლები ყაზარმებში.

**- თავიდანვე ჯარისკაცობა გქონდათ გადაწყვეტილი?**

- არა, არა. ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მივიღე, რაც 1991 წელს, საქართველოში მიმდინარე მოვლენები ვნახე. მაშინ სტუდენტი ვიყავი. ვფიქრობდი, რომ სწავლა უფრო მეტს მომცემდა, ვიდრე ლოზუნგებით სიარული.

როცა გაგრა ეცემოდა, ჩემში რაღაც მოხდა. დედაჩემი აფხაზია, თავად აფხაზურად ვსაუბრობ, იქ გავიზარდე... ეჭვიც არ მეპარება, რომ აფხაზეთის შემოგდებული ომი, ორივე მხარის დანაშაულია. ორივე მხარე წამოვეგეთ ამ ომზე. აფხაზეთში 1992 წლის დეკემბერში ჩავედი. მაშინ თავდაცვის სისტემაში ვმუშაობდი. დავინახე, რომ ჩვენი მხარე ძლიერი არ იყო. არსებობდნენ პარტიზანულ-მილიციურ-ქაოტური ბანდფორმირებები. გუშინდელმა უმცროსმა ოფიცრებმა აიღეს ხელში ვითარება და რაღაცის შექმნა უნდოდათ, მაგრამ... ომს არ იგებს ბრიგადა და დიდი შენაერთები მით უფრო, საქართველოს პირობებში. ომს იგებს ინდივიდუალურად, კარგად მომზადებული ჯარისკაცი, რომელსაც შიდა დისციპლინა აქვს და ესმის, რას აკეთებს. 1994 წელს ბრწყინვალე საშუალება მომეცა და ვარდიკო ნადიბაიძის დახმარებით, საზღვარგარეთ წავედი.

დღეს, საერთო ჯამში, დასავლეთში და ამერიკაში განათლებული ქართველი სამხედროების მხოლოდ 20 პროცენტი მუშაობს ჯარში. ისინი ჩამოდიან და მათი ცოდნა აქ არავის სჭირდება; არავის სჭირდება მათი საბრძოლო განსწავლულობა. იქ არ ასწავლიან, როგორ უნდა მოიპარო, როგორ უნდა გამოწერო ყალბი ქვითრები, როგორ უნდა გაყიდო ჯარისკაცი. იქ საუკეთესოები მიდიან და უზარმაზარი ცოდნითა და გამოცდილებით ბრუნდებიან.

საქართველოში ამგვარი ადამიანების სამუშაოდ პირობებიც არ არის. თუ მე დაბალი დონის ტაქტიკა კარგად ვიცი და ჩემი მეთაური რუსული ყაიდის ან სხვაგვარად გაზრდილია - ჩვენ ერთმანეთთან ვერ ვსაუბრობთ. იცით, რა ცოტა პროფესიონალი სამხედრო გვყავს? მათ შორის, მაღალ ეშელონებშიც.

1994 წლიდან 2002 წლამდე ვიზრდებოდი ისე, როგორც იზრდება ამერიკელი ოფიცერი.

**- რა ეტაპებია. როგორ მიდის სამხედრო დისციპლინის სწავლება?**

- ჯერ სადესანტო, შემდეგ კი რეინჯერის კურსები გავიარე. ეს კი ნიშნავს, რომ სამი თვის განმავლობაში იყო იქ, სადაც არ გაჭმევენ, არ გასმევენ, არ გაძინებენ და გცდიან, სადამდე გაძლებ. ეს არ არის გამოცდა მხოლოდ გამძლეობაში. გიქმნიან რეალურ საომარ პირობებს ომის გარეშე. პატარა მაგალითი: 380 კაცმა დავიწყეთ კურსები და სამი თვის მერე 60 დავრჩით. ოთხი უცხოელიდან მხოლოდ მე შემოვრჩი. ბრძოლაშიც ხომ ასეა. იწყებთ გარკვეული რაოდენობით და შემდეგ ეს რაოდენობა მცირდება. აქ პირდაპირ გვეუბნებოდნენ, "ნუ გგონიათ, რომ სსრკ დაიშალა და მტერი არ გყავთ. პირიქით, თქვენ წახვალთ ომში, თქვენ იომებთ და თქვენ უნდა ემზადოთ ომისთვის". ეს ფსიქოლოგია ბრწყინვალედ გამოჩნდა 11 სექტემბრის მერე. აშშ ერთ თვეში ომში ჩაება და 2 თვეში მოიპოვა გამარჯვება ბრძოლის ველზე. ახლა კი, მეორე დიდი ომისთვის ემზადება. იქ სხვა სისტემაა, სხვანაირი ურთიერთობაა.

**- მოდით, ამ სისტემაზე ვისაუბროთ. დავიწყოთ პირველი წუთიდან - გაწვევა.**

- არ არსებობს გაწვევის სისტემა. ჯარი არის კომპანია. შენ ეომები სხვა კომპანიას. პროფესიონალ ჯარში, რომელიც ეკონომიკურად ძლიერად განვითარებულ ქვეყნებს ჰყავთ, გიდებენ ხელშეკრულებას და გეუბნებიან, რომ 5 წელი ჩვენთან უნდა იყო და ჩვენ შენს განათლებასა და მეორად სამოქალაქო პროფესიასაც უზრუნველვყოფთ. ნებისმიერ პროფესიულ ჯარში აძლევენ ჯარისკაცს განათლებას. განუვითარებელ ქვეყნებში (საქართველოს ბრწყინვალე მაგალითი) ჩვენ ვაფუჭებთ ახალგაზრდას. ვარჯიშის, დისციპლინის, განათლების მაგივრად ვაჩვევთ ქურდულ მენტალობას, კუთხურობას, პროვინციალიზმს. ჯარისკაცს ვხრწნით.

ჯარი ძალზე ცენტრალიზებული ორგანიზმია. როცა კარგად ხედავ, რომ შენი მეთაური არ ცხოვრობს იმ კანონებით, რასაც თავად ითხოვს შენგან, შენც კარგავ ნდობას. კალამბურისთვის ბოდიშს ვიხდი, მაგრამ - "თევზი თავიდან იხრწნება". ეს ასეა. ამერიკაში ყოველთვის გვასწავლიდნენ - მეთაური არსებობს იმისთვის, რომ მაგალითი მისცეს. მაგალითი ბრძოლაში, მშვიდობის დროს და ა.შ...

**- თქვენ აზრი გაწყვიტეთ, რა არის რეინჯერის მერე?**

- რეინჯერის მომზადება არის სპეცმომზადება, სადაც გიჩვენებენ, სად არის ჯარისკაცის შესაძლებლობების ნიშა. ძალით არავინ გაჩერებს, თუ ვერ გაძელი, შეგიძლია მეორე დღესვე წახვიდე. შემდეგ მოდის ასმეთაურის მომზადება, რაც 8 თვე გრძელდება და სადაც გვასწავლიდნენ (ჯორჯიაში, ფორტბენინგში) ყველა იმ კომპონენტს, რითიც კარგი ასმეთაური გახდები. 1999 წელს წავედი სპეცდანიშნულების კურსზე, სადაც უკვე პროფესიას იღებ (ფორტბრაგში, ჩრდილოეთ კაროლინა). აქ ურთიერთობა მქონდა მწვანე ბერეტებთან, იმათთან, ვინც ახლა ჩვენს ბატალიონებს წვრთნის. ფანტასტიური კურსია. პირდაპირ ემზადები ომისთვის.

**- კონკრეტულად?**

- მტერთან მუშაობა, საბოტაჟი, დივერსია, სამხედრო კონტიგენტთან მუშაობა. ჩვენ ჯერ ამ სტანდარტებთან კარგა ხანს ვერ მივალთ. მაგრამ, შენი, როგორც სამხედროს დიაპაზონი, უფრო გაიზრდება. იცით, რა არის ჩვენი სენი? ჯარისკაცი უცბად პოლკოვნიკი გახდა. მან არ იცის, რა ხდება ქვევით რანგში. ეს მას არ გაუვლია. ყველას გენშტაბში და უმაღლეს აკადემიებში ყოფნა უნდა, რადგანაც გავლენის მოპოვება უფრო ადვილია. მერე, როცა ბრუნდები, პირდაპირ მაღალი თანამდებობის დაკავების ამბიცია გაქვს. ვაკუუმი კი მის განათლებაში, რეალურად - არსებობს. ის აზრზე არ არის, რამდენ კილომეტრს და რა დროში გადის ჯარისკაცი. სად და როგორ უნდა შეუტიოს ოცეულმა, რა უნდა გააკეთოს ათეულმა... რა თქმა უნდა, საქართველოში ცდილობენ, სამხედრო აკადემიაში რაღაც გააკეთონ, მაგრამ ჯერ-ჯერობით, გაურკვეველ დონეზეა ეს ყველაფერი.

2001 წელს ჩავაბარე გენერალური შტაბის აკადემიაში, სადაც ამერიკელი ოფიცრები სწავლობდნენ, ეს იყო ფორტ ლევენვორზში. ეს აშშ-ში ერთ-ერთი უძველესია, დაარსდა 1835 წელს. ჩვენთვის კი არაფერია, მაგრამ ამერიკელთათვის მთელი ისტორიაა.

**- რა ხდება შიგნით, ჯარში. როგორი ურთიერთობებია ჯარისკაცსა და ჯარისკაცს, ჯარისკაცსა და ოფიცერს შორის?**

- "დედოვშჩინა", შეურაცხყოფა, სუსტის დაჩაგვრა იქ წარმოუდგენელია.

**- თქვენს ყაზარმაში ყვებოდით ხმამაღლა ამის შესახებ?**

- მქონდა ურთიერთობა მსოფლიოს უძლიერეს სამხედროებთან აშშ-ში. ეს საუკეთესოთა შორის საუკეთესონი იყვნენ, ამიტომაც მათ ამის შესახებ, რა თქმა უნდა, სიზმარივითაც ვერ ვუამბობდი. ჩემთვის, გულში ვდარდობდი.

**- როგორ მიაღწია ამერიკულმა ჯარმა უმაღლეს დონეს, მხოლოდ ფინანსებით?**

- ფინანსებითა და მიდგომით. 1975 წლიდან, როცა აშშ-მ ვიეტნამში მარცხი განიცადა, ამერიკამ გაიგო, რომ 18 წლის ბავშვი ჯარისკაცად არ ვარგა. როცა 18 წლის ბიჭი 2 წლით მსახურობს ჯარში და იცის, რომ 24 თვის მერე სახლში წავა, მას ჯარი თავისი პროფესია არ ჰგონია. მაგრამ, როცა 5 წლით უდებ ხელშეკრულებას და ეუბნები, მე შენ გაძლევ უფასო განათლებას, ყველანაირ პირობებს, და შენგან, სამაგიეროდ, მთელ შენს პირად დროს ვითხოვ, - კონკურენცია იწყება. კიდევ იმით მიაღწია, რომ საინტერესო სამსახურია. თუ მსროლელი ხარ, სულ პოლიგონზე ვარჯიშობ და ისვრი. გაქვს აგრეთვე თავისუფალი დრო. ჩვენთან კი, ოფიცრები დღეში 24 საათი მუშაობენ უხელფასოდ, ჩაუცმელნი და დაფასების გარეშე. ეს ქმნის პრობლემებს. ყველაზე დიდი პრობლემა ჩვენში, ამერიკელებისგან განსხვავებით, არის ის, რომ ჯარში იდეოლოგია არ არის.

**- თუ გაგვაჩნია საქართველოს სამხედრო დოქტრინა და როგორია იგი?**

- სამხედრო დოქტრინა არ გვაქვს. ეს არ არის მარტო სამხედრო უწყების დოკუმენტი, ეს პოლიტიკური დოკუმენტია, რომელსაც სამხედრო ვერ და არც შექმნის. სამხედროს, უბრალოდ, ეკითხებიან, რისი გაკეთება შეუძლია და ამის საფუძველზე ქმნიან დოქტრინას. აშშ-ს, თავისი დოქტრინით, შეუძლია ერთდროულად დედამიწის ორ სხვადასხვა ადგილას აწარმოოს ომი (მაგალითად, ახლო აღმოსავლეთში და ჩინეთის საზღვართან, ან ჩრდილოეთ კორეაში). სამხედროები და პოლიტიკოსები, დოქტრინის საფუძველზე ამბობენ, რისი ძალა შესწევთ და რისი - არა.

ჩვენს პირობებში კი თავად უნდა განვსაზღვროთ ჩვენი სტრატეგიული მდგომარეობა. უნდა დავაზუსტოთ, ვინ არის ჩვენი მოწინააღმდეგე (ვსაუბრობ როგორც სამხედრო და არა პოლიტიკოსი). სიტყვაზე, თუ მოწინააღმდეგე რუსეთი და თურქეთია, მაშინ, სხვაგვარად უნდა შევქმნათ ჯარი. უნდა ვიცოდეთ, რომ რუსეთთან და თურქეთთან არასდროს გვექნება ფართომასშტაბიანი ომი. აგრეთვე, უნდა გამოვრიცხოთ ყველანაირი ომი აზერბაიჯანთან და სომხეთთან, რადგან, ნახევარი მილიონი სომეხი და ამდენივე აზერბაიჯანელი საქართველოს მოქალაქეა.

დღესდღეობით, ჩვენი ყველაზე დიდი პრობლემა მცირე, ლოკალური კონფლიქტებია - სამაჩაბლო, აფხაზეთი, პანკისის ხეობა... აი, ეს არის დესტაბილიზაცია, აი, ამისთვის უნდა იყოს მზად დღეს საქართველოს ჯარი. უნდა შეძლოს ანტიპარტიზანული ბრძოლები, უნდა აღკვეთოს მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლი. საქართველოში მიმდინარე წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა სწორედ ამ პრობლემების გადასაჭრელადაა მიზანმიმართული.

**- თუ არის საქართველოს სამხედრო დოქტრინის შექმნის მცდელობა?**

- არ ვიცი. ღმერთმა ქნას, რომ სამხედრო უწყებამ ეს არ დაწეროს. იქ არ არიან მომზადებული პროფესიონალები და არც ის ხალხი, ვისაც ამის ინტელექტი გააჩნიათ.

**- ნატო-ს ერთ-ერთი მოთხოვნაა ის, რომ სამხედრო უწყების ხელმძღვანელი იყოს სამოქალაქო პირი...**

- ასეთი სამოქალაქო პირი სამხრეებში, აუცილებელია. და ჩვენ დღეს იგი გვყავს. მაგრამ სულაც არ არის საჭირო, რომ ის პოლიტიკოსი იყოს. სამხედრო ყოველგვარი პოლიტიკის მიღმა უნდა იყოს. სამხედროს არ უნდა აღელვებდეს, ვინ არის მისი მინისტრი დღეს და ვინ - ხვალ. მან იცის თავისი 5, 10 წლის განვითარების გზა და ამ გზას ადგას. მაგრამ ჩვენ ესეც არ გვაქვს, ჩვენ ჯერ არ ვიცით, რა ტიპის ჯარი უნდა გვყავდეს 2004 წელს, - რამდენი ასეული, რამდენი ოცეული...

**- უკვე 10 წელია, დამოუკიდებლები ვართ. ეს არ არის საკმარისი დრო იმისთვის, რომ ნამდვილი ჯარის ჩანასახი გაჩნდეს?**

- გააჩნია, ვის ვადარებთ თავს. თუ ტაჯიკეთს, წინ ვართ. თუ ბალტიისპირეთსა და უზბეკეთს - უკან. თუმცა, სამხედრო თვალსაზრისით, ჩვენ ნულიდან დავიწყეთ და რაღაც მაინც გაკეთდა.

მაგრამ დღეს ჯარისკაცი გაჩანაგებულია. ვერ გამიგია, რატომაა საჭირო ქაღალდზე უზარმაზარი რაოდენობის ჯარის ყოლა. უნდა ვიცოდეთ, ვინ არის ჩვენი მოწინააღმდეგე და რა რაოდენობის ჯარი გვჭირდება. ჩვენი რაოდენობის გენერალი 2 ან 3 გაერთიანებულ ქვეყანას ეყოფა. ამის გამართლება მხოლოდ ჩვენი მენტალობით არ შეიძლება. ჯარი არ იქმნება გენერლებით. ჯარი ჯარისკაცით იწყება. ყველა წუწუნებს, რომ ფული არ არის. ფული არის, მაგრამ არ არის სწორი მენეჯმენტი. ამ ფულით ჩვენ შეგვიძლია გვყავდეს პატარა, მოვლილი, დავარცხნილი, ქმედითუნარიანი არმია.

**- როგორ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ჯარისკაცმა თავი არ დაიხსნას ჯარიდან და მისთვის სამხედრო სამსახური საპატიო იყოს?**

- არ უნდა მოვატყუოთ ჯარისკაცი. სამხედრო ბიუჯეტში უნდა ჩავეტიოთ. უნდა ვიცოდეთ, რამდენი გენერალი გვჭირდება. საქართველოს, ჯერ-ჯერობით, 3 გენერალზე მეტი არ სჭირდება. ოფიცერთა რაოდენობა უნდა განვსაზღვროთ. პირამიდა უნდა შეიქმნას: ცოტა - ზემოთ, ბევრი - ქვემოთ. ბევრი ქვეყნის ჯარი მინახავს და პირდაპირ ვიტყვი, ჩვენ შესანიშნავი ჯარისკაცი გვყავს. ძალიან ბრძოლისუნარიანი, მაგრამ, არ უნდა მოვატყუოთ იგი. თავდაცვის სამინისტრო ოქროს გალიაში ცხოვრობს და არ უყურებს, რა ხდება მის გარშემო.

**- თქვენ საუბრობთ იმაზე, რაც იცით და გინდათ იხილოთ ქართულ ჯარში. ამის საშუალება კოჯრის ბატალიონში გქონდათ. რა შედეგები გამოიღო თქვენმა მეთოდებმა?**

- მივაღწიეთ ერთ რამეს, - ძალზე ბევრი, დასავლეთიდან დაბრუნებული ახალგაზრდა ოფიცერი იყო ჩვენს გვერდით. მათ იცოდნენ, რომ ეს ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი ნაწილი იყო, სადაც მათზე იყო ყველაფერი დამოკიდებული. ჩვენ ვიყავით შეპყრობილნი იდეით, რომ ვემსახურებით საქართველოს და რაც კარგი ვნახეთ გერმანიაში, თურქეთში, აშშ-ში, საფრანგეთში, აქ უნდა დავგეგმოთ. ბევრი რამ არ გამოგვდიოდა, რა თქმა უნდა.

**- ახლა თუ აქვთ კონტაქტი თავის ყოფილ მეთაურთან?**

- არა. თევზაძის სიტყვიერი განცხადებით, ჩემთან კონტაქტი ყველას აეკრძალა. ეს სუსტი, მშიშარა ადამიანის განცხადებაა და არ მინდა, პრობლემები შევუქმნა პირად შემადგენლობას.

**- ჩამოთვალეთ პუნქტები, რა უნდა შეიძინოს (მხოლოდ ფინანსებს არ ვგულისხმობ) საქართველოს ჯარმა ნატო-ში შესასვლელად.**

- დისციპლინა. მის დამყარებას ჯარში მხოლოდ 24 საათი სჭირდება. მეორე - პროფესიონალიზმი და მესამე - ჯარისკაცს თავისი მეთაურის უნდა სჯეროდეს. ჯარში დღეს ნებისმიერ დონეზე ხდება კრიმინალიზაცია.

ნატო-ში გაერთიანება ქართული ჯარისთვის ბრწყინვალე წინსვლაა. ოფიცერიცა და ჯარისკაციც ნახავენ, რა არის ნამდვილი ჯარი იმის მიუხედავად, რომ ხელმძღვანელობაში დღეს შვეიკის შთამომავალნი არიან. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს ზრდის ტკივილია. ჩვენ დავიწყეთ კაკუნი კარზე, რომელსაც ტაძართან მივყავართ.

**- როგორია ქართულ ჯარში იმ ოფიცრების მომზადება, ვისაც უშუალოდ ჯარისკაცთან აქვს შეხება?**

- ბაზა გაერთიანებული სამხედრო აკადემიაა, სადაც 4 წელიწადში ერთხელ უშვებენ ახალგაზრდა ბიჭებს, რომელთაც უზარმაზარი სურვილი აქვთ, იმსახურონ. შეიძლება, რა თქმა უნდა, მათი დახვეწა. ისინი დიდი შემართებით იწყებენ და მათი დეგრადაცია ხდება, როცა დაეჯახებიან კორუფციას, კლანებს და როცა გამოუვალ მდგომარეობაში არიან.

**- რას წარმოადგენს შიგნიდან ნატო, სტრუქტურები და ადმინისტრირება.**

- ეს არის შტაბ-ბინა, სადაც სამხედროები არ სხედან, იქ პოლიტიკოსები არიან. ეს პოლიტიკური ორგანიზაციაა. მერე მოდის სამხედრო. ამ ორი, სამი წლის განმავლობაში ამერიკელები ცდილობენ, პასუხისმგებლობის გარკვეული ნაწილი ევროპელებს გადაულოცონ. ყველგან, ყველა ტერიტორიაზე ამერიკელები დგანან. და ყველგან პირველები არიან.

**- ნატო-ს მოთხოვნა ისიცაა, რომ ჯარი საგრძნობლად შემცირდეს.**

- ბოლო ხანს, 19 000-იანი ჯარი გვყავდა. საუბარია მის 8 ათასამდე შემცირებაზე. თუ ეს ასე იქნება, 3 გენერალზე მეტი არ უნდა იყოს.

**- რა სტატუსი უნდა ჰქონდეს ნატო-ს წევრ ქვეყანას?**

- პოლიტიკური სტატუსი იმდენად არა, რამდენადაც, არ უნდა ჰქონდეს პრობლემები მეზობელ ქვეყანასთან; ეთნოკონფლიქტზე ხომ საუბარიც არ შეიძლება და ჯარი უნდა იყოს იმ სტანდარტებზე, რაც სხვა ქვეყნებშია.

**- გაწევრიანების განაცხადის მერე როგორი პროცედურაა?**

- განაცხადი, ეს არის ნატო-ში შესვლის სურვილი. მათ იციან ჩვენი სასტარტო შესაძლებლობები და შემდეგ პირობად სპეციალურად საქართველოსთვის დაწერილ პროგრამასა და მოთხოვნებს გვაძლევენ. ეს პროგრამა უკვე არსებობს. შეგვიძლია 10 წელიწადში და შეგვიძლია 5 წელიწადში გავხდეთ წევრი ქვეყანა. ეს ჩვენზე იქნება დამოკიდებული. ზოგი საკითხი იოლი იქნება, ზოგი - რთული

**- მაინც, რა იქნება ყველაზე რთული?**

- სამხედრო სალმის მიცემა. ეს ქართველებს ძალიან უჭირთ.

**- დღეს უკვე ყველა - აშშ, ევროპის წამყვანი სახელმწიფოები - საუბრობენ იმ საშიშროებაზე, რაც ევროპას ახლო აღმოსავლეთიდან ემუქრება. იქნება თუ არა ნატო კავკასიაში უსაფრთხოების გარანტი და რა როლი მიენიჭება საქართველოს?**

- მარტო ახლო აღმოსავლეთიდან არ მოდის საფრთხე. როცა 11 სექტემბერი მოხდა, მსოფლიომ გაიგო, რომ მტერი არ არის მხოლოდ რომელიმე კონკრეტული სახელმწიფო. ტრაგედია იგეგმებოდა ჰამბურგში, ტერორისტები 3-4 ქვეყნის წარმომადგენლები არიან... სექტემბრის შემდეგ ამიერკავკასიის როლი გაიზარდა. სამხრეთ კავკასია ნატო-სთვის ერთ-ერთი პრიორიტეტია. მერე მოდის ახლო აღმოსავლეთი. ამ ე.წ. "სიბოროტის ღერძში" შედის ერაყი, ირანი და ჩრდილოეთ კორეა. ნატო-ს საქართველოს სამხედრო პოტენციალი არ აინტერესებს, რადგან ჩვენ ის ნულზე გვაქვს. ჩვენ მხოლოდ სამშვიდობო მისიის შესრულება შეგვიძლია. საქართველო არის გასაღები ამ რეგიონისთვის. სომხეთი, აზერბაიჯანი, შუა აზია - ეს აინტერესებს აშშ-ს. ჩვენ ვართ, "antry country". ამიტომაცაა სწორედ დიდი ინტერესი. საქართველოში ინფრასტრუქტურა ნორმალურია. განვითარებულ ქვეყნებს ამ სივრცის გამოყენება სჭირდებათ და ამას ხელიდან არ გაუშვებენ. ჩვენ ეს უნდა გამოვიყენოთ.

**- რა იქნება ჩვენი როლი?**

- მეორე მსოფლიო ომის დროს, მაშინ როცა სსრკ ზენიტში იყო, საბერძნეთმა და თურქეთმა ამერიკული დახმარება გამოიყენეს და არამარტო სამხედრო, არამედ საზოგადოებაცა და ეკონომიკაც განავითარეს. მაგრამ აქ არ უნდა მოხდეს დისონანსი საზოგადოებასა და ჯარს შორის. ჩვენზეა დამოკიდებული, როგორ გზას ავირჩევთ. ამიტომაც, ოთხი ბატალიონის შექმნა მხოლოდ პირველი ნაბიჯია. მხოლოდ ჩვენთან და ავღანეთში დაიწყეს ამერიკელებმა ბატალიონების ნულიდან შექმნა. ისინი არ ენდობიან ძველებს. სხვა ქვეყნებში უკვე არსებულთ ასწავლიან. ეს მოხდა ავღანეთში, სადაც ფაქტობრივად, არ არსებობს სახელმწიფო და ჩვენთან, საქართველოში. თავდაცვის მინისტრი ხმამაღლა აცხადებს, ვიცი, რომ კომისარიატები კორუმპირებულები არიან, მაგრამ ვერაფერს ვაკეთებ, რომ ისინი არ იყვნენ კორუმპირებულნიო.

დღეს ბრძოლა წავა არა ფორმირებების წინააღმდეგ, არამედ - პიროვნებების წინააღმედეგ(ბინ ლადენი ამერიკისთვის, როგორც მასხადოვი რუსეთისთვის). მომავალში საქართველოს აქვს შანსი, რომ უარი თქვას ძველ, საბჭოთა მძიმე მოდელზე და განავითაროს მსუბუქი, ქვეითი სპეცდანიშნულების რაზმები, რომლებიც სწრაფად მოუვლიან პრობლემას.

ჩვენ რომ აფხაზეთში რომელიმე სოფელი დავბომბოთ და მშვიდობიანი მოსახლეობა ვიმსხვერპლოთ, ნატო-ს ავიაცია ამისთვის დაგვბომბავს. ჩვენ და ამერიკა არ ვართ თანაბარ პირობებში. ამერიკამ შეიძლება დაბომბოს სოფელი და იმსხვერპლოს მშვიდობიანი მოსახლეობა. ის მერე თავადვე აღადგენს ყველაფერს (ადამიანებს, რა თქმა უნდა, ვერა).

**- თუ გაქვთ ინფორმაცია, როგორ შეცვალა ამერიკამ მიდგომები 11 სექტემბრის შემდეგ?**

- უკვე 12 სექტემბრის დილიდან დაიწყეს ამერიკაში პროგრამების შეცვლა და ხარვეზების გამოსწორება. 2-3 თვეში კი ეს ცვლილებები ჯარებში ინერგებოდა. ჯარის სტრატეგიას მაიორი და ვიცეპოლკოვნიკი ან, შეიძლება, პოლკოვნიკი წერს. ეს არის გარკვეული რგოლი, რომელმაც ზუსტად იცის, რა შეუძლია ჯარისკაცს კრიტიკულ მომენტში. მან იცის, რა უნდა გაკეთდეს ჯარისკაცის გადასარჩენად.

**- რამდენად არის მომწიფებული საერთაშორისო აზრი საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებისთვის?**

- მსოფლიო შეიცვალა. რუსეთი უკვე აღარ წარმოადგენს საფრთხეს. საფრთხეა ის, რომ არ დაიკარგოს ერთ დღეში 3000 ადამიანი. ნატო-ში საქართველოს შესვლით ნატო-ც მოიგებს. ჩვენ, მართალია, არ გაგვაჩნია სამხედრო პოტენციალი - შეგვიძლია მხოლოდ ოცეულის ან ათეულის შექმნა - მაგრამ ჩვენ ახლო აღმოსავლეთისა და შუა აზიის გასაღები ვართ. ჩვენზეა დამოკიდებული, გამოვიყენებთ თუ არა ამას. თუ ნორმალური ხელმძღვანელობა გვეყოლება, თუ ის თითოეული ჯარისკაცის გულამდე მივა, მაშინ ჯარისკაცი ყველაფერს შეძლებს. ქართველ ჯარისკაცი ამტანია.

**- როგორ აისახება ქვეყნისა და ცხოვრების დონეზე ნატო-ში გაწევრიანება?**

- სამხედრო ბაზებს ყველა ნატრულობს. რადგანაც ისინი ადგილობრივ მოსახლეობას ასაქმებენ, ამუშავებენ სოფლის მეურნეობასა თუ საწარმოებს. საქართველო პრესტიჟს თანხების სწორი მენეჯმენტით შეინარჩუნებს, ნატო უფრო ზუსტად დაინახავს იმ პრობლემებს, რაც საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ხდება. უფრო ზუსტ რეკომენდაციებს მოგვცემს.

**- თქვენ ახლა აღარ ხართ შეიარაღებულ ძალებში. უთქვენოდ რომ გაწევრიანდეს საქართველო ნატო-ში?**

- ეს იქნება ჩემი პირადი საქმე.

ჩვენი პოტენციალი დიდია და უნდა გამოვიყენოთ. კოსოვოში თურქეთს დისციპლინაში ვაჯობეთ. ნატო-ს წვრთნებზე და ყველგან ჩვენ მხოლოდ კარგები ვიყავით.



ნიკა ჭანჭღავა



მძიმე, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი რეჟისორი და პედაგოგი, საქართველოს სახალხო არტისტი, პროფესორი, საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის პირველი მდივანი, მერაბ კოსტავას სახელობის თბილისის მუნიციპალური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი **ანზორ ქუთათელაძე**.

ანზორ ქუთათელაძე წლების განმავლობაში მოღვაწეობდა მარჯანიშვილის, რუსთავისა და სოხუმის თეატრებში. მისი მრავალი დადგმა ("ბაფთიანი გოგონა", "უსახელო ვარსკვლავი", "რევიზორი", "თოლია", "ელექტრა", "ოთარაანთ ქვრივი", "სისხლიანი ქორწილი"...) მაყურებლის დიდი სიყვარულით სარგებლობდა.

მისი წარმოდგენები სადებიუტო იყო სოფიკო ჭიაურელისთვის, გოვენ ჭეიშვილისთვის, რეზო ჩხიკვიშვილისა და სხვა ცნობილი მსახიობებისთვის.

იგი ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობით თეატრის მომავალზეც ზრუნავდა. ახალგაზრდა მსახიობები – ნინო კასრაძე, ნატო მურვანიძე, ზაზა პაპუაშვილი, დიმიტრი ტატიშვილი, გურამ ჯაში და სხვები მისი მოსწავლეები არიან.

ბოლო ორი სეზონია, ანზორ ქუთათელაძე სათავეში ჩაუდგა მერაბ კოსტავას სახელობის თეატრს. ამ თეატრის აღორძინება და თეატრალურ სივრცეში მისი ჩართვა მთლიანად ბატონი ანზორის დამსახურებაა.

თეატრთან და თეატრალურ ინსტიტუტთან დაკავშირებული უამრავი ოცნება და ჩანაფიქრი ანზორ ქუთათელაძეს განუხორციელებელი დარჩა.

ეს არაჩვეულებრივი პიროვნული ხიბლისა და მაღალი ზნეობის ადამიანი, გამორჩეული შემოქმედი და მეგობარი ძალიან დააკლდებათ მის მეგობრებს, სტუდენტებსა და კოლეგებს.

# გალაკტიონის ახდენილი ოცნება

თამარ სუხიშვილი

*"ვაშა მას, ვისაც ცოდნისთვის*
*ძალა არ დაუზოგია,*
*გაბრწყინდეს მეცნიერება*
*გალაკტიონოლოგია"*

***გალაკტიონ ტაბიძე***

"გალაკტიონს ორი ოცნება ჰქონდა: ერთი ის, რომ შექმნილიყო ქართული ლიტერატურათმცოდნეობის სპეციალური დარგი, რომელიც მის შემოქმედებას შეისწავლიდა; მეორე კი ის, რომ გამოცემულიყო საგანგებო ჟურნალი; ამ ჟურნალისთვის პოეტმა სახელწოდებაც მოიფიქრა – "გალაკტიონოლოგია". ასე რომ, გალაკტიონის კვლევის ცენტრის დაარსება და გალაკტიონის კრებულის გამოცემა, ფაქტობრივად, პოეტის დიდი ოცნების ასრულებაა," – ამბობს ლიტერატორი თეიმურაზ დოიაშვილი, გალაკტიონოლოგიის კრებულის პირველი ტომის რედაქტორი.

უკვე ერთი წელია, რაც შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში გალაკტიონის კვლევის ცენტრი დაარსდა. ამ ცენტრში ლიტერატურათმცოდნეობის ახალ დარგს – გალაკტიონოლოგიას ჩაეყარა საფუძველი. ამ ერთი წლის განმავლობაში გალაკტიონის კვლევის ცენტრმა აქტიურად იმუშავა და უკვე დანაპირებიც შეუსრულა ქართველ მკითხველს, დიდი პოეტის თაყვანისმცემლებს - გამოიცა პირველი კრებული "გალაკტიონოლოგია".

გუშინ, პოეტის დაბადების დღის მესამე დღეს, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დარბაზში ცენტრის მეორე სამეცნიერო სესია (პირველი სესია შარშან ჩატარდა) და ახალი კრებულის პრეზენტაცია გაიმართა.

"ლიტერატურის ინსტიტუტმა შეძლო იმის გაკეთება, რაც უნდა გაეკეთებინა, მუშაობის გამრავალფეროვნება და ახალ დარგებთან შეჭიდება," – განაცხადა თავის სიტყვაში ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორმა, ბატონმა გურამ ბენაშვილმა, და იქვე ახალი გამოცემაც შეაფასა: "ნამდვილად არ მეუხერხულება ამ სიტყვების თქმა, ეს თანამედროვე მეცნიერულ დონეზე შექმნილი ბრწყინვალე წიგნიაო".

გარდა იმისა, რომ ახალი კრებული გალაკტიონის პოეზიით დაინტერესებულ მკითხველს ძალიან გაახარებს, ის ქართველ ლიტერატურათმცოდნეებს შემდგომ მუშაობაში დაეხმარება. ეს წიგნი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა წარმართოს კვლევითი მუშაობა ლიტერატურის სპეციალისტმა, - აღინიშნა გამოსვლებში და ისიც ითქვა, რომ კრებულის წაკითხვით მკითხველს წინ დიდი სიამოვნება ელის.

"გალაკტიონოლოგია" შინაარსობრივადაც და მხატვრული გაფორმებითაც მრავალფეროვანი კრებულია. მასში 16 რუბრიკაა წარმოდგენილი: "არქივიდან", "ინტერპრეტაცია", "გალაკტიონის შემდეგ", "პოეტიკა", "გალაკტიონი – პერსონაჟი", "ტექსტოლოგია", "მოგონებათა თოვის" და ა.შ. მხატვარია თენგიზ მირზაშვილი, წიგნი გაფორმებულია გალაკტიონის ნახატებით, ახლავს ფოტომასალაც.



*გალაკტიონ ტაბიძის ჩანაწერებიდან*

ეს კრებული ყოველწლიური იქნება, გალაკტიონის კვლევის ცენტრის მორიგი სესია ერთი წლის შემდეგ, გალაკტიონის დაბადების დღეს – 17 ნოემბერს გაიმართება, ამ დროისათვის ცენტრი კრებულის მეორე ტომსაც მოამზადებს.

წიგნის პრეზენტაციას სამეცნიერო სესია მოჰყვა. მოხსენებები წაიკითხეს თეიმურაზ დოიაშვილმა, ზურაბ კიკნაძემ, ზაზა შათირიშვილმა და სხვებმა. დარბაზში უამრავი ადამიანი იყო შეკრებილი. გარეთ ნოემბრისთვის უჩვეულოდ ცხელოდა, მაგრამ მსმენელს მაინც "იისფერ თოვლის... ხიდიდან ფენა" ახსენდებოდა – კედლიდან წამდაუწუმ ცვიოდა გალაკტიონის ნახატები...

# საქართველოს კომპოზიტორთა საერთო-ეროვნული შემოქმედებითი კავშირის განცხადება

ა.წ. 15 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნდა ხელმოუწერელი, ჩვენთვის გაუგებარი წარმომავლობის განცხადება 30 ნოემბერს კომპოზიტორთა კავშირის ყრილობის ჩატარების შესახებ.

განცხადება გაკეთებულია სამოქალაქო კოდექსის "შემოქმედ მუშაკთა და შემოქმედებითი კავშირების კანონის" სპეციალური ნორმებისა და მათ საფუძველზე მიღებულ საქართველოს კომპოზიტორთა საერთო-ეროვნული შემოქმედებითი კავშირის წესდების მოთხოვნების იგნორირებითა და უხეში დარღვევებით.

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობას ყრილობა არ დაუნიშნავს. შემდგომში კი იგი იმოქმედებს კანონიერების ფარგლებში.

აქედან გამომდინარე, გაზეთ "24 საათის" ა.წ. 15 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებული განცხადება, ყრილობის გამართვის შესახებ, არ შეესაბამება სიმართლეს და ბათილად უნდა ჩაითვალოს.

*საქართველოს კომპოზიტორთა საერთო-ეროვნული შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე*
**ვაჟა აზარაშვილი**

# მუზეუმი თუ საელჩო?!

## თეატრის, კინოსა და მუსიკის მუზეუმი შესაძლოა დაიხუროს

ნანა ბასილაშვილი

თეატრის, კინოსა და მუსიკის სახელმწიფო მუზეუმის არსებობის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. მუზეუმის დირექტორმა, სრულიად შემთხვევით შეიტყო, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრო მუზეუმის დახურვას და მის ადგილას საელჩოს გახსნას აპირებს. "როდესაც ეს ამბავი შევიტყვეთ, ამ ფაქტის შესახებ ინტელიგენციის წარმომადგენლებს ვამცნეთ. შევაგროვეთ საკმაოდ მრავალრიცხოვანი ხელმოწერები და საგარეო საქმეთა სამინისტროში გავგზავნეთ განცხადება იმის შესახებ, რომ შენობას დავცლით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი სანაცვლოდ ქალაქის ცენტრში იგივე ფართის ტერიტორიით დაგვაკმაყოფილებდნენ", - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას მუზეუმის დირექტორმა ალექსანდრე შალუტაშვილმა. მისივე თქმით, აღნიშნულ განცხადებას ჯერ არანაირი გამოხმაურება არ მოჰყოლია და მუზეუმი განაგრძობს არსებობას. თუმცა შენობა მიწისძვრის შედეგად სერიოზულადაა დაზიანებული. მუზეუმის დირექტორის თქმით, ამის გამო მუდმივი ექსპოზიციების მოწყობა შეუძლებელია. ცოტა ხნის წინათ კულტურულ ძეგლთა გადარჩენის ფონდმა მუზეუმს შენობის გასამაგრებლად მცირედი თანხა გადასცა, მაგრამ ეს თანხა საკმარისი არ აღმოჩნდა. მერიის სამმართველომ მუზეუმს საკუთარი ძალებით სპონსორის მოძიება შესთავაზა, თუმცა პრობლემა კვლავინდებურად მოუგვარებელია. ეს კი კიდევ ერთი მიზეზია იმისა, რომ თეატრის, კინოსა და მუსიკის მუზეუმი შესაძლოა დაიხუროს.

## კალენდარი

# 21 ნოემბერი



"როდესაც პატარა ვიყავი, თავს ცოტა ბებიასავით ვგრძნობდი, ჩემი შვილიც ორმოცი წლის მამაკაცად დაიბადა, და ეს ყველაფერი ძალიან კარგია, განსაკუთრებით მუსიკასთან მიმართებაში, რადგანაც როდესაც ამ საქმეს აკეთებ, ასაკს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს", - ამბობს ყველაზე პოპულარული ისლანდიელი მუსიკოსი ქალბატონი.

ბიორკის, თანამედროვე მუსიკის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო შემსრულებლისადმი საზოგადოების დამოკიდებულება შეიძლება ითქვას, რომ ძირითადად ორგვარია: მკვეთრად დადებითი და მკვეთრად უარყოფითი. ამ ქალბატონის გაუთავებელი ექსპერიმენტები ჟღერადობაში აღიზიანებთ და უყვართ; მოსწონთ და გულს ურევთ ბიორკის ვიდეოკლიპები, რომელთაც მუსიკოსი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, ბიორკი რჩება თანამედროვე მუსიკის ერთ-ერთ გავლენიან ფიგურად.

1965 წლის 21 ნოემბერს რეიკიავიკის ჩვეულებრივ ოჯახში დაიბადა ბიორკ გუდმუნდსდოუტირი. ბიორკი მუსიკით ადრეული ბავშვობიდანაა გატაცებული. 12 წლიდან სიმღერების თანაავტორია. ხუთი წლის ბიორკი შეიყვანეს რეიკიავიკის საბავშვო მუსიკალურ სკოლაში, ვოკალური განხრით. ათი წლის განმავლობაში ვოკალის პარალელურად ეუფლებოდა ფლეიტასა და ფორტეპიანოს. სხვადასხვა დროს იყო მომღერალი, სიმღერების ავტორი, ბექ-ვოკალისტი, უკრავდა ქიბორდზეც და დასარტყამ ინსტრუმენტებზეც... იცვლიდა მუსიკალურ სტილებს; გამოცემული აქვს პოემების კრებული, მაგრამ ბიორკის თაყვანისმცემლებისთვის ყველაზე საამაყო მაინც მისი ექსპერიმენტი მხატვრულ კინოში – ლარს ფონ-ტრიერის "სიბნელეში მოცეკვავე" იყო. ასაკისა და ოჯახური მდგომარეობის (ჰყავს ვაჟიშვილი სინდრი ელდონ ტოურსონი) მიუხედავად, ბიორკი აგრძელებს შემოქმედებით ექსპერიმენტებს. დღეს **ბიორკი** 37 წლის გახდა.

# მცირე ხელოვნების ნიმუშები შარდენის ქუჩაზე

ნინო ჭანიშვილი

შარდენის ქუჩაზე ამჟამად სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობს, რომელსაც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი ახორციელებს. ამ ვიწრო, ძველ ქუჩაზე ორი გალერეა მდებარეობს - "შარდენი" და "ორიენტი". ამავე ქუჩაზეა გობელენის მუზეუმი, სადაც საკუთარი სკოლა-სახელოსნო აქვს გივი ყანდარელს. ქუჩის ბოლოს აშენდა ახალი შენობა ბიზნეს-ცენტრისთვის, რომელსაც ამ ქუჩის საერთო არქიტექტურულ იერში დისონანსი არ შეაქვს.

წელიწადზე მეტია, რაც ამ მყუდრო ქუჩას კიდევ ერთი, მინანქრის სახელოსნოც შეემატა. სახელოსნო "თანამედროვე ქართული ხელოვნების განვითარების და პოპულარიზაციის ცენტრმა" გახსნა. ცენტრის დამფუძნებლები არიან ხელოვნებათმცოდნეები: ხათუნა ჩხეიძე, მაია ნოზაძე და ია დვალი. მათივე დაარსებულია გალერეა "შარდენი", რომლის მთავარი მიზანია დეკორატიულ - გამოყენებითი ხელოვნების წარმოჩენა და პოპულარიზაცია. "თანამედროვე ქართული მინანქრის პირველი გამოფენა 1998 წელს TMS-ში მოვაწყეთ. ამის შემდეგ დავაარსეთ მინანქრის კლუბი, სადაც 13 ავტორია გაწევრიანებული, ისინი მინანქრის საერთაშორისო კონკურსებში იღებენ მონაწილეობას; ზაზა ლოდიამ და სოსო ალავიძემ წელს რიჩმონდის ხელოვნების ცენტრის საერთაშორისო კონკურსზე გაიმარჯვეს", – ამბობს ხათუნა ჩხეიძე.

მინანქრის სახელოსნოში ნებისმიერი პროფესიის ადამიანს შესაძლებლობა აქვს სამი პედაგოგის დახმარებით ორი თვის განმავლობაში დაეუფლოს მინანქრის ტექნოლოგიის საფუძვლებს. მაია ნოზაძე ამბობს, რომ ეს ხელობა საკმაოდ მომგებიანია, - "ყოფილა შემთხვევები, როცა კურსის დასრულების შემდეგ ერთი ნივთის გაყიდვით მთლიანად დაუფარავთ სწავლის საფასური".

ამჟამად სახელოსნოში მინანქრის დამზადების სამ ტექნოლოგიას ასწავლიან – ტიხრულს, ტვიფრულს და ვიტრაჟულს. ხათუნა ჩხეიძე ამბობს, რომ საერთაშორისო კონკურსის მოწყობას და ამერიკელი სპეციალისტების ჩამოყვანას აპირებს, რომლებიც ახალ, თანამედროვე, თბილისისთვის ჯერ უცნობ ტექნოლოგიებს შემოიტანენ. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი ტექნოლოგიაა ე.წ. fired enamel; მისი გამოყენებით, შესაძლებელია, ნივთების მდგრადობის გაუმჯობესება, გარდა ამისა - მინანქრისგან რიოშის ("ბისერი") დამზადება.



*სტუდიის ნამუშევრები*

სახელოსნოს საკუთარი მაღაზია აქვს, რომლის პატარა, დეკორატიულ ვიტრინებში იქვე დამზადებული ნივთები იყიდება. მაღაზიაში მინანქრის უკვე ცნობილი ავტორების ნამუშევრებთან ერთად კურსდამთავრებულთა ნაკეთობებიც იფინება და იყიდება. ნივთების ფასი 100 ლარიდან იწყება და 2-3 ათას დოლარამდე აღწევს. ნამუშევრის ფასს ავტორის ვინაობა, გამოყენებული მასალა (ოქრო, ვერცხლი, სპილენძი, ნახევრადძვირფასი თვლები) და შესრულების ხარისხი განსაზღვრავს. აქ, სხვადასხვა ფორმის მინანქრის დეკორატიული ნაკეთობების გარდა, უტილიტარული დანიშნულების ნივთებიცაა გამოფენილი, კერძოდ - მინანქრისგან დამზადებული სამკაული (გულსაკიდები, საყურეები, ბეჭდები).

რამდენიმე ათეული წლის წინ არსებობდა მითი იმის შესახებ, რომ ტიხრული მინანქრის ტექნოლოგია დაკარგულია. ამ მითს ტექნოლოგიური პრობლემები ქმნიდა. პირველ რიგში, ძნელი იყო ფერადი მასალის მოპოვება. ამჟამად ეს პრობლემა აღარ არსებობს. მინანქრის სახელოსნო ლიმოჟის ფერების მწარმოებელი ქარხნიდან ყიდულობს ფერად მასალას. ამიტომაც სახელოსნოში დამზადებული ნივთები დიდი ნაირფეროვნებით გამოირჩევა. რაც შეეხება თემატიკას, ამ მხრივ სახელოსნოში სრული თავისუფლებაა - ნაკლებად ამზადებენ შუა საუკუნეების ქართული თუ ბიზანტიური ტიხრული მინანქრის ასლებს, უფრო ახალი ფორმების და მხატვრული სახეების ძიებას აქცევენ ყურადღებას. სახელოსნოს მუდმივი კონტაქტი აქვს უცხოეთის მინანქრის გილდიებთან. "თანამედროვე ქართული ხელოვნების განვითარების და პოპულარიზაციის ცენტრს" დაგეგმილი აქვს წელიწადში ორჯერ მცირე ზომის კატალოგის გამოცემა, სადაც შევა უახლესი ინფორმაცია მინანქრის ხელოვნების შესახებ.

ასე რომ, იმედია, შარდენის ქუჩას - მისი სპეციალიზებული სახელოსნოებით და გალერეებით - ტურისტები და ხელოვნების მოყვარულები ხშირად მიაშურებენ.

# "ვცდილობ, ვიყო საინტერესო შემოქმედი"

## ჯემალ მონიავას კიდევ ერთი პრემიერა

ნანა ბასილაშვილი

"ისევ პრემიერის წინაშე ვდგავარ...ოღონდ ეს სხვა პრემიერაა - სხვა ჟანრის და თუკი ჩემს ძვირფას მაყურებელს, ჩემს მკითხველადაც მოვაქცევ, - აფერუმ...დიდი ხიფათისა და სიხარულის წინაშე ვდგავარ. ვნახოთ..."

გუშინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის, მარჯანიშვილის თეატრის მსახიობის, ჯემალ მონიავას ლიტერატურული საღამო და მისი პირველი წიგნის პრეზენტაცია გაიმართა. "ნათლობა" - ამ სახელით მონათლა მსახიობმა ერთ წიგნში თავმოყრილი მრავალი წლის შემოქმედება. "ნათლობა", კრებულში შეტანილ მოთხრობათაგან, მისი ერთ-ერთი საყვარელი ნაწარმოებია. ამ კრებულში მკითხველი გაეცნობა ჯემალ მონიავას მოთხრობებს, წერილებსა და ესეებს. ლიტერატურულ საღამოზე თავმოყრილ, საკმაოდ მრავალრიცხოვან საზოგადოებას ჯემალ მონიავამ გალაქტიონ ტაბიძის, რევაზ ინანიშვილის, გოგლა ლეონიძის, თამაზ ბიბილურის, ტარიელ ჭანტურიას, ნუგზარ შატაიძის შემოქმედებიდან სხვადასხვა ნაწარმოებები წაუკითხა. შიგადაშიგ მსახიობი მსმენელს თავის პირველი წიგნიდან წერილებს, მოთხრობებსა და ესეებს აცნობდა. არტისტისთვის დამახასიათებელი მხატვრულობით წაკითხული თითოეული ნაწარმოები მაყურებლის ოვაციებს იმსახურებდა.

"ჯემალ მონიავა ღვაწლმოსილი მსახიობია, თეატრი მისი ცხოვრებაა, მისი სულის სახლია – წაიკითხეთ მისი წერილები თეატრის შესახებ და ამაშიც უსათუოდ დამეთანხმებით. ეს წერილები, ეს მოთხრობები წლების განმავლობაში იქმნებოდა, ახლა ერთ წიგნად გვთავაზობს ავტორი. პირველი წიგნი, პირველი შვილისა არ იყოს, განსაკუთრებული სიხარულის მომნიჭებელია. იმედია, მეორეც მალე მოჰყვება", - აზრი გამოთქვა მწერალმა ნუგზარ შატაიძემ.

ჯემალ მონიავა 4 პიესის ავტორია. მწერლობაში მსახიობის სადებიუტო ნამუშევარი - "ივნისის წნელივით მოქნეულ გავაზე", 1967 წელს გაზეთ "ახალგაზრდა კომუნისტში" გამოქვეყნდა. იგი დროდადრო ბეჭდავდა ნოველებსა და წერილებს სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში. 1978 წელს ჟურნალ "ცისკარში" გამოქვეყნებული ჯემალ მონიავას მოთხრობები უიდეობის გამო გააკრიტიკეს. მას შემდეგ იგი მხოლოდ საკუთარი თავისთვის და მეგობრებისთვის წერდა. ექვსი წლის წინ მონიავამ კვლავ ინტენსიურად დაიწყო მოთხრობების ბეჭდვა გაზეთ "ლიტერატურულ საქართველოსა" და ჟურნალ "ხომლში". ახლა კი მრავალი წლის შემოქმედება ერთ წიგნად გამოსცა. "მთელი სიცოცხლე ბრწყინვალე ქართულ ლიტერატურას შეჩერებული, წიგნის გამოცემას რომ გაბედავ, ან გამოუვალ მდგომარეობაში უნდა იყო, ანდა - თავხედი. მაინც ვბედავ,"- ვკითხულობთ "ნათლობის" ავტორისეულ წინასიტყვაობაში.

ჯემალ მონიავა - მსახიობი თუ მწერალი? "მე ვარ შემოქმედი და შემოქმედებაში მწერლობას, კითხვას, მხატვრობას და ა.შ. ვერ გავმიჯნავ. ვცდილობ, ვიყო საინტერესო შემოქმედი".

თუკი მეგობრები მას კვლავინდებურად მხარში ამოუდგებიან (ისევე როგორც ამ შემთხვევაში), ჯემალ მონიავას შემდეგი წიგნისათვის უკვე საკმარისი და, მისივე თქმით, შეიძლება უკეთესი მასალა აქვს დაგროვილი.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

მისამართი:

საფოსტო ინდექსი:

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

ასაკი:

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

ოჯახური მდგომარეობა:

დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

შვილები: (თუ გყავთ)

განათლება:

საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

პროფესია:

სამუშაო ადგილი

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

# ჰუმანიზმი და ჰუმანისტები

*რაც შეეხება ჰუმანიზმსა და ჰუმანისტებს, მართლაც რომ გაუგებრობა სუფევს ჩვენში. მაგალითად, საშუალო სკოლის მეხუთე კლასის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში ასეთი რამ წერია: "ისტორიის ცოდნა შენში დანერგავს სიყვარულს საერთოდ ადამიანებისადმი და ეს იქნება კაცთმოყვარეობა, ანუ ჰუმანიზმი". სხვაგან კიდევ ჰუმანიზმად ერთი ჩვენი მეფის მიერ გლეხის ქალების მიმართ განსაკუთრებული მიდრეკილებაა შერაცხული, თანაც ნათქვამია, რომ ევროპაში სინამდვილისადმი ამგვარი დამოკიდებულება, ჰუმანიზმად წოდებული, გაცილებით გვიან წარმოიშვა და განვითარდა. მაინც რა დარდუბალაა ეს ჰუმანიზმი? ვინ არიან ეს ჰუმანისტები, რომელთა რიგებში ხან რუსთაველს მოიხსენიებენ, ხანაც სულხან-საბა ორბელიანს?*



*ფლორენცია – ჰუმანიზმის აკვანი. ბაზილიკა სანტა მარია დელ ფიორე*

## სრულიად შემთხვევითი შესავალი

საბავშვო თავსატეხთა ერთ წიგნში ასეთი ამოცანა ეწერა: "არქეოლოგებმა აღმოაჩინეს სარკოფაგი, რომელშიც მუმიასთან ერთად იდო ეტრატი, სადაც ეწერა, რომ სარკოფაგში დაკრძალული კაცი 980 წელს დაიბადა და 932 წელს გარდაიცვალა. შესაძლებელი იყო თუ არა ეს?". წიგნის ბოლოს ამოცანას პასუხიც ახლდა: "შესაძლებელია, რადგანაც ჩვენს წელთაღრიცხვამდე წლები უკუღმა ითვლებოდა". ჩვენ კი რას ვიტყვით? ჩვენ ვიტყვით, რომ ეს შეუძლებელია, რადგანაც ადამიანებმა არ იცოდნენ, რომ "ჩვენს წელთაღრიცხვამდე" ცხოვრობდნენ, რადგანაც ჯარისკაცმა, რომელიც მეოთხე წელი იბრძოდა, არ იცოდა, რომ შვიდწლიან ომში ღვრიდა სისხლს. და საერთოდ, ძალიან ცოტაა ეპოქები, რომელთა სახელი მათში მცხოვრებმა ადამიანებმაც იცოდნენ.

აი, მაგალითად, ტერმინი "შუა საუკუნეები" პირველად 1518 წელს გვხვდება ერთი ინგლისელი ჰუმანისტის, გვარად **უატის** ტრაქტატში. არ ვიცით, იყო თუ არა ეს ჭკვიანი კაცი **ჯეიმს უატის** წინაპარი, მაგრამ ვიცით, რომ ამგვარი განსაზღვრებით მას ლათინური ენის ისტორიის ერთ-ერთი პერიოდის დახასიათება სურდა. თავდაპირველად, შუა საუკუნეები ლათინური ენის დაცემის ხანას ეწოდებოდა, რომელიც ბარბაროსთა შემოსევის გამო მისი დაცემიდან ჰუმანისტების მიერ მის აღდგენამდე გრძელდებოდა.

როცა ამბობენ შუა საუკუნეების საქართველო, ნეტა რასა და რას შუაა ეს საუკუნეები? მაგრამ ეს სულ სხვა კითხვაა. ახლა ამისთვის არ გვცალია.

მთავარი სხვა რამეა: სწორედ ჰუმანისტებია ის ხალხი, რომელთა შემდეგ ადამიანები ცდილობენ სახელი დაარქვან არა მარტო გარდასულ ეპოქებს, არამედ იმ ხანასაც, რომელშიც ცხოვრობენ.

## ტერმინოლოგიური შესავალი

ანტიკურ ლათინურ ლიტერატურაში გამოთქმა studia humanitatis — "ადამიანურ საგანთა შესწავლა" გამოხატავდა ფილოსოფიურ და ლიტერატურულ განათლებას, რომელიც შეეხებოდა ადამიანსა და მისი ცხოვრების მთლიანობას. XIV-XV საუკუნეებში ტერმინი უკვე ახალ ლიტერატურულ და ფილოლოგიურ ინტერესებს შეეხება. უკვე დიდი იტალიელი პოეტი, **ფრანჩესკო პეტრარკა** ანტიკური ტექსტების აღმოჩენასა და გამოქვეყნებას ადამიანის შესახებ ახალი ცოდნის მოპოვებად განიცდის. XV საუკუნეში განვითარებული ახალი პედაგოგიკა პირველ პლანზე ამ "ადამიანურ საგანთა შესწავლას" აყენებს.

რაც შეეხება ტერმინს "ჰუმანისტი", იგი მხოლოდ XVI საუკუნიდან შემოდის ხმარებაში. მისი მნიშვნელობა ამ დროს ჯერ კიდევ ვიწროა: იგულისხმება მხოლოდ გარკვეულ ფილოლოგიურ დისციპლინათა მასწავლებლები — უპირველეს ყოვლისა, ბერძნულისა და ლათინურის. ამ მნიშვნელობით ტერმინი XVIII საუკუნებმდე გამოიყენებოდა. ტერმინი "ჰუმანიზმი" კიდევ უფრო ახალია: ის პირველად 1808 წელს გამოიყენა გერმანელმა პედაგოგმა, **ფრიდრიხ იმანუელ ნიტჰამერმა**, რათა უფრო ცხადად წარმოეჩინა კლასიკური ფილოლოგიის მნიშვნელობა უმაღლეს განათლებაში, რადგან საშიშ ტენდენციად ეჩვენებოდა სამეცნიერო დისციპლინათა მზარდი გავლენა. მხოლოდ XX საუკუნეში მოხდა ტერმინების, "ჰუმანისტი" და "ჰუმანიზმი" შესვლა ისტორიოგრაფიაში: ამ სიტყვებით ახლა უკვე XV საუკუნის იტალიური ცივილიზაცია აღინიშნებოდა. ტერმინოლოგიურმა სიახლემ ისტორიკოსთა რიგებში თავდაპირველად ერთგვარი ეიფორია გამოიწვია, რის გამოც ბევრი მათგანი "შუასაუკუნეობრივ" და "კაროლინგურ" ჰუმანიზმზეც ალაპარაკდა: ძირითადად ლათინური გრამატიკისა და რიტორიკის კვლევებს გულისხმობდნენ. მაგრამ ამ ტენდენციათა დაძლევის შემდეგ სერიოზულ სამეცნიერო წრეებში ერთხელ და სამუდამოდ დამკვიდრდა ტრადიცია, რომლის მიხედვითაც ტერმინები "ჰუმანიზმი" და "ჰუმანისტი" გამოიყენება XV-XVII საუკუნის ევროპაში გავრცელებული კლასიკური ფილოლოგიური კვლევების მიმართ.

ამ ტერმინების ფართო გაგებით გამოყენება, რომელიც ასე ხშირია ჩვენს დროს, არ გულისხმობს მათ ზუსტ მეცნიერულ მნიშვნელობას.

ერთი სიტყვით, ტერმინი "ჰუმანისტი" აღნიშნავს ყველა ადამიანს, რომელიც ზემოხსენებულ ისტორიულ ეპოქაში დაკავებული იყო ლიტერატურული მოღვაწეობით ლათინურ ენაზე და ხშირად ეყრდნობოდა ანტიკურ ავტორებს.

## მსოფლმხედველობა

ჰუმანისტთა მსოფლმხედველობა სრულიად ახალ მნიშვნელობასა და ღირებულებას ანიჭებს პიროვნებასა და საერო, ამასოფლიურ ცხოვრებას, მაგრამ პირველ პლანზე ლიტერატურულ განათლებასა და ფილოლოგიურ კვლევებს აყენებს. იტალიელი ჰუმანისტი **პიერ პაოლო ვერჯერიო** (1370-1444) პედაგოგიურ ტრაქტატში "ყრმათა წრფელი ზნეობისა და თავისუფალი აღზრდისათვის" ასე გამოხატავს ამ ახალი მსოფლმხედველობის საფუძვლებს: "ჩვენ, ახალმა ადამიანებმა, სულ მუდამ უნდა ვიკითხოთ ან ვწეროთ, რათა გავიცნოთ ძველთა საქმენი და ვესაუბროთ შთამომავლობას, თითქოსდა მათი თანამედროვენი ვიყოთ და ამგვარად გავითავისოთ ყველა ეპოქა, წარსული და მომავალი".

ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ ლიტერატურული განათლება, უპირველეს ყოვლისა, ისტორიულ განათლებად იყო მიჩნეული. ამ განათლებას უნდა დაემყარებინა კავშირი წარსულთან და მომავალთან. მაგრამ წარსულისა და მომავლის განცდა ჰუმანიზმის ეპოქაში, უმთავრესად, რიტორიკული იყო: ლათინურ ნიმუშებზე აწყობილ წერილობით მეტყველებაში გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს ფორმალური სრულყოფა, სიტყვაკაზმულობა, ტექსტის ესთეტიური ღირსების, ჰარმონიულობისა და შინაგანი წონასწორობის ძიება. ეს რიტორიკა ძალიან განსხვავდება შუასაუკუნეობრივისაგან: აქ სიტყვიერი სრულყოფილება მორალური ღირსების გამოვლინებად მიიჩნევა. ადამიანის არსი აღიქმება როგორც რაღაც გამჭვირვალე და ხილული: ესაა წონასწორობა და ჰარმონია მის გონებას, სიტყვებსა და ჟესტებს შორის. ადამიანის შეფასება უკვე შეიძლება "მშვენიერებისა" და "შესაფერისობის" ტერმინებში. თვით "სიქველეც" კი უკვე ისეთი რამეა, რისი გამოხატვა და გადაცემა სრულად შეიძლება. ამ უნარის მეშვეობით ადამიანი აკონტროლებს საკუთარ თავსა და გარემომცველ სამყაროს.

ამგვარ პირობებში გამოხატვის პრივილეგირებულ ფორმად პოეზია იქცა. პოეზია უფრო მაღლა დგება პრაქტიკულ დისციპლინებზე, მაგალითად, სამართალმცოდნეობაზე ან მედიცინაზე. მაგრამ პოეზიის მიზანი პირწმინდად რიტორიკულია: ლექსთაწყობა მხოლოდ სამშვენისია, "სიქველისა" და ძალაუფლების განდიდების იარაღია, დიდებისა და პატივის გამავრცელებელი წყაროა.

ღირებულებათა იერარქიის ამგვარი გადანაწილება სხვა დისციპლინებსაც შეეხო, კერძოდ, თეოლოგიასა და ფილოსოფიას. ჰუმანისტებმა უარყვეს წინა საუკუნეების სისტემატური აზროვნება, ზურგი შეაქციეს არისტოტელესა და არისტოტელიზმს. მათ უკვე ადამიანის, მისი სიტყვისა და ქცევის შესწავლა სურთ და აღარ აინტერესებთ სამყაროს აგებულება. ადამიანის სიქველის განდიდება ნიშნავს პიროვნების ინდივიდუალური, სოციალური და ამქვეყნიური გამოვლინებების დაკვირვებასა და შესწავლას. სიქველე უკვე აღარ მიიღწევა ჭვრეტითა და ასკეტიზმით. აქედანაა ჰუმანისტების მზარდი უნდობლობა ბერული ცხოვრების მიმართ.

შუა საუკუნეების ბოლო პოეტი დანტე ალიგიერი თავის პირად სიყვარულს კოსმიურ კონტექსტში ათავსებს. "ახალ ცხოვრებაში" ვკითხულობთ: "ჩემი დაბადების შემდგომ უკვე ცხრაგზის დაუბრუნდა ცარგვალი თავისი წრებრუნვის თითქმის იგივე წერტილს, როცა თვალწინ პირველად წარმომიდგა ჩემი აზრთამპყრობელი — დიდებით მოსილი ასული, რომელსაც მრავალნი ბეატრიჩეს უხმობდნენ, თუმცა ბევრმა არც კი იცოდა, რა ერქვა მას. მისი ამქვეყნიური ცხოვრების ჟამი იმდენი იყო, რომ ვარსკვლავიერმა სფერომ ამ ხნის განმავლობაში აღმოსავლისაკენ გზაზე გრადუსის მეთორმეტედი გაიარა, ასე რომ თავისი მერვე წელიწადის თითქმის დასაწყისში გამომეცხადა, მე კი ჩემი მეცხრე წლის ბოლოს ვიხილე იგი".

ამისგან განსხვავებით, ჰუმანიზმის ეპოქის ზღურბლზე მყოფ ფრანჩესკო პეტრარკას აღარ სჭირდება ვარსკვლავიერი სფეროების მოხმობა. მის ლირიკულ სამყაროში სენაკი და საწოლი იძენს კოსმიურ მნიშვნელობას:

ჰოი, სენაკო, ჩემი დარდის
ზღვარი და კიდე
იყავ ოდესღაც, უმყუდროეს
სავანის დარო,
აწ კი შეიქენ ღამეული
ცრემლების წყარო,
რომელსაც დღისით ძლივს
იფარავს სირცხვილის რიდე.
ჰოი, ნეტავი, ძველებურად
სიმშვიდეს მგვრიდე,
წყლულთა მალამოდ წოდებულო
ჩემო ცხედარო;
შენც, სიყვარულო, ჩემზე
წყრომით დიდად შემცდარო,
ჩემს შესახვედრად ბროლის
მკლავებს კვლავაც მიშლიდე.

მაგრამ როგორც ვხედავთ, ეს განსხვავება არ უშლის ხელს იმას, რომ ინტელექტუალმა ჰუმანისტმა საკუთარი თავი ზუსტად ასევე მოათავსოს სამყაროს ცენტრში. ჰუმანისტების სოციალური წარმოშობა მეტად მრავალფეროვანია. მათ შორის არიან წვრილი ფეოდალები, ქალაქელი არისტოკრატები, ბურჟუაზიისა და ვაჭართა კლასის წარმომადგენლები. ჰუმანისტთა იდეოლოგია არასოდეს ეწინააღმდეგება მმართველ კლასს, მაგრამ საკუთარ თავს ყოველთვის ჭეშმარიტ ღირებულებათა ერთადერთ მატარებლად სახავს. ყველა ჰუმანისტი ცდილობდა თავის დამკვიდრებას რთულ სოციალურ ვითარებაში, ამიტომ ყოველი მათგანი ესწრაფოდა ძალაუფლების მატარებელთა მფარველობის ქვეშ მოხვედრას. ხშირად ჰუმანისტები გადაჭარბებულ ქება-დიდებას ასხამდნენ თავიანთ პატრონებს, მაგრამ თუ ანაზღაურება ეცოტავებოდათ, ადვილად გადადიოდნენ მოწინააღმდეგის ბანაკში და საკვირველი ცინიზმით იცვლიდნენ პატრონსაც და მასთან დაკავშირებულ იდეოლოგიას.



*ფრანჩესკო პეტრარკა*



*ლიონელო დ'ესტე*

## კლასიფიკაცია

და მაინც, შესაძლებელია ჰუმანიზმის სფეროში რამდენიმე ძირითადი ტიპისა თუ მიმდინარეობის გამოყოფა:

1. რესპუბლიკური ჰუმანიზმი — გავრცელებული იყო ვენეციასა და ფლორენციაში ოლიგარქიული რესპუბლიკების დროს. მისი მთავარი მიზანია ლიტერატურის დაკავშირება სამოქალაქო მოვალეობის აღსრულებასთან.

2. კარის ჰუმანიზმი — გავრცელებული იყო ყველგან. ლიტერატურას აღიქვამდა როგორც სენიორის ძალაუფლების სამკაულსა და მხარდაჭერას.

3. საერო ჰუმანიზმი — აღიარებს და ადიდებს ადამიანის მიწიერ არსებობას. ამ ტიპის ჰუმანიზმი ხასიათდება წარმართული თემატიკის აღდგენით.

4. ქრისტიანული ჰუმანიზმი — ცდილობს გააღრმავოს რელიგიური გამოცდილება ადრექრისტიანულ წყაროებზე დაყრდნობით. აღიარებს, რომ კლასიკურ და ქრისტიანულ ღირებულებებს შორის ღრმა შესაბამისობა არსებობს.

5. ფილოლოგიური ჰუმანიზმი — ცდილობს ანტიკური ტექსტების რეკონსტრუქციასა და ამისათვის აუცილებელი თეორიული საფუძვლის შექმნას.

6. ფილოსოფიური ჰუმანიზმი — თეორიული სიმკაცრით ცდილობს ქვეყნიერების ახალი სურათის შემუშავებას. უარს ამბობს შუასაუკუნეობრივი სქოლასტიკის მონაპოვრებზე და ახალ კავშირებს ეძებს ანტიკურ მოაზროვნეთა მემკვიდრეობასთან.

## ჰუმანიზმი და კულტურული ინსტიტუტები

შუასაუკუნეობრივი ტრადიციებისაგან დაშორება აიძულებს ჰუმანისტებს, ეძიონ ახალი ინსტიტუტები, რომლებიც მომავალ თაობებს გადასცემენ ახალ კულტურულ მოდელებს. ბუნებრივია, რომ ეს ინსტიტუტები არ უნდა ყოფილიყვნენ გარე სამყაროს წინაშე ჩაკეტილნი და ხისტი სისტემის ფარგლებში მოქცეულნი. ამ მხრივ, ცენტრალურ პოზიციას იკავებს აღზრდის ახალი მოდელები, ახალი პედაგოგიკა, რომელშიც მთავარი როლი კლასიკური მემკვიდრეობის ათვისებას ენიჭება. აქ, რა თქმა უნდა, გრამატიკა და რიტორიკა წინანდებურად მამოძრავებელი ძალაა, მაგრამ მათი შესწავლა შუასაუკუნეობრივ ადაპტირებულ ტექსტებს, ეგრეთ წოდებულ რეპერტუარებს კი არ ეყრდნობა, არამედ გულისხმობს უშუალო კავშირს ლათინურ ორიგინალთან. ამგვარმა განათლებამ ადამიანებს საკუთარი თავის ღირსება და შეგნება უნდა მიანიჭოს, ყოველი მოწაფე უნდა იქცეს სრულყოფილ პიროვნებად, რომელიც გარე სამყაროში დამოუკიდებლად იცხოვრებს და თავის ადამიანურ თვისებებს სრულად გამოიყენებს.

ამ უკანასკნელი მიზნის მისაღ-

## ლეონ ბატისტა ალბერტი

### "ხალხური ჰუმანისტი"

ნამდვილად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს იტალიურ ჰუმანიზმში არქიტექტორს, გრამატიკოსს, მხატვარს, მწერალს, პოეტს, **ლეონ ბატისტა ალბერტის** (1404-1472): იგი ხელოვნების თითოეულ დარგს საკაცობრიო გამოცდილების მთელი სისრულის გამომხატველად აღიარებს. ამავე დროს მისი შემოქმედებითი ცხოვრება ცოდნის სხვადასხვა დარგის სინთეზია. ალბერტიმ XV საუკუნეში სრულად აჩვენა ჰუმანიზმის, ანტიკურობის



*ლეონ ბატისტა ალბერტი*

კვლევისა და პრაქტიკული ხელოვნების მჭიდრო კავშირი.

მთავარი პრობლემა, რომლის გადაწყვეტასაც ცდილობდა ალბერტი, შემდეგი იყო: რა კავშირია ადამიანსა და მის გარემომცველ სამყაროს შორის? ამავე დროს, პირველი მოცემული იყო როგორც განსაკუთრებულ ფიზიკურ და ზნეობრივ თვისებათა და უნართა ("სიქველეთა") ერთობლიობა, მეორე კი როგორც "იღბლის" უკონტროლო და მუქარით აღსავსე ძალაუფლება. ლეონ ბატისტა ალბერტი ყოველ თავის შემოქმედებით წამოწყებაში თითქოსდა ებრძვის გარემომცველ სინამდვილეს, რომელიც ეწინააღმდეგება ადამიანის ინტელექტს.

საინტერესოა, რომ ალბერტი ეგრეთ წოდებული "ხალხური ჰუმანიზმის" ფუძემდებელი იყო. აქ იგულისხმება, რომ მან ლათინური ენის აუცილებელი დიქტატისაგან გაათავისუფლა ჰუმანისტების მსოფლმხედველობა და მისი გამოხატვა ხალხურ სასაუბრო იტალიურ ენაზე დაიწყო. ლეონ ბატისტა ალბერტი არის პირველი იტალიური გრამატიკის ავტორი. ეს ჯერ კიდევ მოკლე და არასრულყოფილი თხზულება ვატიკანის ბიბლიოთეკაშია დაცული და მისი ხელნაწერი ასლი 1498 წლით თარიღდება.

### ცხოვრება

ლეონ ბატისტა ალბერტი გენუაში დაიბადა 1404 წელს. იგი **ლორენცო ალბერტის** უკანონო, ანუ, მაშინდელი საეკლესიო ტერმინოლოგიის მიხედვით, ბუნებრივი შვილი იყო. მისი ოჯახი მდიდარი ფლორენციელი ვაჭრების ფენას ეკუთვნოდა და 1377 წლიდან გაძევებული იყო მშობლიური ქალაქიდან. ეს გარემოება ოჯახში წლების მანძილზე ტრაგიკულად აღიქმებოდა, რის გამოც ლეონ ბატისტას მუდამ დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა მამასთან.

დაამთავრა ბოლონიის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და 1432 წლიდან სასულიერო წოდება მიიღო, რათა საეკლესიო ბენეფიციებით ეცხოვრა. ბენეფიცია პაპის მიერ დანიშნული მუდმივი რეალური შემოსავალი იყო საეკლესიო თანამდებობის ფორმალური შესრულებისათვის.

1428 წლიდან ალბერტის გვარს ფლორენციის კარები გაუხსნეს, მაგრამ ლეონ ბატისტას იქ ყოფნა არ მოეწონა და მოგზაურობებითა და ფათერაკებით აღსავსე ცხოვრება არჩია. თუმცაღა ფათერაკები ბევრი არ ყოფილა: უმეტესი დრო ლეონ ბატისტა ალბერტიმ რომში, პაპის კურიაში გაატარა და იქვე გარდაიცვალა 1472 წელს.

მისი ცხოვრება ვაჭართა კლასიდან საეკლესიო სტრუქტურაში გადასვლის მაგალითი იყო. საეკლესიო პირის ფარდობითი თავისუფლება (ძირითადად ეკონომიკური) და მაღალი პრესტიჟი საშუალებას აძლევდა ლეონ ბატისტა ალბერტის, სასურველი დრო გაეტარებინა ცოდნის გაღრმავებასა და გადმოცემაში. ამგვარ ხერხს მრავალი განათლებული იტალიელი მიმართავდა, რომელთა შორის **ჯოვანი ბოკაჩო** და **ფრანჩესკო პეტრარკაც** იყვნენ. და მაინც, ალბერტი საკმაოდ მძიმედ განიცდიდა იმას, რომ სასულიერო მოვალეობის შესრულება არ პასუხობს მის რეალურ მოწოდებას. სოციალური ჰორიზონტის ამგვარი ნაძალადევი ცვლილება მის ნაწერებს რაღაც საბედისწერო ორაზროვნებისა და დაუკმაყოფილებლობის იერს აძლევს.

### შემოქმედების დასაწყისი

ალბერტის პირველივე ნაწერები, — ლათინური კომედია "ფილოდოქსეოსი" და ტრაქტატი "დამწერლობის მოსახერხებლობისა და მოუხერხებლობისათვის" — სწორედ სწავლულისა და გარემომცველი სინამდვილის ურთიერთობას ეხება, წარმოაჩენს იმ სიძნელეებს, რომლებსაც მკვლევარი სოციალურ ყოფაში აწყდება. ამ ნაწარმოებებში აშკარად გამოჩნდა ალბერტის ოჯახის წევრთაგან მომდინარე გარეგნული წინააღმდეგობები და საეკლესიო მოწოდების შეუსაბამობის გამო წარმოშობილი შინაგანი ქენჯნა.

### პარადოქსი და ყოფიერება

1440 წლიდან მოყოლებული, ალბერტი თავის მეგობრებს მოკლე ლათინურ ტექსტებს უძღვნის, რომელთაც "ინტერცენალების" უწოდებს. ეს სახელწოდება მომდინარეობს ავტორის კომენტარიდან, რომლის მიხედვით ტექსტები უნდა წაკითხულიყო inter coenas et pocula — საჭმელსა და სას-



*სანტა მარია ნოველას ბაზილიკა ფლორენციაში. არქ. ლ. ბ. ალბერტი*

მელს შორის. ნაწერები მხოლოდ 1964 წელს იპოვეს პისტოიას სან დომენიკოს მონასტერში. "სუფრული" ბუნების გამო ტექსტებს საკმაოდ ფიქსირებული სტრუქტურა აქვთ, მაგრამ ფორმით მაინც მერყეობენ, ზნეობრივ დიალოგს, იგავ-არაკსა და სახუმარო მოთხრობას შორის. ყოველდღიურ ცხოვრებას ავტორი პარადოქსისა და გულგრილი ირონიის მიღმა გასცქერის, საგნებსა და მოვლენებს ხან თითქოსდა რაღაც მყარი მნიშვნელობა აქვთ, ხანაც ყოველგვარ აზრს კარგავენ და სრული გულგრილობის უფსკრულში ინთქმებიან. ამ ტექსტებში ადამიანური და არაადამიანური იმდენად გადახლართულია, რომ მათი განცალკევება ძნელია, ხშირად — შეუძლებელიც.

წევად ახალი პედაგოგიკა ყურადღებას უთმობს ადამიანის სხეულს და მნიშვნელობას ანიჭებს ფიზიკურ ვარჯიშსაც. საკმარისია გავიხსენოთ, როგორ აღწერს **ფრანსუა რაბლე** თავისი რომანის გმირის, გარგანტუას გადასვლას აღზრდის ძველი, შუასაუკუნეობრივი მოდელიდან ახალზე.

ჰუმანისტებიდან, რომლებმაც პირველად შეიმუშავეს ახალი პედაგოგიკის ზოგადი პრინციპები, აღსანიშნავია **გუარინო ვერონეზე** (1374-1460) და **ვიტორინო და ფელტრე** (1373-1446). ორივე პედაგოგი თავის მოღვაწეობას ავითარებს როგორც უფლისწულთა აღმზრდელი (გავიხსენოთ **სულხან-საბა ორბელიანის** "სიბრძნე სიცრუისა"). გუარინო ფერარაში 1429 წლიდან ასწავლის ახალგაზრდა **ლეონელო დ'ესტეს**, რომელიც 1441 წლიდან მარკიზი ხდება. ვიტორინო კი მანტუაში 1423 წლიდან მოყოლებული გვევლინება **გონძაგას** გვარის ჰერცოგთა აღმზრდელად. აქ პედაგოგი ჰერცოგთა მხარდაჭერით აარსებს სახელგანთქმულ სკოლას, რომელსაც "მხიარული სახლი" დაერქმევა.

მაგრამ ახალი ინსტიტუტების ძიებას ანგარიში უნდა გაეწია მოძველებული სოციალური გარემოსათვის. ამიტომაც ახალი პედაგოგიკის პრინციპები დიდი ხნის განმავლობაში რჩება მმართველი კლასისა და კერძო აღზრდის ფარგლებში. უნივერსიტეტები განაგრძობენ შუასაუკუნეობრივი მოდელებით ხელმძღვანელობას და მხოლოდ სუსტი კონტაქტი აქვთ ჰუმანისტთა მოღვაწეობასთან. გამონაკლისი ალბათ მხოლოდ პავიისა და ფერარას უნივერსიტეტებია. ამ უკანასკნელ ქალაქში სწავლების რეფორმატორად გუარინო ვერონეზეს მიერ აღზრდილი ლეონელო დ'ესტე გვევლინება.

კულტურის უმთავრესი კერები მსხვილ ფეოდალთა კარი და ქალაქებთან არსებული კანცელარიებია. ფლორენციის კანცელარიაში მოღვაწეობდა, მაგალითად, **ნიკოლო მაკიაველი**. ასევე მნიშვნელოვანი წვლილი აქვს ჰუმანიზმის განვითარებაში რომის კურიასაც, თუმცა ეს შეიძლება ერთგვარად მოულოდნელიც იყოს. ჰუმანიზმის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი, წარმოშობით სიენელი **ენეა სილვიო პიკოლომინი** პაპადაც კი აირჩიეს და კათოლიკური ეკლესიის ისტორიაში **პიუს II**-ის სახელით შევიდა.

კანცელარიების, ფეოდალური საეკლესიო კარის მეშვეობით ჰუმანისტები ეძებენ ერთმანეთს, რათა პირადი კონტაქტებითა და დისკუსიებით გაამდიდრონ თავიანთი ცოდნა, უფრო მოქნილი და გავლენიანი გახადონ თავიანთი იდეური მრწამსის გამოვლინება. ამგვარად ერთიანდებიან ისინი მეტ-ნაკლებად ფიქსირებულ ჯგუფებად, რომლებშიც ერთგვარად გამოსჭვივის შუასაუკუნეობრივი ამქრულ-კორპორაციული პრინციპი. ამ ჯგუფებს თანდათანობით დაერქმევა ანტიკური სახელი — **აკადემია**. ანტიკურ სახელს კონკრეტულ გარემოებებზე დაფუძნებული შუასაუკუნეობრივი ექსტრავაგანტური განსაზღვრებაც ემატება. ასე ჩნდება იტალიაში "გაბრაზებულთა", "არხეინად მყოფთა", "გაკვირვებულთა" აკადემიები. ბევრი მათგანი დღესაც არსებობს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჰუმანიზმის ეპოქაში წიგნების შენახვასა და გავრცელებას. ჰუმანისტებს ეკუთვნით წიგნის გამოცემის კულტურის შექმნა ჯერ კიდევ წიგნის ბეჭდვის საყოველთაო შემოღებამდე. ამ მხრივ ცნობილია ფლორენციელი მწიგნობრისა და გამომცემელის, **ვესპასიანო და ბისტიჩის** (1421-1498) მოღვაწეობა. კერძო პირების კუთვნილი დიდი ბიბლიოთეკები შეადგენს იმ ბირთვს, საიდანაც მომავალში საჯარო ბიბლიოთეკათა კულტურა წარმოიშობა. ასეთი მაგალითია ფლორენციის მმართველის, **ლორენცო ბრწყინვალის** ბიბლიოთეკა, რომელიც დღესაც არსებობს ლაურენციანას სახელწოდებით.

## ფრანჩესკო პეტრარკა-ფილოლოგი და ჰუმანისტი

თუმცა ფრანჩესკო პეტრარკას (1304-1374) სრულად ვერ მივაკუთვნებთ ჰუმანიზმის ეპოქას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისი მოღვაწეობის ბევრი ასპექტი წინასწარ სახავდა ჰუმანიზმის პერსპექტივებს. ყველაზე მეტად ეს ფილოლოგიას ეხება, რადგანაც დამწერლობა ერთადერთი არხია, რომელიც გარდასულ და მომავალ თაობებს აკავშირებს.

პეტრარკას ანტიკურობაში ორი ძირითადი მისაბაძი მაგალითი ჰყავდა: პროზაიკოსი **მარკუს ტულიუს ციცერონი** და პოეტი **პუბლიუს ვირგილიუს მარონი**. მათი ენობრივი და სტილისტური მაგალითების გადმოტანა ლიტერატურაში პეტრარკამ ესთეტური პრინციპის სიმაღლეზე აიყვანა. მაგრამ დიდი იტალიელი პოეტი იმასაც აღიარებდა, რომ მისაბაძი მაგალითი ანტიკურობას მრავალი ჰყავს, რის გამოც განათლებული ლიტერატორი ერთი ან ორი ნიმუშით არ უნდა შემოიფარგლოს, არამედ კონკრეტული შემოქმედებითი ამოცანის გადაწყვეტისას ყველაზე შესაბამისი არჩევანი უნდა გააკეთოს. ამ შემთხვევაში პეტრარკა მიმართავს თავის ცნობილ შედარებას: ლიტერატორი უნდა ჰგავდეს ფუტკარს, რომელიც მრავალი ყვავილისგან იღებს ნექტარს და სხვადასხვა სურნელთა შეზავებით ამზადებს თაფლს.


ახალი ჰუმანისტური ხელწერა – პოჯო ბრაჩოლინის ავტოგრაფი

პეტრარკას ჰუმანიზმის საფუძვლად მისი მსოფლმხედველობა კი არა, ფილოლოგიური მოღვაწეობა ჩაითვლება. ეს საქმე პოეტმა უმაღლეს დონეზე წარმართა ევროპის უმნიშვნელოვანეს სწავლულებთან უშუალო კონტაქტში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი კავშირი საფრანგეთთან და გერმანიასთან. თვითონ პეტრარკას თავისი დროისათვის უმდიდრესი ბიბლიოთეკა ჰქონდა, რომელიც ორასამდე ხელნაწერს ითვლიდა. მრავალრიცხოვანი მოგზაურობებისას პოეტი ყოველთვის დიდი ხნით რჩებოდა ევროპის უძველეს ბიბლიოთეკებში და მივიწყებულ ხელნაწერებს ეძებდა. ასე იპოვა მან ციცერონის ერთ-ერთი სიტყვა და მრავალი პირადი წერილი, რომლებიც საკუთარი ხელით გადაიწერა. აქ საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ პეტრარკას არ მოსწონდა გოთური ხელწერა, რომელიც მძიმედ და არაეკონომიურად მიაჩნდა. ენისადმი უფრო ღრმა დამოკიდებულება კი იმაში გამოიხატება, რომ სასულიერო ხელნაწერთა პრაქტიკისაგან განსხვავებით პოეტი მეტად ფართოდ იყენებს პუნქტუაციას და, აქედან გამომდინარე, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ინტონაციას. ცნობილია პეტრარკას მცდელობები, შემოეტანა ახალი სასვენი ნიშანი, რომელიც წერტილზე სუსტი და მძიმეზე ძლიერი იქნებოდა.

პეტრარკას შემდეგ ფილოლოგიური კვლევები განაგრძეს **პოჯო ბრაჩოლინიმ**, **ლორენცო ვალამ** და სხვებმა. სწორედ ამ უკანასკნელმა დაამტკიცა, რომ ეგრეთ წოდებული კონსტანტინეს ძღვენის დამადასტურებელი საბუთი, რომლის თანახმადაც რომის დიდმა იმპერატორმა კონსტანტინემ კათოლიკურ ეკლესიას გადასცა პაპის ოლქად წოდებული ტერიტორია და მასზე საერო ძალაუფლება, სინამდვილეში გვიანდელი ნაყალბევი იყო. პოჯო ბრაჩოლინის კი ეკუთვნის ახალი ხელწერის გავრცელება, რომელიც კაროლინგურ (ე. ი. ფრანკთა იმპერატორის, **კარლოს დიდის** დროინდელ) მაგალითებს ეყრდნობოდა და გოთური შრიფტისაგან განსხვავებით გაცილებით უფრო ადვილი აღსაქმელი იყო. აქედან იწყებს განვითარებას ხელწერის ახალი ხერხი, რომელიც მოგვიანებით *ჰუმანისტური კურსივის* სახელს მიიღებს.

## წიგნები

საგამომცემლო საქმე, მიუხედავად ჰუმანისტებისაგან მომდინარე სტიმულებისა, დიდი ხნის განმავლობაში ტრადიციულ კანონებს ემორჩილებოდა. ძველი ტექსტების ყველაზე უფრო იშვიათი გამოცემები თვით ჰუმანისტთა ხელში იყო და მხოლოდ მცირერიცხოვან განათლებულ წრეში ტრიალებდა. საწყის ეტაპზე ჰუმანისტებმა მხოლოდ ერთგვარი ინტელექტუალური ელიტა შეადგინეს, რომლის მონაპოვრები არ სცილდებოდა მის საკმაოდ ვიწრო და ძნელადგადასალახავ საზღვრებს.

მაგრამ XV საუკუნის შუაგულიდან რამდენიმე წლის განმავლობაში მოხდა სრულიად რადიკალური გარდაქმნა, კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტექნიკური რევოლუცია. საქმე ეხება გერმანიაში **იოჰან გუტენბერგის** მიერ განხორციელებულ ბეჭდვით გამოცემას. პირველი წიგნი, რომელიც 1455 წელს დაიბეჭდა გერმანულ ქალაქ მაინცში, ლათინური ბიბლია იყო. იტალიაში კი წიგნი პირველად 1465 წელს დაიბეჭდა და ეს **დონატუსის** "გრამატიკის ხელოვნება" იყო. საინტერესოა, რომ ეს პირველი წიგნი არა სასულიერო, არამედ სრულიად ჰუმანისტური სულისკვეთებისა იყო, თუმცა კი პირველი სტამბა იტალიაში სუბიაკოს მონასტერში გამართეს გერმანელებმა **კონრად შვაინჰაიმმა** და **ადოლფ პანარცმა**.

ბეჭდვამ ერთბაშად გააიაფა წიგნის წარმოება და ძირფესვიანად შეცვალა თვით კულტურის ცნება, თუმცა ეს პროცესი საკმაოდ ნელა წარიმართა და XV საუკუნის ბოლო ათწლეულები, როცა ნაბეჭდი და ხელნაწერი წიგნები ჯერ კიდევ თანაარსებობენ, მხოლოდ მისი დასაწყისია.

1500 წლამდე დაბეჭდილ წიგნებს სპეციალისტები "ინკუნაბულებს" უწოდებენ. ეს ტერმინი წარმოდგენა ლათინური სიტყვიდან cuna, რაც აკვანს ნიშნავს. ტერმინი XVII საუკუნეში წარმოიშვა და პირველად გამოყენებული იყო ჰოლანდიელი მწიგნობრის, **ვან ბოიგჰემის** მიერ შედგენილ პირველ ბეჭდვით გამოცემათა კატალოგში.

ბეჭდვითი სიტყვის განვითარებამ ტექსტს უფრო დიდი სტაბილურობა მიანიჭა, ფილოლოგის საქმიანობას კი ახალი პერსპექტივები გაუჩინა. ამ პერსპექტივების განმახორციელებლად ჰუმანისტთა შორის ფლორენციელი პოეტი, **ანჯელო პოლიციანო** და რომაელი სწავლულის, **პლინიუს უფროსის** ვენეციელი მკვლევარი, **ერმოლაო ბარბარო** იყვნენ.

## დასკვნა (ასევე შემთხვევითი)

ჰუმანისტები ძალიან ბევრნი იყვნენ. ჩვენს მიმოხილვაში არ ჩამოგვითვლია ყველაზე მნიშვნელოვანი სახელები: **კოლუჩო სალუტატი**, **მარსილიო ფიჩინო**, **ლეონ ბატისტა ალბერტი**... მათი გეოგრაფიული გავრცელების არეალიც, თუმც აპენინის ნახევარკუნძულიდან დაიწყო, შორს სცილდებოდა იტალიის საზღვრებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო გერმანელი ჰუმანისტების წვლილი ევროპულ კულტურაში, უფრო მეტიც, სწორედ გერმანიაში პოვა ჰუმანისტების მოღვაწეობამ ნამდვილი ისტორიული პერსპექტივა რეფორმაციის სახით, მაშინ როცა თვით იტალიაში ჰუმანიზმის მონაპოვრები უფრო ელიტარული ისტორიული, ფილოსოფიური, ფილოლოგიური, კულტუროლოგიული და სხვა კვლევების საგნად იქცა მას შემდეგ, რაც დასავლეთმა მრავალი მტკივნეული სპაზმის შემდეგ მოინელა პროტესტანტული რეფორმაციის შედეგები.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ იტალიის საუნივერსიტეტო სისტემა საბოლოო კრიზისში გაება და ახალი პერსპექტივის შესაძლებლობით მოხიბლული ინტელექტუალები რეალური ძალაუფლების მქონე ფეოდალთა ციხე-დარბაზებს მიაწყდნენ ანაზღაურებადი სამსახურის საძიებლად. იქნებ ჩვენც გვეშველოს რამე, როცა ღირსეული კადრები დატოვებენ ყავლგასული სიბრძნის კლოაკად ქცეულ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებს და უცხოურ გრანტებზე დაყრდნობით ახალ უფრო დინამიურსა და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამის სტრუქტურებში გაერთიანდებიან.


ლორენცო მედიჩი – ბრწყინვალე


ანჯელო პოლიციანო

## ლეონ ბატისტა ალბერტი

### ძირითადი ნაწარმოებები

გაცილებით უფრო ცნობილია ლეონ ბატისტა ალბერტის ოთხი "საოჯახო წიგნი". სამი პირველი დაწერილია რომში 1433-34 წლებში, მეოთხე კი — ფლორენციაში 1440 წელს. ეს წიგნებიც დაიკარგა და მხოლოდ XIX საუკუნეში აღმოაჩინეს.

ეს იტალიურ ენაზე დაწერილი დიალოგებია ალბერტის ოჯახის წევრებს შორის. საუბრები ამ ადამიანების პოლიტიკური მარცხის მიმოხილვით იწყება და შემდეგ ისე ვითარდება, რომ მკითხველმა გარკვეული დასკვნები უნდა გამოიტანოს საოჯახო ცხოვრების მოწყობის შესახებ. ოჯახს ალბერტი განიხილავს ყველაზე მნიშვნელოვან საზოგადოებრივ წარმონაქმნად, რომელიც ყოველი პიროვნების ნივთიერი და სულიერი ყოფის უმთავრესი საფუძველია — ოჯახი ერთადერთი საყრდენია ორაზროვან და დაუნდობელ სინამდვილეში.


პინტურიკიო – პიუს მეორის სიკვდილი ანკონაში

ამავე დროს ალბერტი დარწმუნებულია, რომ "იღბალი მხოლოდ მას ათამაშებს, ვინც მორჩილდება", ხოლო მის დასამარცხებლად ადამიანის სიქველეები სრულიად საკმარისია. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ ავტორი არანაირ პრაქტიკულ რჩევას არ იძლევა. გარე სამყაროში ქცევის წესები საკმაოდ გაურკვეველია, ხოლო თვით ოჯახში "სარგებლისა" და "გამოსაყენებელის" ტრადიციული ვაჭრული ღირებულებები სუფევს. სრულიად მეორეხარისხოვან და დამატებით როლს აკისრებს ალბერტი ქალსაც: ზოგადად, ავტორი რადიკალურად ქალთმოძულე ტრადიციას მიეკუთვნება.

უნდა ითქვას, რომ ნაწარმოების მთავარი მნიშვნელობა მისი შინაარსი კი არაა, ანუ ის, რას ფიქრობს ავტორი ოჯახზე, არამედ ის ფაქტი, რომ საეკლესიო სამსახურში იძულებით შესული ალბერტი აიდეალებს თავის ოჯახში გამეფებულ მერკანტილურ ეთიკას. ამგვარი ქმედება მისთვის საშუალებაა, რომ ოჯახის მიტოვების შემდეგ კვლავ ჰქონდეს მშობლიურ კერასთან დაბრუნების იმედი.

როგორც ვხედავთ, ჰუმანიზმის პრინციპები აქ უშუალოდ კი არ ვლინდება ნაწარმოების შინაარსში, არამედ თვით წერის აქტი რადიკალურად იცვლის დატვირთვას: წერა ხდება ადამიანის მიერ გარკვეული ცხოვრებისეული ნაბიჯების გადადგმის საშუალება, მისი სავარაუდო წარმატების გარანტი. თომა აკვინელის ან ალბერტ დიდის წერითი "სტრატეგია" არაფერს გვეუბნება მათ პირად ცხოვრებაზე, რომლისთვის ყველაზე დიდი ღირსებაა წინასწარ ცნობილ მოდელთან სრული იდენტიფიკაცია. ლეონ ბატისტა ალბერტის ყოველი ფრაზა კი მრავალ ნიშანდობლივ რამეს მოგვითხრობს ავტორის პირად დრამაზე მაშინაც კი, როცა სრულიად განყენებულ საკითხებს ეხება.

ლინგვისტური თვალსაზრისით, ეს დიალოგები პირველი ცდაა, რომელშიც იტალიური ენა ერთი მხრივ ჰუმანისტური ლათინურიდან სარგებლობს, მეორე მხრივ — ვაჭართა წრეში დაგროვილი ლექსიკიდან. ამგვარად ალბერტიმ საკმაოდ მკვიდრი და რაციონალური სტილი მიიღო, რომელიც რაღაცნაირი მკვეთრი და სხარტი თვისებებით გამოირჩევა და ძალიან შორს დგას ბოკაჩოს რბილი და ნარნარად რხევადი სტილისაგან. დანტე ალიგიერის გზა კი ალბერტიმ იმით განაგრძო, რომ დაშორდა ტოსკანურ მოდელებს და საერთო აპენინურ ფესვებზე დაამკვიდრა თავისი იტალიური.

1442 წელს ალბერტიმ **ლეონელო დ'ესტეს** მიუძღვნა ზნეობრივი ტრაქტატი "თეოგენიუსი" — ერთადერთი ნაწარმოები, რომელიც დაიბეჭდა XVI საუკუნეში. ამავე წელს დაუბრუნდა ოჯახურ თემატიკას და შეთხზა ტრაქტატი "ოჯახის თავისათვის", რომელშიც უკვე კლასიცისტურ სიმაღლეზე აიყვანა მეოჯახე კაცის ხოტბა.

ლეონ ბატისტა ალბერტი მრავალი თეორიული ტრაქტატის ავტორია სახვითი ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგში. მაგალითად, ცნობილია მისი წიგნები: "ქანდაკებისთვის", "ფერწერისათვის", "ხუროთმოძღვრული ხელობისათვის".

ამ წიგნებში ხდება ხელოვნების თეორიული საფუძვლების სისტემური დამუშავება. ალბერტის წვლილი მდგომარეობს, ერთი მხრივ, სახვითი და არქიტექტურული ხელოვნების მონაპოვრებისა და პრინციპების ვერბალური, სიტყვიერი გადმოცემის ტრადიციის შექმნაში, მეორე მხრივ კი აბსტრაქტული მათემატიკური დისციპლინის, გეომეტრიის "გაჰუმანურებაში". ალბერტის გადმოცემით გეომეტრიის საიდუმლოებანი მისაწვდომი გახდა მხატვართათვის. გარდა ამისა, ალბერტის შემოქმედებაში პირველად მოხდა პოეტიკისა და რიტორიკის კანონთა გამოყენება პლასტიკური ხელოვნების ნაწარმოების ასაგებად.

ლეონ ბატისტა ალბერტის მთელი შემოქმედება მეტყველებს, რომ ჰუმანიზმი, უპირველეს ყოვლისა, სინთეზია.


გირლანდაიო – სანტა მარია ნოველას მოხატულობის დეტალი. მარცხნიდან პირველი – პოჯო ბრაჩოლინი, მარცხნიდან მესამე – ანჯელო პოლიციანო.

ავტორები: ნოდარ ლადარია, ლეილა ბეჟარაშვილი

## ბინები

### იყიდება

სასწრაფოდ იყიდება 3-ოთახიანი, არასტანდარტული, 132 კვ.მ ბინა ჩიქოვანის 18-ში, V კორპ., ბინა 34, I სართ. ფას: 18000$. ტელ: 98-40-41.

შევიძენ ჩეხურ 2-ოთახიან, გარემონტებულ ბინას 4 500-ის ფარგლებში მე-2-5 სართულებზე ვარკეთილისა ან ვაზისუბნის მიდამოებში. 77 75 73

იყიდება 4-ოთახიანი არასტანდარტული ბინა პეკინის 35. 140 კვ.მ. ფასი 32 000. 8(99) 901729

იყიდება 2-ოთახიანი (გადაკ. 4-ად) არასტანდარტული მაღალჭერიანი კუთხის ბინა. მე-9 სართულზე, საბურთალო, ზაქარიაძის №1 (მ. დელისის უკან) 100 კვ.მ., 3 აივნით, 2 ტუალეტით. 2 სათავსოთი, სარდაფით, ტელეფონით, ბ/აირით, მუდმივი შუქით. ს/ფ 37 000.
ტელ: 69-64-27 ბელა 39-53-41 მარინა 877 495-490

შევიძენ 1-ოთახიან ბინას. 32 73 63

იყიდება 1,5-იანი ბინა გადაკეთებული ორიანად, 3(16), ტელეფონით, რკინის კარებით, ბაკით. 96 17 35, 33 03 43, 8(99) 16 11 03

იყიდება 2-ოთახიანი მაღალჭერიანი ბინა ევრო-რემონტით, თამარ მეფის გამზირზე N11. მე-5 სართული. 38-30-62, 8(99) 55-04-48

იყიდება ელიტარული 4-სართულიანი აგარაკი წეროვანში. საცხოვრებელი ფართი 450 კვ.მ. დეკორატიული ხეხილიანი ეზო 1300 კვ.მ. 38 01 11

იყიდება 2-ოთახიანი ჩეხური გამზადებული ინტერნეტ-კაფესთვის, ოფისისთვის ან მაღაზიისთვის. მიცკევიჩის N18. 38-30-62, 8(99)55-04-48

იყიდება 3-ოთახიანი გარემონტებული ბინა მიშენებით, ბ/აირით, ტელეფონით მეტრო ღრმაღელესთან. ფასი 13 000 $. 61 08 89 ნინო

იყიდება 4-ოთახიანი არასტანდარტული ბინა ნაძალადევის რაიონში. ფასი 30 000 $. 95 45 22

## ბინები

### ქირა, გირაო

სასწრაფოდ ვიგირავებ 2-ოთახიან ბინას 3000$-ად საბურთალოზე.
ტელ: 78-21-80 (საღამოს საათებში)

**ქირავდება!**
სახლი ალმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.
ტელ: 37-28-77;
93-16-11; 899 539097

ქირავდება უცხოელებზე გარემონტებული, 140 კვ.მ. 4-ოთახიანი ბინა ახალაშენებულ სახლში მრგვალ ბაღთან. 32 97 29

## კომერციული ფართი

ვიქირავებ საოფისე ფართს, დაახლოებით 100 კვ.მ. 96 79 71, 95 63 94

## მიწის ნაკვეთი

იყიდება კომერციული ფართი მარჯანიშვილის №31-ში, ჩოგბურთის კორტებთან. 33 38 91, 8(77) 49 44 48

იყიდება 90 კვ.მ. კომერციული ფართი 200 კვ.მ. სარდაფით საბჭოს მოედანზე. 27 000-ად. 77 19 40 ტარიელი, 92 24 64

## მანქანები

სასწრაფოდ იყიდება 1991 წლის ფოსფორისფერი "ფორდ-ესკორტი" იდეალურ მდგომარეობაში ძრავა – 1,4; ეკონომიური (წვა – 6ლ 100 კილომეტრზე). ფასი – 2500 დოლარი. ტელ: 899 50 30 13, მაია.

**იყიდება!**
AUDI 90 Coupe GT. 1988 წ. ძრავი 2,3, ტყავის სალონი, გიდრავლიკა, ლუქი. ფასი 1650$. ტელ: 8 (99) 162868.

იყიდება "ოპელ-ომეგა" (ფურგონი) 1991 წლის, კარგ მდგომარეობაში - 2100-ად (წყალდიდობაში არ მოყოლილა!).
ტელ: 8(24) 153814,
8(24) 1798 95

## სწავლება

მეცნიერებათა კანდიდატი ამერიკულ ინგლისურში ამზადებს ემიგრანტებს, სკაუტებს, აბიტურიენტებს, სტუდენტებს ბინაში მისვლით. დრო განუსაზღვრელია. 68 95 87, 8(99) 22 69 43

შევასწავლი ინგლისურ ენას IX-X-XI კლასელებს. 95 45 22

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. 38 44 43 საღამოს, 61 29 76

შევასწავლი გერმანულ ენას. 32 03 71

შევასწავლი გერმანულს ნებისმიერ მსურველს. შესაძლებელია ბინაზე მისვლაც. 39 61 68, 8(99) 26 91 08 თეონა

შევასწავლით ჩოგბურთის თამაშს პროფესიულ დონეზე ბავშვებს 6-დან 14 წლამდე. მოვამზადებთ ფიზოში. სასურველია სპორტული აღნაგობა. ასევე შევასწავლით მოყვარულებს. 94 16 28

შევასწავლი ხატვას, ფერწერას, მოდელირებას, ჭრა-კერვას, ცოცხალი და მშრალი ყვავილების კომპოზიციას შეღავათიან ფასებში. 32 35 83

## სხვადასხვა

იყიდება კაპიტალური ავტოფარეხი ფალიაშვილის 48-ში. 8(99) 28 99 66, 23 35 12

იყიდება საკუთარი სახლი. 63 32 44

იყიდება ქურქი ჩორნაბურკა და ნორკა. 77 31 44

ქირავდება ლუდის ჩამოსასხმელი აპარატი. 72 36 62

მერქნის დახერხვა, გამოხარშვა, გამოშრობა ევროსტანდარტით. 8(99) 18 20 28

ნებისმიერი ასაკის მსურველთა მომზადება გერმანულ, ესპანურ და რუსულ ენებში ინდივიდუალურად. 39 50 31, 8(93) 30 93 20

იყიდება 10-ტონიანი ქარხნული წესით დამზადებული მომინანქრებული ავზი. 75 53 55

ვთარგმნი ინგლისურიდან, გერმანულიდან, რუსულიდან ქართულად შეღავათიან ფასში. 75 53 55

იყიდება ანტიკვარული ა/მანქანა გაზ-აა, ე.წ. "პოლუტარატონკა", 1940 წ. ქარხნული, კარგ მდგომარეობაში. 37 74 54, 8(99) 96 50 66

კოსმეტოლოგიის და იმიჯმეიკერის კურსები დასაქმების პერსპექტივით. ჩაწერა. 96 20 84, 95 34 20 ლუბა მიროტაძე

მაქვს უმაღლესი მუსიკალური განათლება. მოვამზადებ ბავშვებს კლასიკურ და საესტრადო სიმღერებში ბინაზე მისვლით. 61 90 18, 32 59 38 მაკა

იყიდება ავტომატიზირებული სტომატოლოგიური აპარატი კომპრესორით, ბუნიკით, ამოსაშრობით, ჰეოლით და განათებით. 62 54 32 თენგიზი

გვესაჭიროება თანამშრომლები. 5 ვაკანსია. ხელფასი გამომუშავებით. 100-150 $ თვეში. 35 22 00, 93 18 71 მიხეილი

იყიდება ლაი-ლაის სიმბარათი. ნომერს აქვს დაფარვის ფუნქცია (ინკოგნიტო). ფასი 25 ლარი. 8(93) 36 51 13

ვიყიდი სანადირო თოფს 28 ან 32 კალიბრს. 30 01 55, 8(93) 32 13 33 დათო

იყიდება სამარშრუტო ხაზები №209 და №77. 8(99) 11 58 95

ვამზადებ დაბალფასიან სარეკლამო აბრებს, ლეითბოქსებს. 53 74 26

საუკეთესო საჩუქარი საყვარელი ქალისათვის. 62 59 09 ნანა

შაბათ-კვირის კერძო საბავშვო ბაღი. 34 63 57

წინასარემონტო სამუშაოები დიზაინერთან ერთად. 22 06 22

გამდიდრების უნარის განვითარება სულიერად ჩამოყალიბებულ ადამიანებში, უძველესი და ძლიერმოქმედი მეთოდების შესწავლა. 52 20 54

"სამოსელი პირველი" გაყიდვაშია. 38 47 53

საშუამავლო ფირმა "კახი-98" გთავაზობთ ბინების ყიდვა-გაყიდვა-გაქირავება-დაგირავებას. 23 70 91, 8(77) 71 05 90, 8(93) 30 32 82

საშუამავლო ფირმა "კახი-98" ისესხებს და გაასესხებს თანხებს ბინის მყარი გარანტიით. 23 70 91, 8(77) 71 05 90, 8(93) 30 32 82

**გთავაზობთ** წიგნების, ჟურნალების, ბროშურების აკრეფვა-დაკაბადონებას, გაფორმებას, სავიზიტო ბარათების, ბლანკების დამზადებას, სხვადასხვა პოლიგრაფიულ მომსახურეობას.
მის. ი.ჭავჭავაძის №74, IX სართ. ოთახი - 908.
Tel/Fax: 25-35-48, 23-53-69

ფირმა "ულტრა-დომუს"-ი გთავაზობთ:
- პროექტირებას,
- დიზაინს,
- მშენებლობას.
ტელ: 23-36-58; 94-13-34; 893 347536

ფირმების რეგისტრაცია. ბუკლეტები, სავიზიტო ბარათები, პლაკატები.
ტელ: 95-39-97
მარჯანიშვილის 21, მე-4 სართული.

## საქართველოში მომუშავე მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლების საყურადღებოდ

საქართველოს პარლამენტის აპარატის პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი ა.წ. 1 ნოემბრიდან იწყებს საქართველოს პარლამენტში 2003 წლის ჟურნალისტთა აკრედიტაციისათვის განცხადების მიღებას. განაცხადი უნდა შედგეს საქართველოს პარლამენტის აპარატის რეგლამენტისა და პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტის დებულების დადგენილი წესის მიხედვით.

მადლობელი დაგრჩებით, თუ მასმედიის ხელმძღვანელები, განაცხადთან ერთად, ცალკე ფურცელზე მოგვაწვდიან მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მისამართს, ტელეფონის, ფაქსისა და ელექტრონული ფოსტის ნომრებს, აგრეთვე, აკრედიტებულ ჟურნალისტთა კოორდინატებს.

**განცხადების მიღება დასრულდება ა.წ. 1 დეკემბერს.**

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ
შემდეგ ნომრებზე: 99 00 00, 99 99 62

## განცხადება

ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმის ბაზაზე იხსნება
სამხატვრო სკოლა-სტუდია:

- **სკოლის მოსწავლეთათვის:**
ფერწერა, ხატვა, ქანდაკება, კომპოზიცია, გობელენი, მოდელირება, კომპიუტერული გრაფიკა, მულტიპლიკაცია, დიზაინი, არქიტექტურა, ხატწერა, რესტავრაცია, რელიგიისა და ხელოვნების ისტორია.
- **აბიტურიენტებისათვის:**
მოსამზადებელი ჯგუფი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში და იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში შესასვლელად (მიზნობრივი სწავლება).

სკოლა სტუდიის მოსწავლეები სისტემატიურად მიიღებენ მონაწილეობას საერთაშრისო და რესპუბლიკურ გამოფენებში. სასწავლო წლის ბოლოს მოეწყობა საზაფხულო შემოქმედებითი ბანაკი.
მოსწავლეები იმუშავებენ სამხატვრო სახელოსნოში და კომპიუტერულ კლასში.
სკოლა უზრუნველყოფილია გათბობით, მუდმივი დენით, მუშაობს ბუფეტი.
მეცადინეობა ჩატარდება კვირაში სამჯერ 15.00 საათზე.
მოსწავლეთა მიღება იწარმოებს მიმდინარე წლის 20 ოქტომბრიდან.
სწავლა დაიწყება 3 ნოემბერს.

**მისამართი:** ნუცუბიძის 223. (საქართველოს ბანკის შენობასთან).
**ტელეფონი:** 32 97 83 (9.00-15.00) სკოლა ლიცეუმი.

გაზეთი 24 საათი
21.11.02 N-172

## აფიშა

### თეატრები

**რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია**
ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"
დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.

**მარჯანიშვილის თეატრი**
"სასიყვარულო ბარათები", რეჟ: თემურ ჩხეიძე, მთავარ როლებში: გია ბურჯანაძე, ნანი ჩიქვინიძე (სპექტაკლი გაიმართება სარეპეტიციო დარბაზში)
დას: 18:00 სთ; ფასი 3-6 ლარი

**თეატრალური სარდაფი**
დათო ტურაშვილი, "მონო-მანია", რეჟ. ლილი ბურბუთაშვილი
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

**ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო„**
"დედა დედოფალი", რეჟ. თენგიზ კოშკაძე; მთავარ როლებში: სოფიკო ჭიაურელი და მურმან ჯინორია
დას: 19:00 სთ; ფასი 3 ლარი

**აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლი**
მერაბ კოსტავას სახელობის დრამატული თეატრი
დავით კლდიაშვილი "მსხვერპლი", რეჟ.ანდრო ენუქიძე
დას: 16:00 სთ; ფასი 3 ლარი, სტუდენტებისათვის 1 ლარი

**თავისუფალი თეატრი**
"პროვოკაცია", რეჟ. ავთანდილ ვარსიმაშვილი
დას: 19:00 სთ, ფასი 3,5 ლარი

### საგამოფენო დარბაზები

**ძველი გალერეა**
"განახლებული ურთიერთობები", მიშა შენგელიას, დავით ალექსიძისა და ლინ აჰრენსის ნამუშევართა გამოფენა

**N გალერეა**
კარლო კაჭარავას ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება)

**გალერეა „ვერნისაჟი„**
გიორგი აფციაურის ნამუშევრების გამოფენა

### კინოთეატრები

**„ამირანი„**
"ბორნის საიდუმლო", მთავარ როლში მეტ დეიმონი
დას: 15:00; 19:00 სთ; ფასი 5,6 ლარი
"ვასაბი", რეჟ. ლუკ ბესონი, მთავარ როლში ჟან რენო
დას: 17:00; 21:00 სთ, ფასი 5-7 ლარი
"პიანისტი ქალი", რეჟ. მიხაელ ჰანეკე
დას: 23:00 სთ, ფასი 5 ლარი

**„რუსთაველი„**
"სათამაშო ისტორია 2", რეჟ. ეშ ბრენონი, ჯონ ლესეტერი
დას: 13:00; 15:00; 17;00; 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"დაგმობილი გზა", რეჟ. სემ მენდესი, მთავარ როლებში: ტომ ჰენკსი, პოლ ნიუმანი, ჯუდ ლო
დას: 21:00; 23:00 სთ; ფასი 7 ლარი

**„ელიტი„**
"დაგმობილი გზა", რეჟ. სემ მენდესი, მთავარ როლებში: ტომ ჰენკსი, პოლ ნიუმანი, ჯუდ ლო
დას: 13:00; 15:00; 17:00; 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ჰოლივუდური დასასრული", რეჟ. ვუდი ალენი
დას: 21:00; 23:00 სთ; ფასი 6 ლარი

## TV პროგრამა 21 ნოემბერი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 ჯადოქარი
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 ქალთა ქვეყანა
10.40 გურმანთა მეგზური
11.10 ხალხის პირისპირ
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი "მაცდური სიყვარული"
13.30 მხ. ფილმი
15.20 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა
17.05 ქალთა ქვეყანა
18.00, 21.00, 02.20 კურიერი
18.20 ჯადოქარი
18.45 ჰერაკლე
19.10 სერიალი "ტალღის ქიმზე"
20.05 სერიალი "მაცდური სიყვარული"
22.00 "ვის უნდა ოცი ათასი"
22.50 კურიერი
00.20 მხ.ფილმი "ინტუიცია" მთ.როლებში ჯონ კიუსაკი, კეიტ ბეკინსეილი
02.30 კლასიკა.

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 "დრო და ფული"
10.00 მხ. ფილმი "საგანგებო მდგომარეობა 1"
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.10 სერიალი "რვაფეხა"
13.00 ნაშუადღევს
14.05 "ინგლისური ენის გაკვეთილი"
14.35 "ასკანოგა"
15.15 მხ. ფილმი "ქალიშვილები - თვითმკვლელები"
16.55 ტელესერიალი "ძილის წინ"
17.10 რამპა
17.15 დოკ. ფილმი "მოგზაურობა მსოფლიოს ირგვლივ"
17.40 დოკ. სერიალი "მიწვევა ცეკვაზე"
18.00 ვესტნიკი
18.20 ბასტი-ბუბუ
18.40 "ჯანმრთელობა"
19.05 "ვიდეოპატრული"
19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე"
21.00 სერიალი "რვაფეხა"
21.55 "დრო და ფული"
22.05 "საქართველო არის ესე"
23.00 "დღის ბოლოს"
23.40 ტელესერიალი "ძილის წინ"
00.00 მხ. ფილმი "საგანგებო მდგომარეობა 2"
01.30 ქართული ენის გაკვეთილი

### პირველი სტერეო

07.00 კლიპ-მიქსი
08.00 "ტოროლა"
11.30 "არასარეკლამო ათეული" გამეორებით
12.00 "ვიდეო-რადიო" გამეორებით
13.15 პაუზის გარეშე
17.00 "კომედია" მხ.ფ. "ოპერაცია "სპილო"
19.00 ქართული მუსიკა
19.30 ვიდეო-რადიო
21.00 ევრო-ქართული ათეული
21.45 მოკლე სეანსი
22.00 ჩაძირობანა
22.45 მოკლე სეანსი
23.00 მუსიკა
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "მოპარული ზაფხული".
01.50 "ღამურა" მხ.ფ. "როკერები".
03.20 ნონ-სტოპი

### მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები"
20.30 ისტორიები
21.00 ფინიშთან
22.10 პრეზიდენტი
22.20 მხ. ფილმი "უცხო ამერიკა"

### ევრიკა

11.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს
11.20, 20.00 მსოფლიო სპორტი
12.25, 21.00 სალონი
14.00 ექიმი გვირჩევს
15.00 მუსიკალური პაუზა
15.15 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს
18.30 რუსული ენის გაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი
19.30 "იდენ-ტვ"
23.00 ფსიქო-პორტრეტი
00.00 მხ.ფ. "ფლირტი ცხოველთან"

### იბერია

08.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
08.15 ანონსი, მულტფილმი
08.20 აღსავალი. მუსიკა
08.30 მხ. ფილმი "სიყვარულის ელექსირი"
10.15, 12.30, 17.20, 17.50, 19.30, 21.35, 00.25 მუსიკა
10.20 მხ. ფილმი "ჯაშუშთა თამაშები"
13.10, 18.00 მულტფილმი
14.10 დოკ. ფილმი
17.30 დოკ. სერიალი
18.45 ბუნების ფერები
20.00 მხ.ფ. "საზღვარი"
22.15 მხ.ფ. "ბოშა"
00.30 ღამის ფილმი

### კავკასია

12.00 მხ. ფილმი "ნაიარევი სახე"
15.00 მხ. ფილმი "ძველი ჯაგლაგები"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 "დღეს"
17.15 მხ. ფილმი "დარტყმის სიშორეზე"
19.20 სპექტრი
21.00 მუსიკა
21.50 მხ. ფილმი "შვიდი"

### მეცხრე არხი

10.00 მხ. სერიალი "ზურგის ქარი"
10.45, 11.50, 12.50, 14.35, 15.45, 17.30, 21.45, 23.45 მუსიკა
10.55 მხ. სერიალი "მოჯადოვება"
12.00 მხ. დეტექტიური სერიალი "ახალი პროფესინოალი"
13.00 მხ. ფილმი "ცივი გული"
14.50 დოკ. ფილმი "ღვინის გზები"
15.55 მულტფილმი "ტომი და ჯერი"
16.15 დოკ. ფილმი "ჭიანჭველა"
16.30 დოკ. ფილმი "ველური ბუნება"
17.45 მხ. სერიალი "ზურგის ქარი"
18.30 მულტფილმი "მეფის ასული შეჰარაზადა"
19.00 მხ. სერიალი "მოჯადოვება"
20.00 მხ. დეტექტიური სერიალი "ახალი პროფესიონალი"
21.00 დოკ. სერიალი "ფრანგი მხატვრები" მკლოდ ჟელე ლორენი
21.30 "მსოფლიო კულტურის საგანძური". "მალტის მეგალითური ტაძრები"
22.00 მხ. ფილმი "ცხოვრება კადრს მიღმა"
00.00 მხ.ფილმი "მაილოს დაბადება"

### აჭარის ტელევიზია

07.00, 08.00, 09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმი "მოგზაურობა სოპოტში"
09.55 კომედია "დაუმარცხებული ველური"
12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 ისტორიული ფილმი "ირემზე დევნა"
13.50 მხატვრული ფილმი "ტალღის ქიმზე"
16.10, 19.30, 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
16.50 მელოდრამა "წყნარი ოკეანის ისტორია"
19.20, 22.30, 00.30 "ნოველები"
19.40 დოკუმენტური ფილმი
20.40 ქართული მხატვრული ფილმი "აბესალომ და ეთერი"
23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
23.05, 01.05 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
23.10 დოკუმენტური ფილმი
01.10 თრილერი "სადღესელო აგენტი"
03.30 მხატვრული ფილმი "პერლ-ჰარბორი"

### VII არხი

09.00 ანონსი
09.05 ამინდის პროგნოზი
09.10 მელოდია
09.40 "აჩიკუდა"
10.05 "სახლიდან გაუსვლელად"
10.45 "ფაქტი, აზრი, კომენტარი"
10.55 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი"
11.30 "სახლიდან გაუსვლელად"
11.50 "ბიორითმი" - მეგა
2002 12.10 ანიმაცია
12.35 "სახლიდან გაუსვლელად"
13.05 დისნეი და მისი მეგობრები
13.25 "სახლიდან გაუსვლელად"
18.15 "სახლიდან გაუსვლელად"
19.00 "აჩიკუდა"
19.45 "პაემანი"
20.35 "სახლიდან გაუსვლელად"
22.15 "სახლიდან გაუსვლელად"
22.50 "კინოკლუბი " - "ნილოსის მარგალიტი".
00.25 სპორტი
00.30 "სახლიდან გაუსვლელად"
00.45 "ბიორითმი" - მეგა 2002

### ОРТ

07.00 "Доброе утро"
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости
10.15 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ"
11.10 Человек и закон
11.55 "Ералаш"
12.05 "Фабрика звезд"
12.35 Дисней-клуб: "Черный плащ"
13.15 "Факты минувшего дня", 2 с.
14.40 Телеканал "Новый день". "Далекая палуба"
15.10 Телеканал "Новый день". "Идолы". Одри Хепберн
16.15 "Фабрика звезд"
16.50 Худ.фильм "ЛЕДНИКОВЫЙ ПЕРИОД"
18.00 "Большая стирка"
19.25 "Сами с усами"
20.00 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ"
21.00 "Слабое звено" с М.Киселевой
22.00, 01.00 Время
22.40 Худ.фильм "ЛЕДНИКОВЫЙ ПЕРИОД"
23.45 "Ледниковый период": Досье
00.30 "Фабрика звезд"
01.20 Телеканал "Новый день". "Русский экстрим"
01.50, 02.55 "Апология"
02.25 Телеканал "Новый день". "Искатели". Северная Атлантида

### РТР

06.45 Доброе утро, Россия!
09.45 Сериал "НИНА. РАСПЛАТА ЗА ЛЮБОВЬ"
10.50 Сериал "Марш Турецкого 3. Золотой выстрел"
11.45 Вести. Дежурная часть
12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести
12.20 "Цена успеха"
13.15 Сериал "КОМИССАР РЕКС"
14.15 Экспертиза
14.30 Вся Россия
14.45, 19.20, 21.35 Вести-Москва
15.20 "Что хочет женщина"
16.20 Телефильм "К расследованию приступить"
17.45 Вести. Дежурная часть
18.20 "Сто к одному"
19.50 Сериал "ВОРОВКА. СЧАСТЬЕ НАПРОКАТ"
20.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 Сериал "НИНА. РАСПЛАТА ЗА ЛЮБОВЬ"
23.00 Сериал "Марш Турецкого 3. Золотой выстрел"
00.00 "Вести +"
00.35 Худ.фильм "СПАСИБО ЗА ШОКОЛАД"
02.40 "И долгие века..". "Анни Жирардо"
03.20 Дорожный патруль



ფეხბურთი

# ზაგალო დაბრუნდა, მოიგო და წავიდა...

## ლეგენდარული მარიო "ლობო" თავის მე-100 გამარჯვებას ზეიმობს

| 20 ნოემბერი<br>ამხანაგური მატჩები | | |
|---|---|---|
| სამ. კორეა | 2 - 3 | ბრაზილია |
| იაპონია | 0 - 2 | არგენტინა |
| რუმინეთი | 0 - 1 | ხორვატია |
| ესტონეთი | 2 - 0 | ისლანდია |
| უნგრეთი | 1 - 1 | მოლდოვა |
| სლოვაკეთი | 1 - 1 | უკრაინა |
| მაკედონია | 2 - 3 | ისრაელი |
| დანია | 2 - 0 | პოლონეთი |
| გერმანია | 1 - 3 | ჰოლანდია |
| საბერძნეთი | 0 - 0 | ირლანდია |
| ჩეხეთი | 3 - 3 | შვედეთი |
| ავსტრია | 0 - 1 | ნორვეგია |
| საფრანგეთი | 3 - 0 | იუგოსლავია |
| იტალია | 1 - 1 | თურქეთი |

აკა ტონია

გუშინ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გაიმართა ეროვნული ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩები. ერთ-ერთი მათგანი იყო სამხრეთ კორეა-ბრაზილიის მატჩი, რომელსაც, დანარჩენებისგან განსხვავებით, სხვა დატვირთვაც ჰქონდა. ეს იყო მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონის მეორე მატჩი მას შემდეგ, რაც "სელესაომ" თავისი მეხუთე ტიტული მოიგო. მანამდე მათ პარაგვაის წინააღმდეგ ითამაშეს და დამარცხდნენ - 0:1. საინტერესო ის არის, რომ უმწვრთნელოდ დარჩენილ ბრაზილიის ნაკრებს კვლავ სათავეში ჩაუდგა ლეგენდარული მარიო ("ლობო") ზაგალო. ადამიანი, რომელიც, ნაკრების წევრისა და მწვრთნელის რანგში, ორ-ორჯერ დაეუფლა მსოფლიო თასს, კვლავ დაუბრუნდა "სელესაოს" - მხოლოდ ერთი დღით, მხოლოდ კორეასთან მატჩზე. სწორედ ამიტომ სცილდებოდა ეს შეხვედრა ამხანაგური თამაშის ფარგლებს, სწორედ ამიტომ ელოდნენ მას ასე მოუთმენლად.

ცხადია, სამხრეთკორეელთათვის ეს მატჩი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო. მსოფლიოს უკანასკნელი ჩემპიონატის პრიზიორებს სურდათ, თავიანთი შესაძლებლობები კიდევ ერთხელ დაედასტურებინათ, მით უმეტეს, რომ ბრაზილიის წინააღმდეგ ყველას განსაკუთრებით სურს თავის გამოჩენა.




მარიო ზაგალო საიუბილეო მაისურით ხელში

ტყუილია ისიც, რომ ბრაზილიელები კორეის წინააღმდეგ მატჩში ყოველგვარი მოტივაციის გარეშე გავიდოდნენ მოედანზე. "მომავალი შეხვედრა ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია. მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ერთი მატჩი უკვე წავაგეთ. მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი თავს უფლებას არ მისცემს, კიდევ ერთხელ დამარცხდეს", - განაცხადა ზაგალომ მატჩის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

ვერ იტყვი, რომ მატჩი ძალიან საინტერესო გამოდგა, თუმცა, გოლების დეფიციტი მაინც არ იყო. შეხვედრა ბრაზილიელებმა მოიგეს - 3:2.

"სელესაოს" მსოფლიოს ჩემპიონთა ძირითადი შემადგენლობიდან გუშინდელ მატჩში აკლდა რივალდო და ჟუნინიო, რომელთა ნაცვლად ზაგალომ გერმანიაში მოთამაშე ზე რობერტო და ამორუზო გამოიძახა. აღსანიშნავია რონალდოს ორი გოლი და მის მიერ გამოუყენებელი უამრავი საგოლე მომენტი. მესამე ბურთი კორეელთა კარში უკანასკნელ წუთზე დანიშნული თერთმეტმეტრიანი დარტყმით რონალდინიომ გაიტანა.

მატჩის შემდეგ, პრესკონფერენციაზე, ნათლად გამოჩნდა, თუ რატომ იყო ზაგალო ასე მონდომებული - გუშინდელი გამარჯვება ლეგენდარული მწვრთნელის სანაკრებო კარიერაში საიუბილეო, რიგით მე-100 აღმოჩნდა. ზაგალო დაბრუნდა, გაიმარჯვა და წავიდა. ბრაზილიის ნაკრები ისევ უმწვრთნელოდაა.

# „მსოფლიო - სტუმრად მეგობრებთან!„

## გერმანიაში გაიმართა მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის ლოგოს პრეზენტაცია

აკა ტონია

19 ნოემბერს გერმანიის ქალაქ გელზენკირხენის სტადიონ "Auf Schalke"-ზე გაიმართა მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის ოფიციალური ლოგოს პრეზენტაცია. ცერემონიალზე დამსწრე საზოგადოებას ლოგო წარუდგინა ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმა. სტუმართა შორის იყო FIFA-ს პრეზიდენტი ზეპ ბლატერი.

"კაიზერ ფრანცმა", რომელიც თავად ზრუნავს ჩემპიონატის ყველა საორგანიზაციო საკითხზე, ლოგოს წარდგენისას განაცხადა: "ლოგო ძალიან მომწონს. ის ზუსტად გადმოსცემს ჩვენს ფილოსოფიას. ის, რომ ჩვენ კარგი ორგანიზატორები ვართ, ყველამ კარგად იცის, მაგრამ სხვა ამოცანაც გვაქვს: გვინდა, ჩვენს ყველა მეგობარს, მთელ მსოფლიოში, მხიარული და ლაღი გერმანია წარვუდგინოთ". ალბათ, ამიტომაცაა, რომ საორგანიზაციო კომიტეტმა მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის დევიზად აირჩია ფრაზა: "მსოფლიო - სტუმრად მეგობრებთან!"

ლოგოს პრეზენტაციას 500 ადამიანი დაესწრო. ზეპ ბლატერთან ერთად, საპატიო სტუმრებს შორის გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრი, ოტო შილი და ქვეყნის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებიც იყვნენ.

ლოგოთი აღფრთოვანებას არც ზეპ ბლატერი მალავდა. "გერმანელებს სიახლის შემოტანის სულისკვეთება და გამბედაობა აქვთ. ასეთი დინამიკური ლოგო ფეხბურთის ისტორიაში ჯერ არ ყოფილა. ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ ისეთი კონსერვატიული ორგანიზაცია, როგორიც FIFA-ა, გერმანიაში საკუთარ თავს ასეთი მხიარული ლოგოს შექმნის უფლებას მივცემდით", - განაცხადა FIFA-ს პრეზიდენტმა.




მომავალი ჩემპიონატის ლოგო



ბეკენბაუერი, ბლატერი და მაიერ-ფორფელდერი ლოგო-ს პრეზენტაციაზე

საგანგებო ვიზუალური და აუდიოეფექტების წყალობით, სტადიონზე ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ცერემონიალს 500 კი არა, 60.000 ადამიანი ესწრებოდა. თავად ლოგო კი ორგანიზატორებმა სიურპრიზის სახით წარმოადგინეს: მაშინ, როდესაც მთელი საზოგადოება, ლოგოს ნახვის მოლოდინში, სულგანაბული შესცქეროდა სტადიონის უზარმაზარ ეკრანს, მოედნის ცენტრში წარმოიქმნა ულამაზესი შადრევანი, რომლიდანაც მსოფლიოს ჩემპიონატის ოფიციალური ლოგო ამოვიდა.

სიმბოლო, რომელმაც ასე აღაფრთოვანა საფეხბურთო სამყარო, ინგლისელი დიზაინერის, უაითსთოუნისა და მიუნხენის სააგენტო "Abold"-ის ერთობლივი ნამუშევარია. "ცხადია, ათასობით ვარიანტი გვქონდა, მაგრამ სწორედ ეს ავირჩიეთ, რადგან მომღიმარი გულშემატკივრების გამოსახულებამ ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა", - განაცხადა ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა ვოლფგანგ ნირსბახმა.

კალათბურთი

# აივერსონს ოჯახის უსაფრთხოება აღელვებს

*სკანდალურად ცნობილმა "ფილადელფიის" ვარსკვლავმა ალენ აივერსონმა შეიძლება ქალაქი დატოვოს. მიზეზი ადგილობრივი პოლიციის მხრიდან განსაკუთრებული ყურადღებაა.*

კახა ფაჩუაშვილი

"ძალიან მინდა, ფილადელფიაში დავრჩე, მაგრამ მეშინია", - განაცხადა ვარსკვლავმა ადგილობრივ პრესასთან საუბარში. ეს იყო პირველი კომენტარი მას შემდეგ, რაც კალათბურთელს ამ ზაფხულს კანონთან პრობლემები შეექმნა.

ალენმა და მისმა მეუღლემ, ტავანა აივერსონმა, ადგილობრივ პრესასთან ინტერვიუში განაცხადეს, რომ აუტანელი გახდა სატელევიზიო გადაცემები, რომლებიც მათი ოჯახის წევრთა პირად ურთიერთობებს ეხება. ინტერვიუს აივერსონის ოჯახის ადვოკატი ლერი ვუდვარდიც ესწრებოდა. "ახალ ამბებში მესმის, რომ ჩათრეული ვარ სხვადასხვა დანაშაულში და ეს მაშინებს. კარგად ვაცნობიერებ, რომ კორუმპირებულ პოლიციელს შეუძლია, ჩემს წინააღმდეგ ნებისმიერი ქმედება ჩაიდინოს. მას ყველაფრის უფლება აქვს. თუ კორუმპირებული პოლიციელი მოინდომებს, ხვალ ალენ აივერსონი შეიძლება მკვდარი იპოვონ. ეს ისევე ადვილია, როგორც აქამდე მომხდარი ანალოგიური შემთხვევები", - განაცხადა კალათბურთელმა.

90-წუთიან ინტერვიუში აივერსონმა გააბათილა მის მიმართ წაყენებული ყველა ბრალდება. შეგახსენებთ, რომ აივერსონსა და მის ბიძას ბრალად დასდეს, თითქოს ისინი, დასავლეთ ფილადელფიაში, ძალით შეიჭრნენ უცხო ადამიანის ბინაში (სადაც ალენის მეუღლეს ეძებდნენ, რომელიც კალათბურთელმა თავისი სახლიდან გააგდო) და ორ მამაკაცს იარაღით დაემუქრნენ.

კალათბურთელს ერთდროულად რამდენიმე ბრალდება წაუყენეს, მაგრამ მოგვიანებით ყველა მოუხსნეს. "ჩემს მეუღლეს არასოდეს ვუცემივარ და, მით უმეტეს, სახლიდან შიშველი არ გავუგდივარ", - განმარტა ტავანა აივერსონმა. ამ ფაქტის ირგვლივ სატელევიზიო არხმა WXTF გადაცემათა ციკლი დაგეგმა. ეს აივერსონებს არ ეპიტნავათ და პრესკონფერენცია მოიწვიეს. აივერსონი შეწუხებულია მასმედიის განსაკუთრებული ყურადღებით, რომელიც ამ ზაფხულს მის ოჯახს თავს დაატყდა. "მე მუდმივად ვნერვიულობ ტავანას გამო. ყველა მივლინებაში, თამაშამდე და თამაშის შემდეგ, მას დაცვა აცილებს. პირადი მცველები ჩვენს სახლთან 24 საათის განმავლობაში მორიგეობენ", - აცხადებს აივერსონი.



ალენ აივერსონი

მოკლედ

**ფეხბურთი.** ინგლისის ნაკრებში ექსპერიმენტების დრო დამთავრდა. გუნდი უბრალო ფეხბურთის თამაშს აპირებს და უპირატესობას იმ სტილს მიანიჭებს, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატზე არგენტინის ნაკრებთან მატჩში წარმატება მოუტანა (ის მატჩი ინგლისელებმა 1:0 მოიგეს. გოლი პენალტით დევიდ ბექჰემმა გაიტანა).

ჰარტფორდშირში ნაკრების სამდღიანი შეკრების შემდეგ, სწორედ ამის შესახებ განაცხადა სვენ გორან ერიქსონის თანაშემწე ტორდ გრიპმა. გრიპს მიაჩნია, რომ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში სლოვაკეთისა (2:1) და მაკედონიის (2:2) წინააღმდეგ გუნდმა თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმი ვერ გამოავლინა. "წარმატება, მათ შორის შესარჩევ ციკლშიც, მხოლოდ მაშინ მიიღწევა, თუ ინგლისის ნაკრები ითამაშებს უბრალო ფეხბურთს, რომელმაც მას არგენტინასთან მოაგებინა", - განაცხადა გრიპმა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ისრაელის ფეხბურთის ფედერაციამ თხოვნით მიმართა უეფას, ჰაიფას "მაკაბის" ნება დართოს, უეფას თასის მატჩი საბერძნეთის "აეკის" წინააღმდეგ საკუთარ მინდორზე ჩაატაროს.

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ჰავრი ლევის, გერჰარდ აიგნერისადმი გაგზავნილ ოფიციალურ წერილში მოთხრობილია იმ სირთულეების შესახებ, რომელიც ებრაულმა კლუბმა კვიპროსის ქალაქ ნიქოზიაში ჩატარებული ჩემპიონთა ლიგის მატჩებისას განიცადა. "მაკაბის" საკუთარ მინდორზე თამაშის საშუალება რომ ჰქონოდა, კლუბის შედეგები უფრო შთამბეჭდავი იქნებოდა", - ნათქვამია წერილში. თუ ყველაფერი უცვლელად დარჩება, ჰაიფელებს კვლავ ნიქოზიაში ხეტიალი მოუწევთ, ხოლო ბერძნებს საშუალება მიეცემათ, ორივე მატჩში ტრიბუნების მძლავრი მხარდაჭერით ისარგებლონ, - განმარტა ლევიმ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** გუშინ "სკუადრა აძურამ" ანკონაში თურქებს უმასპინძლა. ამ ამხანაგური მატჩის მთელი შემოსავალი სანჯულიანოსა და მის შემოგარენში მიწისძვრით დაზარალებული მოსახლეობის ფონდში გადაირიცხა. თამაშის წინ იტალიის ნაკრების ფორვარდმა ალესანდრო დელ პიერომ ქალაქ კამპობასოს საავადმყოფოში მოინახულა ორი ბავშვი, რომლებიც სანჯულიანოს სკოლის ნანგრევებიდან ამოიყვანეს.

მაშინ 26 ბავშვი და სამი სრულწლოვანი ადამიანი დაიღუპა. ექიმების თქმით, ბავშვები ტრავმის შემდეგ სწრაფად იკურნებიან. რვა წლის ანჯელო, რომელიც დელ პიერომ მოინახულა, ბოლო იყო, ვინც სკოლის ნანგრევებიდან ცოცხალი ამოიყვანეს. სახელოვან ფეხბურთელთან ერთსაათიანი საუბარი და საჩუქრები, რომლებიც დელ პიერომ ბავშვებს გადასცა (იტალიის ნაკრების ფორმა, ბურთები და სხვა საფეხბურთო ატრიბუტიკა), მათთვის დიდი სიხარულის მომგვრელი აღმოჩნდა.

დელ პიეროს ვიზიტს წინ უძღოდა იტალიის ნაკრების შეხვედრა სანჯულიანოს სკოლის მოსწავლეებთან. ექიმების განმარტებით, ეს ბავშვებისთვის კარგი ფსიქოთერაპიული კურსი იყო. ბევრმა მათგანმა მიწისძვრის შედეგად ახლობელი ადამიანი დაკარგა. ქალაქში, რომლის თითქმის მთელი მოსახლეობა იძულებული გახდა, დროებითი თავშესაფარი კარვებში ეპოვა, უკვე გაიხსნა დროებითი სკოლა, მაგრამ შეშინებული მშობლები ბავშვებს სკოლაში არ უშვებენ.

■ ■ ■

**ჰოკეი.** ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ პარტნიორული შეთანხმება გააფორმა მსოფლიოში ცნობილ სათამაშოების მწარმოებელ ფირმა "ლეგოსთან". "ყველა ვარსკვლავის" თამაშისთვის, რომელიც თებერვალში გაიმართება, ეს ფირმა წარმოადგენს თავის ახალ გამოგონებას - საბავშვო კონსტრუქტორის დეტალებისგან შემდგარ NHL-ის ჰოკეისტებს, რომლებსაც ბავშვები იმპროვიზებულ მატჩში გამოიყენებენ.

"ეს შეთანხმება ლიგას აუცილებლად დიდ სარგებელს მოუტანს, - აცხადებს NHL-ის კომისიონერი ჰარი ბეთმენი, - ახლა ჩვენს შესახებ მთელ მსოფლიოში მილიონობით ბავშვი გაიგებს".

ბეთმენმა ინატრა, რომ, ბედნიერი იქნება, თუ მოესწრება იმ დღეს, როცა "ლეგო" მის ფიგურასაც გააკეთებს. ამჯერად კი ბეთმენს კომპანიის ამერიკული ფილიალის პრეზიდენტმა, ენდრიუ ბლეკმა, გადასცა სტენლის თასის ასლი, რომელიც რამდენიმე კვირაში ააწყვეს და 5 800 დეტალისგან შედგება. სათამაშოს წონა ორიგინალის წონის იდენტურია.

■ ■ ■

**კალათბურთი.** ათენის ოლიმპიური თამაშების პერიოდში ამერიკის კალათბურთელთა ნაკრები ოლიმპიურ სოფელში სხვა სპორტსმენებთან ერთად იცხოვრებს. შეგახსენებთ, რომ ბარსელონაში, ატლანტასა და სიდნეიში "დრიმ თიმი" ხუთვარსკვლავიან სასტუმროში ცხოვრობდა. "გვეჩვენება, რომ, ფილოსოფიური თვალსაზრისით, ოლიმპიურ სოფელში ცხოვრება გამართლებულია. ეს გუნდის ერთობას, შემართებას აღვივებს", - ამბობს აშშ-ის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ტომ ჯერნსტედი.

ამ გადაწყვეტილებას უკვე მხარი დაუჭირეს NBA-ის ისეთმა ვარსკვლავებმა, როგორებიც ტრეისი მაკგრედი, ჯეისონ კიდი, ტიმ დანკანი და რეი ალენი არიან. "ლეიკერსის" ერთ-ერთი ლიდერი კობი ბრაიანტი კი ამ იდეას სკეპტიკურად უყურებს. შეგახსენებთ, რომ გუნდის ძირითადი ბირთვი თებერვლის შუა რიცხვებში უნდა გამოიკვეთოს. ის 8-9 კალათბურთელისგან შედგება.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** "მინარდის" პილოტი ალექს იუნგი 2003 წლიდან კარტში იასპარეზებს. ამას წინათ მრბოლმა განაცხადა, რომ სურს, ერთ-ერთი ამერიკული სერიის რბოლებში გადავიდეს. უახლესი ინფორმაციით, მალაიზიელი პილოტი ამჟამად players forsythe-ის გუნდთან არის დაკავშირებული.

players-ს, რომელიც 2002 წელს პატრიკ კარპენტერთან და ალექს ტაგლიანისთან ერთად გამოდიოდა, გუნდის საბოლოო განაცხადი გუშინ საღამოს უნდა შეეტანა. ბოლო ინფორმაციით, გუნდში ბრუნდება მისი ყოფილი პილოტი, კარპენტერის თანამემამულე პოლ ტრეისი და players-ის საჯინიბო ახალ სეზონში სამი მანქანის გამოყვანას აპირებს.

კულუარებში საუბრობდნენ ჟაკ ვილნევის შესაძლო გადასვლაზე კარტში, მაგრამ, თუ ახალ ინფორმაციას დავუჯერებთ, მის ნაცვლად, კარტში იუნგი გადავა. ტაგლიანი კი Newman/Haas გუნდში გადასვლას აპირებს და იქ შეცვლის წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონს კრისტიან დე მატოს, რომელიც ფორმულა 1-ში, კერძოდ, "ტოიოტაში" გადავიდა.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** ტრიუმფალური სეზონის შემდეგ ავსტრალიელ ლეიტონ ჰიუიტს დასვენების დრო დაუდგა. ჩოგბურთელი მშობლიურ ადელაიდაში დაბრუნდა და ჟურნალისტებისთვის პრესკონფერენცია გამართა. "რა თქმა უნდა, პირველობის შენარჩუნება გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე მისი მოპოვება. ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე წარუმატებლობის შემდეგ ბევრი ფიქრობდა, რომ ფორმას ვერ აღვიდგენდი, მაგრამ, როგორც ხედავთ, კონდიციას მივაღწიე. თუმცა, ამისთვის დიდი ძალისხმევა დამჭირდა - როგორც მორალური, ისე ფიზიკური", - განაცხადა ჰიუიტმა.

უახლოეს პერიოდში ჰიუიტი ადელაიდაში, მეგობრებთან და ბელგიელ კიმ კლიისტერსთან ერთად დასვენებას აპირებს. შვებულების შემდეგ კი ახალი სეზონისთვის მოემზადება.

■ ■ ■

**კრივი.** დორტმუნდში WBA-ის ვერსიით ინტერკონტინენტალის ტიტულისთვის ვიტალი კლიჩკო და ლარი დონალდი იჩხუბებენ. ამ ბრძოლის წინ მოკრივეებმა პრესკონფერენცია გამართეს.

ლარი დონალდი: "ვიტალის ძალიან კარგად ვიცნობ. ცოტაა ისეთი მოკრივე, როგორიც ის არის. მას ძლიერი დარტყმა და კარგი ფიზიკური მონაცემები აქვს, მაგრამ ამ ბრძოლისთვის სათანადოდ მოვემზადე და გამარჯვების იმედი მაქვს. ამ რწმენის გარეშე აქ არც ჩამოვიდოდი".

ვიტალი კლიჩკო: "მზად ვარ ბრძოლისა და ნოკაუტით გამარჯვებისთვის", რაზეც დონალდმა უპასუხა: "დრო გვიჩვენებს". ძმები კლიჩკოების ოფიციალურ საიტზე კი ვიტალიმ შენიშნა: "ვფიქრობ, ჩემი ძალის რეალურად შეფასება მხოლოდ ბრძოლას შეუძლია. ჩვენ ყველაფერი ვიღონეთ, რომ იმ ორი თვის განმავლობაში, რაც ბრძოლისთვის მოსამზადებელ პერიოდს დასჭირდა, სპორტული ფორმის პიკისთვის მიმეღწია".

■ ■ ■

**ჭადრაკი.** "დიპ ჯუნიორთან" შეხვედრის წინ, რომელიც 5 იანვარს იერუსალიმში დაიწყება, გარი კასპაროვმა გერმანიის ქალაქ მაინცში საჩვენებელი მატჩი მოაწყო და პლანეტის ყველაზე ახალგაზრდა დიდოსტატს, 17 წლის ელიზაბეთ პეტცს შეხვდა. კასპაროვმა 6:0 მოიგო. მეტოქეებმა მატჩი უჩვეულო საკონტროლო დროით ითამაშეს. კასპაროვს მოსაფიქრებლად 8 წუთი ჰქონდა, პეტცს კი - ორჯერ მეტი. 39 წლის მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა გამარჯვება დიდი ოფლის ფასად მოიპოვა.

მაგალითად, შავი ფიგურებით კასპაროვმა ყველა პარტიაში სიცილიურ დაცვაში პაულსენის ვარიანტი აირჩია. შედეგად, პირველ და მესამე პარტიაში ფიგურის გარეშე და დამარცხების ზღვარზე აღმოჩნდა. მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში ახალგაზრდა მეტოქე ნერვიულობისგან უხეშ შეცდომებს უშვებდა. მატჩის შემდეგ კასპაროვმა პეტცის თამაში შეაფასა: "ლიზა ურიგოდ არ თამაშობს, მაგრამ ნერვებთან დაკავშირებით პრობლემები აქვს".



H1 თეონა სანიკიძე ასაკი-16, 170/90/64/92, თვალი - ცისფერი, თმა - წაბლის



H2 ნათია ნაჭყებიძე ასაკი-14, 182/90/61/90, თვალი - ყავის, თმა - წაბლის



H3 ქეთევან დათუაშვილი ასაკი-16, 165/80/60/88, თვალი - ცისფერი, თმა - წაბლის



H4 ხათუნა ქანდელაკი ასაკი-17, 165/83/64/85, თვალი - ყავის, თმა - წაბლის



H5 მაკა მინდიაშვილი ასაკი-22, 166/84/67/88, თვალი - მწვანე, თმა - წაბლის



H6 ნათია ღვალაძე ასაკი-16, 169/80/59/84, თვალი - ყავის, თმა - წაბლის

გაზეთი "24 საათი" და მოდელების სააგენტო "იმიჯ-ცენტრი" წარმოგიდგენთ სილამაზის კონკურსს

მის ფოტო მოდელი 2002

მონაწილეობის მისაღებად იწვევენ 15-დან 30 წლამდე ასაკის გოგონებს.

1. მის ფოტო მოდელი 2002
2. ვიცე მის ფოტო მოდელი 2002
3. საუკეთესო სავიზიტო ბარათის

მის ფოტო მოდელი 2002 1 2 3 4 5 6

ესთეტიკური კოსმეტოლოგიის ცენტრი "ვიზაჟი"

პირველად საქართველოსა და ამიერკავკასიაში მაღალი ტექნოლოგიების პროფესიულ პროგრამას "Danne Montague-King"

მიკროკრისტალურ დერმოგრაზიას "Aesthipeel"

- მეზოთერაპია
- სხეულის კორექცია არაქირურგიული, ინტელექტუალური სისტემით "ЭСМА"
- ელექტრო ეპილაცია "BLEND, Flash"
- გამონაყარი, აკნე, ფერიმჭამელები, ფორიანობა, პიგმენტური ლაქები, ნაოჭები, კანის მოდუნება, ლოკალური ცხიმების დაგროვება, ცელულიტი, ორსულობის შემდგომი სტრიები, ნაწიბურები, კანის მოვლა პოსტოპერაციულ პერიოდში.

ფალიაშვილის 98, TEL 91-24-20, 25-27-02, მობილური 899-56-18-52

## საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოს (IREX)

### მედია ინოვაციების პროგრამა

იღებს განაცხადებს 3 სახის გრანტზე: (1) გრანტები ჟურნალისტთა ასოციაციების განვითარების მხარდასაჭერად; (2) გრანტები ჟურნალისტიკის სფეროში სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სასწავლო მასალების გამოსაცემად; (3) გრანტები პროფესიული ასოციაციების განვითარების მხარდასაჭერად.

**გრანტები ჟურნალისტთა ასოციაციების განვითარების მხარდასაჭერად** განკუთვნილია ჟურნალისტთა იმ წევრობაზე დაფუძნებული ასოციაციებისათვის, რომლებიც ჟურნალისტთა და მასმედიის სფეროში მომუშავე სხვა პროფესიონალთა ინტერესებს წარმოადგენენ. განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა 2003 წლის 31 იანვარი და 31 მარტი, 12:00 საათი.

**გრანტები ჟურნალისტიკის სფეროში სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სასწავლო მასალებისათვის** გაიცემა ჟურნალისტიკის სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. გრანტის ფარგლებში შესაძლებელია როგორც ორიგინალური მასალების დაწერა და გამოცემა, ისე თარგმანის მომზადება და გამოცემა. განაცხადის ჩაბარების ბოლო ვადაა 2003 წლის 28 თებერვალი და 30 აპრილი, 12:00 საათი.

**გრანტები პროფესიული ასოციაციების განვითარების მხარდასაჭერად** განკუთვნილია წევრობაზე დაფუძნებული იმ ასოციაციებისათვის, რომლებიც მასმედიის როგორც ერთიანი სფეროს, ისე მისი სხვადასხვა სექტორის ინტერესებს წარმოადგენენ. განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა 2003 წლის 30 იანვარი და 28 მარტი, 12:00 საათი.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ IREX-ის გრანტების პროგრამის კოორდინატორს შემდეგ მისამართზე:

nkizikurashvili@irexonline.ge

BARRISOL mondea ceilings

ფრანგული და ჰოლანდიური დასაჭიმი ჭერები, ჰოლანდიური მასიური პარკეტი

რემონტი, დიზაინი

ჭავჭავაძის 74, მე-15-ე სართული, ოთახი 16, ტელ: 29-91-24

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.